ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

# ილორი



www.ilori.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru

№235 (294) 3-10 სექტემბერი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ორგანო 30 თეთრი

# "არა არს რა დაფარული, რაიც არ გაცხადდების..."

**სააკაშვილის მოშორებამდე დარჩა 54 დღე**

**"ვინც დანაშაულს მოქარგული ენით ფარავს, ორგზის უფრო სასტიკ სასჯელს იმსახურებს!"** – ამბობდა ევრიპიდე.

რა თქმა უნდა, დიდი სიბოროტეა დანაშაულის ჩადენა, თუმცა, მისმა ჩამდენმა გულახდილი მონანიებით შეიძლება შეიმსუბუქოს ღვთის მიერ დადგენილი სასჯელი, მაგრამ ცოდვას ვერასგზით ვერ მოინანიებს დამნაშავის ხელის დამფარებელი, რადგან დანაშაულისადმი წაყრუება ნიშნავს ახალ სიბოროტეს, რამაც შეიძლება ბევრად უფრო მძიმე დანაშაული შვას!

ყოველივე სიმართლეს აცდენილი გახლავთ სიცრუე, ზოგჯერ უბოროტო, იუმორით გაჟღენთილიც, რომელიც გვართობს და გვახალისებს, მაგრამ მაინც სიცრუე, რამაც შეიძლება ფრიად არასასურველ შედეგამდე მიიყვანოს საზოგადოება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ სიცრუისა და ორპირობის ავტორი ძალაუფლების მქონე პირი გახლავთ!

ჩვენ არაერთგზის შეგვიდარებია ერთმანეთისათვის მიხეილ სააკაშვილი და ფრანსუა რაბლეს გმირი – ბარონი მიუნჰაუზენი, მაგრამ ფაქტია, რომ ბაქია ბარონის სახე რაბლემ ჩამოქნა ლიტერატურული პარამეტრების გათვალისწინებით, ედუარდ შევარდნაძემ კი სააკაშვილის ფენომენი **"გამოძერწა"** თავის მიერ წამოწყებული ქვეყნის სულიერად, მორალურად, ზნეობრივად და პოლიტიკურად დამანგრეველი პროცესების **"ღირსეულად"** გასაგრძელებლად! ეს გახლავთ ერთადერთი ჭეშმარიტი ნაბიჯი, რომელიც შევარდნაძემ გადადგა (არა ქვეყნის, არამედ საკუთარი ვერაგული ჩანაფიქრის ბოლომდე მისაყვანად), სხვა დანარჩენი მისი საქმიანობა კი (დაწყებული საქართველოს კომკავშირის ცეკას პირველი მდივნობით და დამთავრებული – საქართველოს პრეზიდენტობით) გაჟღენთილი იყო პირადი ინტერესებისადმი სატანური მსახურებით, კარიერული ამბიციებით, ნეპოტიზმით და არნახული სიყალბით.

**"თეთრ მელად"** წოდებული ედუარდ უფროსის (თუ რატომ **"უფროსის"**, ამას ქვემოთ მოგახსენებთ, რადგან არსებობს **"უმცროსი"** ედუარდიც) თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ, თუ როგორი თავხედური მიწერებით **"ასრულებდა"** შევარდნაძე ყურძნის, ჩაის ფოთლისა და ხილის დამზადების გეგმებს, როგორი სიყალბე დომინირებდა ქვეყნის განათლებაში, მეცნიერებაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ცხოვრების ყველა სფეროში. ხოლო ვინც წინ აღუდგა შევარდნაძის ამ და სხვა უმსგავსოებებს, დახვრეტას თუ არა, ციხეში ხანგრძლივად ჯდომას მაინც ვერ ასცდა!

სწორედ ამგვარმა სატანამ გამოზარდა მიხეილ სააკაშვილი, და, დათა თუთაშხიასი არ იყოს, შევარდნაძის გამოზრდილი ვითომ რატომ უნდა ყოფილიყო შევარდნაძეზე უკეთესი? მიხეილმა დაუფასა თავის **"აღმზრდელს"** და თავის მეორე ვაჟს მისი სახელი **"ედუარდი"** დაარქვა, და ეს მაშინ, როცა მას უკვე დაწყებული ჰქონდა საკმაოდ წარმატებული **"დაუნდობელი ბრძოლა"** მის კორუმპირებულ მთავრობასთან, რასაც დიდ მონდომებით უბამდა მხარს პოლიტიკურ როსკიპად აღიარებული ტელეარხი **"რუსთავი-2"**. მაშინ, რატომღაც, ყურადღება არავის მიუქცევია ამგვარი **"ნიუანსისათვის"**, რაც ძვირად დაგვიჯდა კიდეც. არა და, ისტორიაში მხოლოდ ერთი ფაქტი ვიცით, როცა ადამიანმა საკუთარ პირმშოს მტრის სახელი დაარქვა. ეს იყო მე-12 საუკუნეში, როცა მომთაბარე მონღოლმა მთავარმა ესუგაი ბაღათურმა თემუჩინად სახელდებული მტერი დაამარცხა და ბორკილგაყრილი მოჰყავდა თავის სახანოში. სწორედ მაშინ აუწყეს მას ვაჟიშვილის დაბადება, რომელსაც ესუგაიმ დამარცხებული მტრის სახელი დაარქვა, რაც მაშინ იმის სიმბოლო გახლდათ, რომ **"თენგრად"** წოდებული მონღოლთა ღმერთის წყალობით მტრის ძალა და ჭკუა მის პატარა სეხნიას გადასცემოდა. ეს კი რიტუალი უფრო იყო, ვიდრე პოლიტიკური გადაწყვეტილების აღსრულება!

ალბათ მიხვდით, რომ საუბარია ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს დამპყრობელსა და სტრატეგოს თემუჩინ ჩინგის-ხანზე. მართალია სააკაშვილს ჯერ **"დამარცხებული"** არ ჰყავდა თავისი **"პოლიტიკური მამა"** (მას არც ბიოლოგიური მამები დაჰკლებია) შევარდნაძე, მაგრამ ბავშვს მაინც მისი სახელი დაარქვა! ამგვარი **"ნათელმირონული"** წიაღსვლა კი გახლდათ არა რაიმე სახის რელიგიური რიტუალი, არამედ ბინძური პოლიტიკური ინტრიგანული გარიგება!

ამავე დროს, ეს გახლდათ შევარდნაძე-სააკაშვილის პოლიტიკური ტანდემის მიერ დამკვიდრებული პირველი დიდი ტყუილი, რამაც ლამის დამღუპველად იმოქმედა სრულიად საქართველოზე!

შემდეგ მოვიდა უფრო დიდი ტყუილი, **"ვარდების რევოლუციად"** წოდებული, რომელიც გათამაშდა 2003 წლის ნოემბერში. შევარდნაძის სიცრუით გაბეზრებულმა ხალხმა ყურადღება არ მიაქცია ამ **"ნიუანსს"** და ძალაუფლებისაკენ გზა გაუკაფა აღმზრდელივით თავხედ მატყუარას, ოღონდ არაქართველს, საქართველოსა და ყოველივე ქართულის დაუძინებელ მტერს, რომლის შედეგსაც ცხრა წლის განმავლობაში ვიმკიდით!

აი, მერე რომ სიცრუის, ორპირობის, გაუტანლობისა და ღალატის კორიანტელი დადგა საქართველოში, ამნაირი მის მრავალსაუკუნოვან ისტორიას არ ახსოვს! ძნელი მისახვედრი არ გახლდათ, რომ ეს არ იყო ქართული ბუნება, მაგრამ ისიც კარგად ვიცოდით, რომ უკვე დაგვიანდა და **"ახალგაზრდა რეფორმატორებად"** წოდებული ნაცბანდა დასაღუპად მიაქანებდა საქართველოს.

მთელი ერი კვლავ მარიამ ღვთისმშობლის წყალობის მოლოდინად დადგა...

ცხრა წელი დასჭირდა ამ ლოდინს, რაც შეიძლება მცირეა სახელმწიფო მატიანისათვის, მაგრამ საკმარისი გამოდგა საიმისოდ, რომ ნაცბანდას საგრძნობლად შეერყია საქართველოს სახელმწიფოებრიობის ნიშანსვეტი!

– **"ჯიბის პარლამენტის"** გამოყენებით სააკაშვილმა და მისმა ბანდამ მიიღეს მრავალი პროვოკაციული კანონი, რაც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა ქართულ ინტერესებს – იქნებოდა ანტიკანონები, რომელიც მოიცავდნენ მიწის, განათლების, მეცნიერების, კულტურის თუ სხვა სასიცოცხლო დარგებს. სწორედ ეს სასიცოცხლო დარგები მოჰკლეს მიხეილ სააკაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა ყოველგვარი სიცრუისა თუ პოლიტიკური ინსინუაციების გამოყენებით. მაგრამ, როგორც ჩანს, ნაცბანდაში მოღალატეების გარდა საღად მოაზროვნე პოლიტიკოსებიც იყვნენ, რომელთა წინააღმდეგობა ნერვებსა და ხელს უშლიდა ქვეყნის განადგურებაზე ორიენტირებულ ძალებს. სწორედ მაშინ გათამაშდა ყველაზე ამაზრზენი პოლიტიკური ფარსი – ნაცებმა მოჰკლეს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და ეს გააკეთეს განსაკუთრებული ცინიზმით, განუმეორებელი სიყალბით, გარდაცვლილის ავტორიტეტის შებღალვის გეგმით, რათა ამ მოღვაწის საეჭვო დაღუპვას ხალხის გულისწყრომა არ გამოეწვია!

სააკაშვილმა ამჯერად აშკარად აჯობა თავის აღმზრდელ შევარდნაძეს, რომელმაც თავის დროზე, მისი კაპრიზების მოწინააღმდეგე საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ პატარიძის თავიდან მოსაცილებლად ავტოავარიის საკმაოდ უხეში და ნაკლებად დამაჯერებელი მეთოდი გამოიყენა.

რას იზამ, ზოგჯერ თურმე კვერცხსაც კი შეუძლია, რომ ქათამს ჭკუა ასწავლოს, თანაც მაშინ, თუ ამ კვერცხს ჭკუას ყველა უბედურობასა და პოლიტიკურ თახსირობებში გამოწვრთნილი ამერიკელი ექსპერტები ასწავლიან. მკვლელობებსა და არასასურველ პოლიტიკურ ძალთა თავიდან მოშორების დამაჯერებელი სქემების შემუშავებაში ხომ ამერიკელებს ნამდვილად არ ჰყავთ ბადალი!

ამას მოჰყვა აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტა მესტიის რაიონის სოფელ იფარში, რომლის მთავარი შემოქმედი გიორგი ბარამიძე დღესაც უტიფრად გვმოძღვრავს საქართველოს პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან და **"სასტიკად გმობს"** ყოველი სახის ძალადობას! ჩვენი ბრალია, რადგან უტიფარი ნაცები გვაკადრებენ ზუსტად იმდენს, რამდენის უფლებასაც ვაძლევთ!

შემდეგ იყო მორიგი ბოროტება – სანდრო გირგვლიანი მხეცური მკვლელობა, რომლის სიცრუის კორიანტელში გახვევას ტრაგედიათა მთელი ჯაჭვი მოჰყვა – ამ ამბავთან დაკავშირებულ უსამართლობას და ხელისუფლების თავხედურ, უაპელაციო ქმედებებს შეეწირნენ სანდროს დედა – ერთადერთი შვილის მხეცურად მოკვლით განადგურებული, სულგანათლებული ქალბატონი ირინა ენუქიძე და ბაბუა – კეთილშობილი პიროვნება და დამსახურებული ჟურნალისტი ჯიმშერ ენუქიძე. შემდეგ არაადამიანმა მიხეილ სააკაშვილმა მართლაც არაადამიანურად შეიწყალა გირგვლიანის მკვლელები. მაინცადამაინც სტრასბურგის სასამართლოს განაჩენი გახდა საჭირო, რათა ამ დანაშაულის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი **"გმირი"** ვანი მერაბიშვილი განსასჯელის სკამზე აღმოჩენილიყო.

მაშ ასე, ბიბლიური შეგონებისა არ იყოს, მცირე სიცრუემ შვა დიდი სიბოროტე, რომელსაც სახელად ედო **მიშა სააკაშვილი!** ამ უკანასკნელის სიცრუე კი მეტად ბოროტი გახლდათ და თითოეული ეს სიცრუე სისხლის სამართლის უმძიმეს დანაშაულს წარმოადგენს.

აი, ისინიც:

– 2008 წლის აგვისტოში პროვოკაციული ომის წამოწყება, რამაც იურიდიულად განამტკიცა შევარდნაძის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოდან ჩამოცილების ვერაგული გეგმა;

– აშკარად არაქართული ძალების მიერ დაგეგმილი ლაფანყურის მზაკვრული ოპერაცია, რასაც ქართველებისა და მოძმე ხალხთა შვილების სიცოცხლე შეეწირა;

– მიწების გაყიდვა უცხოელებზე და საქართველოს ქართველებისაგან გეგმაზომიერად დაცლა;

– პარლამენტის ქუთაისში გადატანა და რემონტის საბაბით ბაგრატის ტაძრისათვის აუნაზღაურებელი ზარალის მიყენება, რამაც შედეგად მსოფლიო კულტურის ძეგლთა სიიდან მისი ამოღება მოჰყვა. ამას კი მოჰყვებოდა საქართველოს პატრიარქობიდან ილია მეორის გადაყენება და ქართული ეკლესიის წინამძღვრად სატანასთან წილნაყარი კალისტრატე წყეულის არჩევა, რომელსაც კელიაში მაცხოვრის ხატის ნაცვლად სააკაშვილის სურათი ეკიდა და პირმოთნეობით გონებაწართმეული საქართველოს ამ დამაქცევარს **"აღმაშენებლად"** მოიხსენიებდა. შემდეგი გეგმა გახლდათ აღმოსავლეთ საქართველოს უცხოტომელთათვის გადაცემა;

– ტელეკომპანია **"იმედის"** დარბევა და **"მზე"**-სთან ერთად კანონიერი მეპატრონეებისათვის წართმევა;

– გლდანის ეკლესიის დარბევა და მართლმადიდებლობის დასაცავად ამხედრებული მოძღვრის დაპატიმრება;

– უაზრო მშენებლობების წარმოება, საიდანაც სააკაშვილი და მისი ბანდა დიდძალ თანხებს ითვისებდა;

– ბიზნესმენთა დაწიოკება და ნაცების ფავორიტი ფირმებისათვის მონოპოლიური გარემოს შექმნა;

– უდანაშაულო ახალგაზრდების ჩახოცვა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში;

– საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბუნდოვნებით მოსილი მკვლელობა;

– აჭარის გათურქება და აფხაზეთის ჩამოცილების მცდელობა ქართული მართლმადიდებლური წიაღიდან;

– მეცნიერების განადგურება, ასეულ მილიონობით ღირებულების მქონე სახელმწიფო ნაგებობების სიმბოლურ ფასად გადაცემა დედამისისა და სხვა ახლობლებისათვის, თანაც 2008 წლის აგვისტოს ომის მძიმე დღეებში;

– მშვიდობიანი მიტინგების დარბევა, რასაც მოჰყვა ადამიანების მსხვერპლი, მათი ცხედრების მაღაზიის სახურავზე შეწყობა და ტრაგედიის მიზეზად ელექტროგაყვანილობაში არსებული ხარვეზის გამოცხადება;

– ქალაქ ქუთაისში მდებარე დიდი სამამულო ომის გმირთა სამახსოვრო მემორიალის ვანდალურად აფეთქება, რასაც სრულიად უდანაშაულო დედა-შვილის სიცოცხლე შეეწირა;

ეს სია არ გახლავთ სრული და დროთა განმავლობაში სააკაშვილისა და ნაცების მიერ ჩადენილ კიდევ უამრავ უმძიმეს დანაშაულს აეხდება ფარდა.

საკვირველია, ცხრა წელიწადი როგორ გავუძელით ამ ნარკომანი შლეგისა და შეურაცხადი მანიაკის თარეშს საქართველოში, მაგრამ ჩვენი ბრალია ყველაფერი, რადგან თავზე დავისვით ეს არაკაცი და მისი გარემოცვა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ღორის ტილს ფეხზე რომ დაისვამ, თავზე აგაცოცდებაო!

ჩვენც დავისვით ფეხზე და ვიდრე თავზე არ აგვაცოცდა, ხელი არ გავატოკეთ. 2012 წლის 1 ოქტომბერს პოლიტიკურ ტილად ქცეულ სააკაშვილს **"ქართული ოცნების"** მიერ შეფრქვეული დუსტის **"არომატი"** ეცა სომხურ დინგში და კონვულსიურად აფართხალდა, თუმცა, ჯერ კიდევ შხმარკალებს და ცდილობს აიცდინოს დამსახურებული სასჯელი. უფრო მეტიც, ძალაუფლებაში დარჩენის დაუძლეველ სურვილსაც კი ამჟღავნებს, მაგრამ ქართველი ხალხი საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი არ დაუშვებს ქვეყნის მოღალატე **"ნაციონალთა"** და მათი თავხედი, შლეგიანი **"ბელადის"** პოლიტიკურ აღორძინებას!

კიდევ ცოტაც, და საქართველო საბოლოოდ განთავისუფლდება შევარდნაძის შხამიანი ფესვებისაგან.

მანამდე კი, მაინც ფხიზლად ვიყოთ, ქართველებო, ძალიან ფხიზლად!

**როლანდ ჯალაღანია**

# ანრი ჯერგენია: „რაც უფრო ვშორდებით ჩვენს უახლოეს წარსულს – აფხაზეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდს, მით უფრო ხშირად დგება საკითხი: „საჭირო იყო კი ხალხის მოწოდება უთანასწორო სისხლისმღვრელი ომისკენ?“

ხუთი წლის წინათ აფხაზეთმა დამოუკიდებლობა მიიღო. თუმცა, ნათელი მომავლის მყიფე იმედი, ქვეყნის სულიერი საყრდენი, წარმატებული განვითარების ყლორტები – ყველაფერი შეიძლება მტვრად იქცეს ადამიანების ამბიციებისა და ანგარების გამო.

აფხაზეთის მოვლენები რუსეთშიც უნდა ახსოვდეთ. იმის შესახებ, თუ რა ხდება რესპუბლიკაში, „АиФ“-ს ესაუბრება პოლიტიკოსი, აფხაზეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და გენერალური პროკურორი ანრი ჯერგენია.

რაც უფრო ვშორდებით ჩვენს უახლოეს წარსულს – აფხაზეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდს, მით უფრო ხშირად დგება საკითხი: განა საჭირო იყო ადამიანების მოწოდება უთანასწორო სისხლისმღვრელი ომისკენ? ფუჭი ხომ არაა მსხვერპლი, თუკი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს შეუძლია ჩვენი ხალხი წლების უკან – უუფლებო, დამოკიდებული უმცირესობის მდგომარეობისკენ დააბრუნოს?

აფხაზეთი დამოუკიდებელი ქვეყანაა, საერთაშორისო სამართლის სუბიექტად დიდი რუსეთის, ვენესუელას, ნიკარაგუას მიერ აღიარებული... მაგრამ სახელმწიფო შეიძლება დარწმუნებული იყოს თავისი სტატუსის ურყევობაში მხოლოდ მაშინ, როცა ის ეკონომიკურად და პოლიტიკურად თვითკმარია. ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, მტკიცედ მიდის ამ მიმართულებით. თუმცა, ამჟამინდელი ხელისუფლების ეკონომიკური სტრატეგია მარჩიელობას ჰგავს იმაზე, აღმოუჩენს თუ არა რუსეთი დაპირებულ ფინანსურ დახმარებას და როგორ დაიხარჯება ის. დემოგრაფიაში – შეგნებულად თუ შეუგნებლად – ხელისუფლება წამგებიან პოლიტიკას ახორციელებს პასპორტების უკანონო გაცემით, ასტიმულირებს გასტარბაიტერების არაკონტროლირებად ნაკადს. ამ დროს, იმის ნაცვლად, რომ სერიოზული და ნამდვილად მნიშვნელოვანი პრობლემები **„მშვიდობიანად“** გადაიჭრას, გარკვეული ხნის წინ აფხაზეთში თითქმის ყველაზე მთავარ თემად ეკლესიათა შორის კამათი აქციეს.

## სულის საგანე თუ ბიზნესი?

აფხაზი სასულიერო პირების სხვადასხვა თაობას შორის უკვე შორს წასული უთანხმოების საფუძველში აღმოჩნდა ბრძოლა ეპარქიის უფრო მოგებიანი ობიექტის – ახალი ათონის მონასტრის ფლობისათვის. ჯერ კიდევ 2009 წლის აპრილში **„ახალგაზრდა მღვდლებმა“** მალულად მიმართეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმიდეს პატრიარქ კირილს აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის რუსული ეკლესიის წიაღში მიღების იდეით (ფორმალურად აფხაზეთის ეკლესია საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაშია – საქინფორმი). თუმცა, ეს იდეა მხოლოდ ჩქმალავდა ახალი ათონის მონასტრის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი დაქვემდებარებას აფხაზეთის ეპარქიის გვერდის ავლით. მიმართვას ხელი მოაწერეს მღვდლებმა დოროთეიმ, ანდრეიმ, დავიდმა, იერეი დოლმატ გოპიამ, მათე ტუჟბამ და ნიკიტა ადლეიბამ. იერეი გოპიამ, ადლეიბამ და ტუჟბამ მოგვიანებით მონანიების წერილი დაწერეს: ისინი შეცდომაში შეიყვანეს, ხოლო მამა ანდრეისა და მამა დოროთეის მთელი ეს წამოწყება მხოლოდ მღვდელმთავრის წოდების მისაღებად დასჭირდათ. არსობრივად, უკვე მაშინ საუბარი ეხებოდა დანაშაულის მომიჯნავე ქმედებებს: შეთავაზებული იყო აფხაზეთის ეპარქიისთვის იმ ქონების ჩამორთმევა, რომელიც მის უვადო და უკუვადო მფლობელობაში იმყოფებოდა.

რაკიღა მოსკოვში სასურველი ვერ მიიღეს, მამა დოროთეიმ, დავიდმა და ანდრეიმ ინტრიგა განაგრძეს. შეწყვიტეს რა მონასტერში აფხაზეთის ეპარქიის მსახურთა შეშვება, 2011 წლის მაისში მათ ჩაატარეს შეკრება, რომელსაც **„საეკლესიო-სახალხო კრება“** უწოდეს. იქ გამოცხადდა **„აფხაზეთის წმიდა მიტროპოლია“** (СМА). დაივიწყეს რა მოსკოვისადმი მცირე ხნის წინანდელი მიმართვა, ინიციატორებმა თავისი ქმედებები ახსნეს აფხაზეთის ეპარქიის უსურვილობით, ებრძოლათ ავტოკეფალიის – დამოუკიდებლობისათვის. სხვათა შორის, ამ დროისათვის განხეთქილების ჩამომგდებლებმა უკვე დაამყარეს კონტაქტები კონსტანტინოპოლისა და ელადის მართლმადიდებელ ეკლესიებთან. კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართოლომეოსთან მოლაპარაკებების დაწყებისას მათ ხმები გაავრცელეს, თითქოს იგი მხარს უჭერდა აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობას. კონსტანტინოპოლის პატრიარქი სიტყვიერად უწინდებურად აღიარებს აფხაზეთის ეკლესიას ქართულის კანონიკურ ნაწილად. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ბართოლომეომ ორმაგი თამაში წამოიწყო, ანდა თავიდანვე აქეზებდა აფხაზ რასკოლნიკებს. მათ კი, თავის მხრივ, ბობოქარი საქმიანობა გააჩაღეს.

## ხალხის მტრების ძიება

ბართოლომეოსადმი მიმართვას აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ აფხაზეთის პარლამენტის 35 წევრიდან ხელი მოაწერა 25 დეპუტატმა და იდეის მხარდასაჭერად მოქალაქეთა ანკეტირება დაიწყო. განხეთქილების ჩამომგდებთა მტკიცებით, საკითხის გადაჭრა 5 ეკლესიის უხუცესი წინამძღოლებს ანდა მსოფლიო ეკლესიას შეუძლია. არც ერთ კანონიკურ დოკუმენტში, ცხადია, ნათქვამი არ არის, რომ 5 ეკლესიას შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ავტოკეფალიის საკითხი, ხოლო მართლმადიდებელი ეკლესიების მსოფლიო კრების მოწვევას უკვე 50 წელია ლამობენ, მაგრამ ორგანიზაციული წინააღმდეგობების გამო ვერ მოახერხეს. და საეჭვოა, უახლოეს წლებში მოახერხონ. ვფიქრობ, ეს კარგად ესმით აფხაზეთის ეპარქიის მოწინააღმდეგეებს, რომლებსაც სინამდვილეში სრულებით სხვა ამოცანა ჰქონდათ. ეგებ შემთხვევითაც, მაგრამ ანკეტის ტექსტიდან გამომდინარეობდა, რომ აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მხოლოდ ქართული და რუსული ეკლესიები გამოდიოდნენ.

როგორც ჩანს, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თავად გამოკითხვის ანტირუსული მიმართულება. მასში მონაწილეობის სურვილის არმქონეებს ანკეტირების ინიციატორები საჯარო გამოსვლებში სულაც ხალხის მტრებს უწოდებდნენ.

თუმცა მთავარი სამუშაო კაბინეტებში მიმდინარეობდა. განხეთქილების ჩამომგდებლებმა შეძლეს მისი დაკანონება, რეგისტრაციაში გაატარეს რა მიტროპოლიის დებულება აფხაზეთის იუსტიციის სამინისტროში. დებულების ავტორები განზრახ საბურველში ხვევდნენ მთავარ საკითხს: რომელი ტაძრის ბაზაზე რეგისტრირდება **„აფხაზეთის უწმიდესი მიტროპოლია“**? თუმცა, დებულებაში ფაქტობრივად ლაპარაკია ახალი ათონის მონასტერზე, მაშინ, როცა მონასტერი, აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტის დადგენილების მიხედვით, ჯერ კიდევ 2010 წელს აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ბიჭვინთისა და სოხუმის ეპარქიებს გადაეცათ უანგარო და უვადო მფლობელობაში. იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირებმა ან არ შეისწავლეს დებულება რეგისტრაციამდე – წინააღმდეგ შემთხვევაში უკანონოდ დაკავებული მონასტრის გათავისუფლება უნდა მოეთხოვათ, ანდა... ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო სახელმწიფოს უმაღლესი ხელმძღვანელობის, პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბის გარეშე, თანაც მისივე ამასწინანდელი განცხადებების საპირისპიროდ. რუსეთ-აფხაზეთის მეორე ჰუმანიტარულ ფორუმზე ის ამბობდა, რომ აფხაზი და რუსი მართლამიდიდებლების მჭიდრო კავშირი საფუძველს აძლევს, სწორედ მოსკოვის პატრიარქს მიმართოს აფხაზი ეპისკოპოსის ხელდასხმის თხოვნით. აფხაზეთის ხელისუფლებამ მიტროპოლიის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებით დაასრულა განხეთქილება აფხაზურ მართლმადიდებელ ეკლესიაში.

## ვინ დარჩა მოგებული?

СМА-ს დებულების რეგისტრაციამ საშუალება მისცა მამა დოროთეისა და მის მომხრეებს, კონსტანტინოპოლის პატრიარქისგან მიეღოთ ანტიმინსები – უფლება, განახორციელონ საეკლესიო რიტუალები კონსტანტინოპოლის კლირიკების სახით. განხეთქილების ჩამომგდებლებმა თავისას მიაღწიეს – განიმტკიცეს მდგომარეობა ახალი ათონის მონასტერში მღვდელმთავრებად გადაქცევის პერსპექტივით.

ახლა აფხაზეთში მოქმედება შეუძლიათ აფხაზეთის, ბერძნულენოვანი კონსტანტინოპოლისა დ ელადის ეკლესიების ღვთისმსახურებს. რომელი მათგანისთვის ითხოვენ დღეს ავტოკეფალიას?

უდავოდ მოგებული აღმოჩნდა პატრიარქი ბართოლომეოც. აფხაზეთში ეკლესიური განხეთქილება აძლიერებს მის გავლენას აფხაზ კლირიკებზე. მომავალში კი აფხაზ საზოგადოებაში განხეთქილების ჩამოგდებასა და ანტირუსული განწყობის გაძლიერებას ემსახურება. ეს სწორედ ისაა, რაზეც სულ ახლახან მხოლოდ ოცნებობდნენ აფხაზეთის დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეები დასავლეთში, რომლებსაც ბართოლომეო წარმოადგენს. ნუთუ ეს თავიდანვე არ ესმოდა აფხაზეთის ხელისუფლებას? თუ საეკლესიო სკანდალი მოწოდებული იყო იმისკენ, რომ საზოგადოების ყურადღება ნამდვილი პრობლემებიდან გადაეტანა, მაგრამ უკონტროლო გახდა? მანამ, სანამ აფხაზეთის მოქალაქეები ვერ გაიგებენ, სადამდე მიიყვანა ისინი კინკლაობამ, ჩვენი სახელმწიფოს ნგრევა შიგნიდან და სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხე შენარჩუნდება.

**საქინფორმი**

# რევოლუციური წრთობის ჩეკისტი

### *ეს ჩვენი საერთო წარსულია. გავუფრთხილდეთ მას!*

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველივე დღეებიდან აფხაზეთში საგანგებო კომისიის ორგანოების ჩამოყალიბების სათავეებთან იდგნენ გამოჩენილი რევოლუციონერები ეფრემ ეშბა, ნესტორ ლაკობა, მიხეილ ცაგურია, სევერიან კუხალეიშვილი, ერმალო დამენია, ნიკოლოზ ბახტაძე და სხვები. არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ ამიერკავკასიის მასშტაბით, ერთ-ერთი უბადლო ჩეკისტი გახლდათ ალექსი სერგოს ძე აგრბა.

აი, რას მოგვითხრობს ამ პიროვნების თაობაზე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ბატონი ბ. ა. საღარია: ალექსი აგრბა დაიბადა 1897 წელს გუდაუთის მაზრის სოფელ ლიძააში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ადრეულ ასაკში დაჰკარგა მამა და მძიმე პირობებში იზრდებოდა. ავტობიოგრაფიაში ალექს აგრბა წერდა: **“დედაჩემს 7 ბავშვი დარჩა გასაზრდელი. მათ შორის უფროსი 14 წლის იყო. ნახევრად მშივრები ვიყავით, თანასოფლელებისა და ნათესავების დახმარებით ვცხოვრობდით”.**

სოფლის სკოლაში ერთი წლის სწავლის შემდეგ თანასოფლელებმა უშუამდგომლეს, რომ ნიჭიერი ბიჭი ახალი ათონის ინტერნატში ჩაერიცხათ. შემდეგ იგი შედის გუდაუთის ორკლასიან სამასწავლებლო სკოლაში, რომელსაც ამთავრებს 1912 წელს. როგორც წარჩინებული მოწაფე, სოხუმის სასწავლო ოლქმა იგი მიავლინა ალექსანდრე გრუშევის სემინარიაში, მაგრამ უსახსრობის გამო ალექსიმ ვერ შესძლო სწავლის დასრულება და მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. ერთი წლის შემდეგ იგი შევიდა სოხუმის ორწლიან სამასწავლებლო კურსებზე, რომლის დამთავრებისთანავე სახალხო მასწავლებლად დაუბრუნდა საკუთარ სოფელს. სწორედ აქ მოუსწრო მას 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ.

მალე სოფელ ლიძაას მოსახლეობამ ალექსი აგრბა საერთო კრებაზე აირჩია საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის მდივნად. 1918 წლის დასაწყისიდან ა. აგრბა ბოლშევიკურ პოზიციაზე დადგა და მჭიდრო კავშირი დაამყარა რკპ(ბ) გუდაუთის და სოხუმის საოლქო კომიტეტებთან. იგი დიდ მუშაობას ეწევა გაგრის უბნის სასოფლო თემების გლეხებს შორის, თანამებრძოლებთან ერთად.

1920 წლის ივნისში ა. აგრბა სხვა თანამებრძოლებთან ერთად დააპატიმრეს და მკაცრად დასჯას უპირებდნენ, მაგრამ მალე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა და ეს სასამართლო პროცესი აღარ შედგა. ამის შემდეგ აგრბა ბოლშევიკურ მოვალეობას იხდის ფოთში, ქუთაისში, ბათუმში...

სოციალისტური სახელმწიფოს გარიჟრაჟზე დიდი მოთხოვნილება იყო განათლებულ და უნარიან კადრებზე, რომლის დეფიციტი დიდად ამუხრუჭებდა საერთო განვითარების პროცესებს. ამის გამო, ხშირად ხდებოდა, რომ ადამიანები, არც თუ იშვიათად, ისეთ თანამდებობებს იკავებდნენ, რომელიც შორს იდგა მათი პროფესიისაგან, მაგრამ რევოლუციური პასუხისმგებლობა ავალებდა მათ, რომ დღე და ღამე გაესწორებინათ, მაგრამ მინდობილი საქმე ბოლომდე მიეყვანათ.

ალექს აგრბაც ერთ-ერთი ასეთი **“შეწირული”** გახლდათ რევოლუციურ საქმეს და, ამიტომ, შემდეგ იგი კოდორის სამაზრო რევკომის თავმჯდომარედ დაინიშნა. 1922 წელს ალექსი აგრბა დააწინაურეს აფხაზეთის სამხედრო-საზღვაო ძალების პოლიტიკურ კომისრად. ამავე დროს, იგი შეთავსებით ასრულებს აფხაზეთის სახკომსაბჭოსა და საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას.

მალე იგი საქართველოს კომპარტიის ცეკას განკარგულებაში გაიწვიეს და იგი დაინიშნა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის საერთო განყოფილების უფროსად. ამავე დროს, აგრბა შეიყვანეს ამიერკავკასიისა და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოების კოლეგიის წევრად, მალე კი დააწინაურეს აზერბაიჯანის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილედ, შემდეგ კი – თავმჯდომარედ.

აქედან კი ა. აგრბა, საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით, დაინიშნა ამიერკავკასიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსად, რაც იმ მძიმე ჟამს, როცა საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებდა სამკვდრო-სასიცოცხლო ომს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, მეტად საპასუხისმგებლო პოსტი გახლდათ. მინდობილი საქმის წარმატებით შესრულებისათვის ალექს აგრბას ხშირად აჯილდოებდნენ, როგორც საქმის ერთგულ მუშაკს, რაც მის სამსახურეობრივ კარიერაშიც აისახა და 1934 წლის თებერვალში ა. აგრბა აზერბაიჯანის კომპარტიის ცეკას მეორე მდივნად იქნა არჩეული. ეს უკვე საკავშირო მასშტაბის აღიარება გახლდათ, რაც მხოლოდ ერთეულთა ხვედრი იყო.

მიუხედავად ურთულეს საქმიანობაში მიღწეული ამგვარი წარმატებებისა, ალექს აგრბას გული მაინც სამშობლოსაკენ მოუწევდა და დიდი იყო მისი სიხარული, როცა იგი აფხაზეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს.

1936 წელს ა. აგრბა ლენინის ორდენით დაჯილდოვდა, საერთოდ კი მთავრობამ მისი დამსახურება ოთხი ორდენითა და თორმეტი მედლით აღნიშნა.

სამშობლო ღირსეულ პატივს მიაგებს ერთგული შვილის ხსოვნას!

**ლავრენტი ბერაია,**
**გალის რაიონის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე**

# ამბები სამეგრელოდან



## სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურს ახალი სახანძრო მანქანა გადაეცა

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისათვის შეძენილ იქნა სპეცტექნიკა – სატრანსპორტო საშუალება (სახანძრო ავტომანქანა КАМАЗ-АС8).

ახალი სპეცტექნიკის საშუალებით ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა, შესაბამისი სამსახურის მეშვეობით, საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად შეძლებს სახანძრო დაცვის და სამაშველო საქმიანობის განხორციელებას, მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება, რომ შემთხვევების დროს მიიღოს ხარისხიანი მომსახურება. მუნიციპალიტეტს ასევე ექნება საშუალება საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაუწიოს მეზობელ მუნიციპალიტეტებს.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი კახაბერ ბენიძე ახალ შეძენილი სახანძრო მანქანის გაცნობისა და ათვისების პროცესს დაესწრო. ტექნიკის შესაძენად გამოიყო 212.989 ლარი და მოწოდებულ იქნა ტენდერში გამარჯვებული შპს **„ბიზნეს ჯგუფი 2010“**-ის მიერ.

## „ცოტნეობის“ დღესასწაული

აგვისტოში ქ. ხობში ჩატარდა ტრადიციული საეკლესიო-საერო დღესასწაული **„ცოტნეობა“**. ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში 9:00 საათზე წირვა აღავლინა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა, ასევე სხვადასხვა სახალისო პროგრამა იქნა წარმოდგენილი ხობის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოეწყო ხალხური ყოფის




ამსახველი ფრაგმენტების ჩვენება, ქართული პოეზიისა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშების წარმოდგენა, ეთნოგრაფიული მასალების, ხალხური ყოფისა და რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა, სპორტული თამაშობანი (ქართული ჭიდაობა, მკლავჭიდი, ჭადრაკი, ნარდი, მაგიდის ჩოგბურთი) და ბოლოს, თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეობით გაიმართა საინტერესო კონცერტი.

## “სამალავში აღმოჩენილი იარაღი თავდაცვის სამინისტროს იარაღი არ იყო”

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ მას არ აქვს უფლება, სამეგრელოში აღმოჩენილ იარაღსა და სამალავის შესახებ კომენტარი გააკეთოს. **“ერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ეს არ იყო თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებული ღონისძიება და არ იყო თავდაცვის სამინისტროს იარაღი. ყველა ჩვენი იარაღი, მათ შორის ყველა ტიპის იარაღი, აღრიცხულია. აქედან გამომდინარე, რა მიმართულებით წავა გამოძიება, ამას უკვე გამოძიება დაადგენს. მე არანაირი განცხადებების გაკეთების უფლება არ მაქვს”**, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამეგრელოში სპეციალური სამალავებია აღმოჩენილი, სადაც, ფეთქებად ნივთიერებებთან ერთად, წამებისა და შეურაცხმყოფელი მოპყრობის ამსახველი ვიდეოფირები, ნარკოტიკები და წინა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პირების მონაცემების შემცველი არქივია ნაპოვნი.

ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო გიორგობიანმა სპეციალური ბრიფინგი გამართა. გიორგობიანის განცხადებით, სამალავი სამეგრელოში ყოფილი ხელისუფლების შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების უშუალო ორგანიზებითა და ხელმძღვანელობით მიწისქვეშ შენიღბულად იყო მოწყობილი.

## არქიტექტურული ნაგებობის აღმოჩენა ინგირში

აგვისტოს დასაწყისში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ინგირის ტერიტორიაზე მდებარე რკინიგზის სადგურიდან დაახლოებით 50 მ.-ის დაშორებით, გზის სამუშაოების შესრულებისას, გამოიკვეთა აგურისგან ნაგები ობიექტის კონტურები, რის შესახებაც ეცნობა შესაბამის სპეციალისტებს.

ობიექტის ვიზუალური დათვალიერებით გაირკვა, რომ გამოვლენილი ობიექტი წარმოადგენს აგურის სწორი წყობით ამოყვანილ, თაღოვანი გადახურვით შესრულებულ არქიტექტურულ ნაგებობას. სავარაუდოდ მისი დანიშნულება წყლის კოლექტორის ფუნქციაა. არხი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებითაა წაგრძელებული (ე.ი. დაბლობისკენ) და დაახლ. 30% დაქანებით ხასიათდება. სიგრძე 4 მეტრი, სიგანე 0.80 მ. სიღრმე სავარაუდოდ 1.5 მ. აგური წითლადაა გამომწვარი და სტანდარტული ზომისაა, ერთმანეთან შედუღაბებულია კარგად განლექილი ქვიშისა და კირის ხსნარით.

აღნიშნული არქიტექტურული ობიექტის აგების ქრონოლოგიის, ფუნქციური დანიშნულებისა და სამშენებლო ტექნიკის განსაზღვრა მომავალი შედარებით კომპლექსური გამოკვლევებითაა შესაძლებელი.

აღნიშნული ნაგებობა სავარაუდოდ გასულ საუკუნესაა შესრულებული.

## ახალი სასწავლო წლისთვის ზუგდიდში საბავშვო ბაღების უმრავლესობა გარემონტდა

ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშისა და დიდინეძის საბავშვო ბაღებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლებმა გიორგი თოდუამ და გიზო სართანიამ დაათვალიერეს. კაპიტალური რემონტი მიმდინარეობს სოფელ ცაიშის საბავშვო ბაღში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის სპეციალურად შეიქმნა პანდუსები და სველი წერტილები.

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გარემონტებული ბაღები ახალ ავეჯსა და ინვენტარს მიიღებენ. ნარაზენის №2 საბავშვო ბაღში უახლოეს დღეებში დაიწყება ძირეული სარემონტო სამუშაოები და სასწავლო წლის დასაწყისში შენობა თანამედროვე სტანდარტებს დააკმაყოფილებს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბაღების სარემონტო სამუშაოები ორგანიზაცია **„NEO”**-ს თანადაფინანსებით ხორციელდება.



# ასე ვინ დაგვწყევლა?

ბოლო პერიოდში მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებიან, რაც ყოველდღიურად აყენებს დღის წესრიგში უამრავ აქტუალურ საკითხს. აგერ იყო და, ამერიკული გემი გვეწვია, გამოქვეყნდა ახალი დასკვნა 26 მაისის მოვლენებზე, ასე რომ, უკან მოხედვას ვეღარ ასწრებ ადამიანი, რომ წინ ახალი სიურპრიზები გელის!

ამერიკულ გემზე შეხვედრისას, ვინც ყავლგასული პრეზიდენტის **“სიტყვა”** მოისმინა, უთუოდ გაიფიქრებდა, რომ **“ცხოველს არ ძალუძს სწავლა, მისი გახედვნაა მხოლოდ შესაძლებელი”** და ისიც ადრეულ ასაკში. რაც შეეხება სააკაშვილის გამოსვლას, რომლის თავი და ბოლო ვერც ჩვენ გავიგეთ და ვერც ამერიკელებმა, დიდი პოლიტიკური შეფასება მისცეს მხოლოდ ნაციონალთა ნარჩენებმა, რომელთაც ყაყანსა და სიცრუის ფრქვევაში ვერავინ სჯობნის. განსაკუთრებით გამოიდო თავი ქალბატონმა ირმა ნადირაშვილმა, რომელიც ცდილობდა დავერწმუნებინეთ, რომ სააკაშვილი უიშვიათესი ეკზემპლარია! ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ სააკაშვილს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ფსიქოლოგებმა და ნევროპათოლოგებმა, რადგან იგი მართლაც ფსიქოზის იშვიათი ფორმითაა დაავადებული. ამერიკელებიც კი დარწმუნდნენ, რომ სააკაშვილს არ ძალუძს თუნდაც სამი წუთის განმავლობაში ისაუბროს განსაზღვრულ თემაზე. მისი კოზირი ყოველთვის იყო თანამდებობის მაღალი ტრიბუნიდან საუბარი, ხოლო ყოველი სახის შეკითხვისადმი, განსაკუთრებით, თუ იგი მისთვის უხერხულ თემას ეხებოდა, სააკაშვილი წარმოუდგენელ აგრესიას ავლენდა და ტრიბუნიდან გარბოდა (გაიხსენეთ პარლამენტში მის მიმართ ბაღათურიას მიერ დასმული შეკითხვა იმის თაობაზე, რომ სააკაშვილის **“ხელგაშლილობის”** წყალობით დედამისი – გიული ალასანია დანაშაულებრივი ხერხების გამოყენებით დაეუფლა ათეულ მილიონობით ღირებულების ქონებას).

სააკაშვილი მუდამ თვითდამკვიდრების მცდელობაშია, ყველაზე მაღლა მხოლოდ პირად ინტერესებს აყენებს რაც ცუდი აღზრდის და უზნეობის შედეგია. სწორედ ამიტომ იქცა საქართველო ცხრა წლის განმავლობაში უსამართლობისა და ძალმომრეობის არენად, რომელშიც ჩაიკარგა უბრალო ადამიანის ღირსება და მოქალაქეობრივი უფლებები. მის თავხედობას კი დანაშაულებრივად უკრავდნენ კვერს ავადსახსენებელი ნაციონალები, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ კლიმატს. საქართველო თავხედური სახელისუფლებო ტერორის ქვეყნად იქცა, ციხეები ხალხს ვერ იტევდა, თავისუფლებაზე მყოფნი კი უკანმოუხედავად გარბოდნენ საქართველოდან. სააკაშვილისა და მისი ბანდის მთელი მოღვაწეობა მიმართული იყო საქართველოს განადგურებისაკენ!

არავინ იცის, როგორ წავიდოდა ქვეყნის საქმე, რომ არ გამოჩენილიყო ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც აიყოლია გაბახებული, ჩაწიხლული და დათრგუნული საზოგადოება და არაქართული ეთნიკური წარმოშობის პოლიტიკური ბანდიტებისაგან დაიხსნა სამშობლო! სააკაშვილმა და მისმა არაკაცებმა (არაქალებმაც) კი ვერა და ვერ შეიგნეს, რომ ისინი სქელი პოლიტიკური ნისლით აკნინებდნენ და ჰყოფდნენ საზოგადოებას, რათა წინააღმდეგობის გაწევის უნარი ჩაეკლათ მათში, ქვეყნის დამოუკიდებლობა კი მხოლოდ ფარატინა ქაღალდზე დატოვეს, საქართველო ევროამერიკელ გლობალისტთა სათარეშო კოლონიად აქციეს და უძველესი ლამაზი ტრადიციების მქონე ქვეყანა არატრადიციული სექსუალური თუ პოლიტიკური მიდრეკილებების მქონე ერთ მუჭა გადაგვარებულებს ჩაუგდეს ხელში. წარმატებას ვერ მიაღწევდი, თუ ჰომოსექსუალი ან კახპა არ იყავი და ქართულ ლამაზ წეს-ჩვეულებებს თუ არ ჩაწიხლავდი!

ამერიკელები კი კვლავაც ცდილობენ **“ნაცთა”** სიბინძურეების **“გათეთრებას”** და ისეთი დასკვნა გამოგვიგზავნეს 26 მაისის მოვლენებზე, რომ ლამის დამნაშავეებად გამოიყვანონ უსამართლობასთან გამართული უთანასწორო ბრძოლისას ზონდერთა ხელით დაღუპული ქართველი პატრიოტები!

თუმცა, ამერიკელთა სიმართლე ვის უნახავს, რომ ჩვენ ვნახოთ?!

ამერიკელებისთვის მიუღებელია ისიც, რომ ქართველი ხალხი სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს და ამიტომაც მოგვახვიეს თავს ყველასათვის მიუღებელი კოაბიტაცია, რაც მძიმე დანაშაულებისადმი შემრიგებლობის ტოლფასი გახლავთ. ეს კი იმაზე მძიმე დანაშაულია, რაც სააკაშვილმა და ნაცებმა ჩაიდინეს ქვეყნის წინაშე!

საინტერესოა, ასე ვინ დაგვწყევლა, რომ თითო მოძალადე ყოველთვის დაგვყარყაშებს თავზე?

ახლა კი ქართული საზოგადოება მოუწოდებს ახალ ხელისუფლებას, რომ დიპლომატიურად, მაგრამ მკაფიოდ მიუჩინონ თავისი ადგილი იმ სახელმწიფოებს, რომლებიც უხეშად ერევიან ჩვენს შიდა საქმეებში. განა სწორედ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან გათავხედებულმა მიხეილ სააკაშვილმა და მისმა გაბანდიტებულმა თანამზრახველებმა არ დააზარალეს საქართველო და ქართველი ერი? ამიტომ, არ უნდა გვეშინოდეს ზოგი ამერიკელი კონგრესმენის სააკაშვილთან დანაშაულებრივი კავშირის გამომზიურებისა, რათა მომავალში ვერავინ გაბედოს ჩვენს შიდა საქმეებში უაპელაციოდ ჩარევა!

ისე, კარგია ამერიკელებს შევაგნებინოთ, რომ მათი რეიტინგი ქართულ მოსახლეობაში უკვე აბსოლუტური ნულის ტოლია და დროა **“ღირსეულად”** დასტოვონ აქაურობა!

**როზმირ გოგენია,**
**ზუგდიდი**



## მშვენიერი წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩქვალერს სამკაულად მორგებია მდინარე ინწრა 35 მ სიმაღლიდან ეშვება მდინარის ჩანჩქერი და ხავსების საუფლოში, ბზის ათასწლოვან კორომთა შორის მირაკრაკებს. აქ ყველაფერი მისტიკური ეჩვენება ადამიანს – ვიწრო ბილიკი ალპური მინდვრებისკენ უხმობს თავგადასავლის მოყვარულს, ყოველი ნაბიჯი ყვირას მასივს გააახლოებს.

აქ ამოსულ ტურისტებს მრავალმხრივი სანახაობა ელოდებათ თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ჭითაგვალას და ტობავარჩხილის შემოგარენი გპირდებათ. ზღვის დონიდან 2664 მ-ზე “ჭითაგვალას ტობავარჩხილი” ჯერ მაგანას ჩანჩქერს მოგაგებებთ, მერე კი გულში ჩაგიკრავთ და საუკუნოვან მითთა იდუმალებით მოგხიბლავთ.

# ვის ტოვებს ივანიშვილი მემკვიდრედ?




ვინ სარგებლობს ბიძინა ივანიშვილის დიდი ნდობით და ვინ იქნება შემოდგომაზე პრემიერ-მინისტრის პოსტზე?! – მიუხედავად იმისა, რომ პოლიტოლოგებისა და თავად საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლების განცხადებით, პრემიერი თანამდებობიდან არ უნდა წავიდეს, სავარაუდო შემცვლელზე კულუარული საუბრები მაინც დაიწყო.

ირაკლი ღარიბაშვილი, თეა წულუკიანი, დავით უსუფაშვილი თუ ლევან ვასაძე – თითქმის ყველა ექსპერტი ამ ოთხ პიროვნებას განიხილავს, მათგან ყველაზე მეტად კი შს მინისტრის, ღარიბაშვილისა და იუსტიციის მინისტრის, წულუკიანის გვარებს ასახელებენ.

ახლა უკვე ესტონურ გამოცემასთან ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილი ღიად აცხადებს, რომ არჩევნების შემდეგ ის პრემიერობიდან მიდის და აქვს იდეა იმასთან დაკავშირებით, ვინ შეიძლება მისი ადგილი დაიკავოს. წასვლის თაობაზე ოფიციალურ განცხადებას და შემცვლელის ვინაობას კი, სავარაუდოდ, ოქტომბერში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებიდან რამდენიმე დღეში დაასახელებს.

**“ვაპირებ, მალე დავტოვო პოლიტიკა. როგორც კი სააკაშვილი წავა და ახალი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში დავრჩები. ჩვენ კარგი გუნდი გვყავს, ჩვენგან ძალიან საინტერესო პრეზიდენტს აირჩევენ, პარლამენტს ძალიან კარგი სპიკერი ჰყავს და მე მაქვს მოსაზრება იმის თაობაზე, თუ ვინ შეძლებდა, ჩემი ადგილი დაიკავოს. არ მსურს, ფსონი მუდმივად ერთ ადამიანზე კეთდებოდეს, ეს ცუდი იქნება საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისთვის. ყველაზე მნიშვნელოვანი ეს სამი პოსტია და მჯერა, რომ ყველა მათგანი ღირსეულ ადამიანებს, დემოკრატებს ერგება. აუცილებელია დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა (ამჟამინდელი მოსამართლეები სააკაშვილის მიერ არიან დანიშნული) და თავისუფალი მედია. ახალი სისხლია საჭირო”,** – ვკითხულობთ ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუში, რომელიც ესტონეთის გამოცემა **“postimees”**-მა გამოაქვეყნა.

პოლიტიკურ ექსპერტთა აზრით ივანიშვილის პრემიერობიდან წასვლა ქვეყნისთვისაც და თავად ივანიშვილის იმიჯისთვისაც ცუდი იქნება. თუმცა, სავარაუდო კანდიდატებად ირაკლი ღარიბაშვილს, თეა წულუკიანს და მცირე ალბათობით, ლევან ვასაძესაც განიხილავენ. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამერიკელებმა ივანიშვილი შირმად გამოიყენეს, რათა საქართველოში ხელისუფლება არ შეცვლილიყო:

**“დავუშვათ, უმრავლესობა დაჰყვა პრემიერის ნებას და პრემიერად აირჩიეს ის, ვინც მას უნდა. ვინ იქნება პრემიერი, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან პოლიტიკური სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვლება. მოსახლეობამ ნდობა ივანიშვილს, როგორც პიროვნებას, გამოუცხადა და ხმა მას მისცა, ამიტომ ნებისმიერი შენაცვლებით საეჭვოა, ისეთივე სიტუაცია შენარჩუნდეს, რაც დღეს არის.**

**ვინ იქნება? ჩვეულებრივ, პრემიერ-მინისტრის პორტფელი ერგება ფინანსთა მინისტრს, როგორც ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფიგურას, მაგრამ თუ საფრანგეთის მაგალითს გავიხსენებთ, შესაძლებელია, ქვეყნის რეალური პირველი პირი შს მინისტრი გახდეს. ჩვენ შემთხვევაში შს მინისტრისაკენ უფრო იხრება სასწორი, რამდენადაც ღარიბაშვილი ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირია. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ თეა წულუკიანის შემართებას და კოალიციაში მის ადგილს, მის გაპრემიერებასაც არ გამოვრიცხავ. ასევე საინტერესოა ბიზნესმენ ლევან ვასაძის კანდიდატურაც. თან, მარგველაშვილის გვერდით გამოჩნდა ამ ბოლო დღეებში”.**

როგორც ექსპერტები ამბობენ, შესაძლოა, არსებობდეს ჩანაფიქრი, რომ ივანიშვილმა თანამდებობის გარეშე მართოს საკუთარი კოალიცია და ასეთი განაცხადი ხშირად გაკეთებულა, მაგრამ გვეეჭვება, თანამდებობის გარეშე საქართველოში სახელმწიფოს მართვა მოხერხდეს.

**“ჩინეთის გარდა, თანამდებობის გარეშე ქვეყნის მართვის ანალოგიური შემთხვევა არ გვახსენდება. რაც უნდა დიდი სოციალური ავტორიტეტი ჰქონდეს ადამიანს, ჩვენთან არ არის ის მენტალიტეტი, რომ თანამდებობის გარეშე ვინმეს დაუჯერონ. ივანიშვილი მიდის იმიტომ, რომ მისთვის პოლიტიკა რთული სფეროა და ეს არაერთხელ უთქვამს, მაგრამ როგორ უნდა გაძლოს და მთელი ცხოვრება როგორ უნდა გაჰყვეს განცდა, რომ ის ქართულმა პოლიტიკამ დაამარცხა?!**

**თუკი გათვლაა, რომ ოთხი წლის მერე არჩევნებზე ისევ გამოჩნდეს, ხმას ვეღარ მიიღებს, ხალხისთვის ის იქნება პიროვნება, რომელმაც შუა გზაში მიატოვა. თან, მომავალ არჩევნებში ხმას ვერც მისი გუნდი მიიღებს და შეიძლება მომავალში გამარჯვებული “ნაციონალური მოძრაობაც”** კი ვიხილოთ.

**ამიტომ ვამბობთ, რომ სიტუაცია და მისდამი დამოკიდებულება შეიცვლება. ილია ჭავჭავაძეზე აიცრუა ხალხმა გული... ამიტომ ივანიშვილის გადადგომა მისი სახელისთვისაც და საქართველოსთვისაც საზიანო იქნება”,** – ამტკიცებენ ექსპერტები.

**თსუ**-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი კორნელი კაკაჩია ამბობს, რომ ყველაზე მეტად სავარაუდო მომავალი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილია. ის ივანიშვილთან ყველაზე დაახლოებულია, მოდის **“ქართუ”** ფონდიდან და დღესაც ჩანს, რომ ივანიშვილის გარეშე, მინისტრობის რანგშიც კი, ერთ ნაბიჯს არ დგამს.

რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენის, ლევან ვასაძის კანდიდატურას კი კატეგორიულად გამორიცხავს.

**“მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესმენი ლევან ვასაძე გამოჩნდა მარგველაშვილის წინასაპრეზიდენტო კამპანიაში და შესაძლოა, რაღაც ვარაუდებიც გააჩინა, მის კანდიდატურას გამოვრიცხავ. რუსეთთან დაკავშირებით ვასაძის განცხადებები ყველას ახსოვს, ამიტომ მისი გაპრემიერება უკვე საგარეო პოლიტიკის ცვლილებად შეფასდება და არ მგონია, ასეთი რისკი ივანიშვილმა დაუშვას.**

**ძალიან რთულია ვარაუდების მიხედვით მსჯელობა, მაგრამ ფაქტია, რომ პრემიერი იქნება ივანიშვილის თანამოაზრე და აუცილებელი არ იქნება, მაინცდამაინც მისი დღევანდელი გუნდიდან აარჩიოს.**

### იქნებ დავით უსუფაშვილი?

**მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის სპიკერია, მას ბოლო ხანებში ძალიან დიდი მოწონება აქვს საზოგადოებაში. თუმცა, ჩვენ არ ვიცით, მას როგორი ურთიერთობა აქვს თავად ივანიშვილთან, გაპრემიერებისათვის კი ნდობა მნიშვნელოვანია. ამდენად, ღარიბაშვილი ყველაზე მეტად სავარაუდოა. მას ყველაზე მაღალი ნდობა აქვს, თან, პარტია “ქართული ოცნების” წევრია და დღესაც, შს მინისტრის პოსტზეც კი, ჩანს, რომ ივანიშვილის გარეშე ნაბიჯს არ დგამს”,** – ამბობს კორნელი კაკაჩია.

ქართულ პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული ექსპერტებიც ივანიშვილის შემცვლელად პირველ რიგში ღარიბაშვილს განიხილავენ. თუმცა ამბობენ იმასაც, რომ არჩევნებამდე დიდი დროა და შესაძლოა, პრემიერმა გადადგომაზე აზრი შეიცვალოს.

**“დღეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არ ჩანს გამორჩეული ლიდერი, მით უმეტეს, კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატი არ არის ძლიერი პიროვნება, პოლიტიკაში აბსოლუტურად ნეოფიტია და თუ ივანიშვილი მართლა აპირებს პოლიტიკიდან წასვლას, ნდობის ფაქტორიდან გამომდინარე, მხოლოდ ღარიბაშვილზე თუ შეაჩერებს არჩევანს.**

**ფაქტია, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა სერიოზული პლუსი და ქულა ჩაიწერა თავის პოლიტიკურ ყულაბაში, უკანასკნელ სამალავებთან და ფირების განადგურება-არგანადგურების საკითხში, ასევე გახსნილობით. შს სამინისტრო აღარ არის წინანდელივით ჩაკეტილი უწყება და ეს ღარიბაშვილის აქტივია.**

**არც თეა წულუკიანს გამოვრიცხავთ, რომელიც კოალიციაში დანარჩენ მინისტრებთან შედარებით მთელი თავით მაღლა დგას. თანაც, ივანიშვილის მხრიდან არასოდეს გვსმენია წულუკიანის კრიტიკა. გვახსოვს, ივანიშვილსა და ირაკლი ალასანიას შორის გაუგებრობისას წულუკიანმა საკუთარი პარტიის ლიდერის მხარე არ დაიჭირა, სწორი პოზიცია დაიკავა და თქვა, რომ პრემიერს უფლება აქვს, ნებისმიერ მინისტრს შენიშვნა მისცესო.**

**წულუკიანი, სამართლიანადაც, თავის უფროსად ალასანიას აღარ განიხილავს. თუმცა, პარლამენტში ალასანიას პარტიის სხვა წევრები უფრო ღია პროალასანიურები იყვნენ.**

ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ წულუკიანი სტუდენტობის დროსაც კი გამოირჩეოდა თავისი დამოუკიდებელი ხასიათით. ეს დამოუკიდებლობა რამდენად აძლევს ხელს ივანიშვილს, რთული სათქმელია. წულუკიანის პრემიერობის შემთხვევაში ბევრი რამ შეიცვლება, თუ გნებავთ, ივანიშვილის ძალიან ახლო, არაფორმალური თუ ნახევრად ფორმალური გარემოცვიდან ბევრი ვეღარ დარჩება. წულუკიანი ასეთ მემკვიდრეობაზე უარს იტყვის და ამაში ეჭვი არავის ეპარება.

**დავით უსუფაშვილიც შეიძლება – ძალიან კარგი სპიკერია და შეიძლებოდა მისი კანდიდატურის განხილვაც, მაგრამ საზოგადოებაში “რესპუბლიკელებს” კარგი რეპუტაცია არ აქვთ. თანაც, “რესპუბლიკური პარტიის” უზომო გაძლიერებას ხელისუფლებაში შეიძლება პრობლემები მოჰყვეს, კოალიციის სხვა წევრებმა შეიძლება ზომაზე მეტად ინერვიულონ და იეჭვიანონ. ამას პლუს ისიც, რომ პარლამენტიდანაც, სადაც “ნაციონალური მოძრაობა” ძლიერადაა წარმოდგენილი, არ მგონია, იქიდან უსუფაშვილი მოაშორონ”.**

ექსპერტები შიშობენ, რომ ივანიშვილი თავისი წასვლით ძალიან მძიმე მემკვიდრეობას დატოვებს: **“ივანიშვილის წასვლა ნაადრევია. არჩევნების შემდეგ 6 თვე მაინც უნდა დარჩეს. ივანიშვილის წასვლით უცებ გაქრება ის სამაგრეები, რომელიც ამ კოალიციას ამაგრებს. კოალიციაში არიან პარტიები, პიროვნებები, რომლებსაც ამბიციები სახურავზე მაღალი აქვთ, ამიტომ საქმე მარტივად არ არის”.**

ივანიშვილის ასე ნაადრევად წასვლა ქართული პოლიტიკიდან ფრიად არასასურველი პოლიტიკური როქი რომ იქნება, ამის თაობაზე უკვე გააფრთხილა საზოგადოება ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ თავის ერთ-ერთ ინტერვიუში – **“საქართველო ჩინეთი არაა და არც ივანიშვილია დენ სიაოპინი. ბიჭები, რომლებსაც იგი დაუტოვებს ძალაუფლებას, ორიოდე თვეში დაივიწყებენ მის არსებობას”: “თუ ეს პიარია, მაშინ ეს მას ავტორიტეტს არ გაუზრდის ქართულ საზოგადოებაში. თუ მას იმ სპექტაკლის განმეორება სურს, როდესაც შევარდნაძის წინაშე თბილისის საზოგადოების ნაწილმა მუხლი მოიდრიკა, ამის გამეორება უკვე ფარსი იქნება. მეტიც, ასეთი პროვინციული კეკლუცობა ქვეყნის ინტერესებს ვნებს. იგი ჩვენ გვპირდება რაღაც საგარეოპოლიტიკური ინიციატივების წამოწევას, რუსეთთან მოლაპარაკებების წარმართვას, ეკონომიკაში მსხვილი კერძო ინვესტიციების მოზიდვას, მაგრამ ვინ წავა მოლაპარაკებებზე ადამიანთან, რომელიც მალე მიდის? ვინ ჩადებს ფულს, თუ მათი დაცულობის გარანტი ხვალ არავინ იქნება?”**

ბატონი ალექსანდრე ჭაჭია ამავე დროს აანალიზებს ივანიშვილის ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზებს და სხვა პოლიტიკოსებისაგან სრულად განსხვავებულ დასკვნას აკეთებს იმ ძალებზე, რომლებიც, ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, შეიძლება ქვეყნის ძალაუფლების სათავეებთან აღმოჩნდნენ: **“ჩაიგდებენ თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტს ხელში, მათ აღარ დასჭირდებათ მისი სუბსიდიები. ივანიშვილს საჭიროების შემთხვევაში მოუწევს მიმართოს ამერიკის ელჩს, რათა მისი მეშვეობით მოახდინოს გავლენა გარკვეული საკითხების გადასაწყვეტად, მაგრამ ელჩსაც ეს ყველაფერი მალე მობეზრდება. თუ ივანიშვილი მართლაც გადადგება, მაშინ დადასტურდება ვერსია, რომელიც მე ერთხელ გამოვთქვი, მაგრამ რომლის დაჯერებაც თავად არ მინდა. მისი არსი იმაშია, რომ ივანიშვილს არანაირი პრინციპული უთანხმოება სააკაშვილსა და მის რეჟიმთან არ ჰქონდა, მაგრამ ეს თავხედი ახალგაზრდები მისგან სულ მეტ და მეტ ფულს მოითხოვდნენ, ამასთან, მადლობის თქმითაც არ იწუხებდნენ თავს. უცერემონიო სააკაშვილმა, ეტყობა, აწყენინა მას, არ გამოვრიცხავ, რომ შეურაცხყოფაც მიაყენა. ივანიშვილი თავმოყვარე ადამიანია, საკუთარი ღირსების გამძაფრებული გრძნობით.”**

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ივანიშვილის გადაწყვეტილების სტიმული გახლავთ არა ქვეყნის ბედზე ზრუნვა, არამედ გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიკური კონიუნქტურა, რომელმაც შეიძლება იმაზე მძიმე შედეგი მოიტანოს, ვიდრე ავადსახსენებელი ნაციონალებისა და მათი შეშლილი ბელადის 9-წლიანმა საძრახისმა მმართველობამ.

ჩვენი აზრით, ამერიკელები საკმაოდ დააფრთხო ივანიშვილის მიერ რუსეთისადმი თუნდაც მცირე სიმპათიის გამოვლენამ, რასაც ამჟამად ტორპედირებენ დასავლეთის პრესის წარმომადგენლები. ამიტომ, ალბათ ამერიკელებმა უთხრეს ივანიშვილს, რომ 2013 წლის ბოლომდე შეგიძლია თანამდებობიდან წახვიდეო, რაც ამერიკულ კონტექსტში ამგვარ ჟღერადობას იძენს: **“თუ არ წახვალ, მერე შენს თავს დააბრალეო”!** ივანიშვილს კი მართლაც ბევრი რამ აქვს დასაკარგი...

**“წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო!”** ამბობს ძველი ქართული სიბრძნე. ახლაც ასეა, **ერთი წყალი (ნაციონალები)** წავიდა, **მეორე წყალი (რესპუბლიკელები)** წამოვიდა, **ქვიშა** კი **(სოროსი)** ადგილზე დარჩა და კვლავაც გააგრძელებს საქართველოს ნგრევას!

მოგატყუეს, ჩემო ქართველებო, კიდევ ერთხელ მწარედ მოგატყუეს, იმაზე უფრო მწარედ, ვიდრე ეს შევარდნაძემ გააკეთა, რომელმაც ყველას მიერ უარყოფილი ნაცები მოიყვანა ხელსუფლების სათავეში. ახლა კი, ამერიკელებმა შირმად ივანიშვილი გამოიყენეს და ნაცებისაგან არაფრით განსხვავებული ის რესპუბლიკელები მოიყვანეს ხელისუფლებაში, რომლებიც 5-პროცენტიანს კი არა – 2 %-იან ბარიერსაც კი ვერასოდეს ვერ გადალახავდნენ!

ეს ის რესპუბლიკელები არიან, რომელთაც არად მიაჩნიათ არც ილია ჭავჭავაძე, არც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და არც მალავენ, რომ პირადი გამდიდრებისათვის ზრუნავენ!

ასე რომ კვლავ იქნება გეი-აღლუმები და ყველა უბედურებაზე დიდი უბედურება – ერთსქესიანთა ქორწილები!..

მოკლედ, როგორც უსამართლობისაგან გამწარებული ქართველები ამბობენ უკიდურესი გაჭირვების ჟამს: **“საითაც გავიქეცით, იქით წავიქეცით!”**

**გამოსავალი კი მანამ არ გამოჩნდება, ვიდრე ქვეყნის სათავეში პატრიოტულად განწყობილი ძალები არ მოვლენ. ასეთ ძალად კი ქართული საზოგადოების პროგრესული ნაწილი მხოლოდ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას და მის თანამებრძოლებს მიიჩნევს...**

**რ. შალამბერიძე**

# ხარატიშვილი&დავითაიას პოლიტიკური ალიანსი ვაშინგტონში გაფორმდა – ცესკოს თავმჯდომარის გადადგომა და მისი ხელმძღვანელობით ახალი კოალიციის შექმნა აშშ-ის ინსტრუქციით მოხდა



**(ნახევრადსერიოზული ირონიით ნათქვამი: *მკვდარი მკვდარს აეკიდაო...*)**

არსებობს ძველებური ქართული თქმა: სხვა დამხმარე რომ ვერავინ ნახა, მკვდარი თურმე სხვა მკვდარს აეკიდა, იქნება როგორმე საფლავამდე მიმიყვანო, დანარჩენი კი მე ვიციო. დაახლოებით ასეთი სურათი გამოიხატა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, მას შემდეგ, რაც საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა ზედ არჩევნების წინ დასტოვა პოსტი და ახალი პოლიტიკური ძალის შექმნა დააანონსა. თუმცა, ისიც მალე გაირკვა, რომ ჩვენი **"ბედნიერება"** ამით არ ამოწურულა და, ამავე დროს, შესაძლებელია ზურაბ ხარატიშვილმა საქართველოს პრეზიდენტის პოსტზეც იყაროს კენჭი!

ა-ტა-ტა-ტაა, რა ვართ მაინც ეს ქართველები (თუ ოცი ლარის საფასურად – გაქართველებული ეთნიკურად არაქართველები?!)!

მაგრამ, მოდით ნება-ნება მივყვეთ ამ უკანასკნელ პერიოდში საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს, უფრო სწორად, მოვლენებს, რომელიც საპრეზიდენტო მარათონში ჩართულ ახალ-ახალ სახეებს (თუ უსახურ პიროვნებებს) უკავშირდება, ხოლო, თუ პრეზიდენტობის მსურველთა მადა არ ჩაცხრა, მალე შეიძლება რიცხვით ელექტორატზე მეტი კანდიდატი მივიღოთ!

ჩვენი აზრით, ძველი ქართული თქმის პირველი **"გმირი" – მკვდარი** თავად ნაციონალთა შეკვეთილ მუსიკაზე ატროკებული ზურაბ ხარატიშვილი გახლავთ, რომელმაც იმდენად თავხედურად გააყალბა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნები, რომ ქვეყნის პარლამენტში ლამის 60 ნაციონალი გაიყვანა, მაშინ, როცა ნაკლებ სარწმუნოა, რომ მათ თუნდაც 60 ხმა მოეგროვებინათ პარლამენტში მოსახვედრად. ახლაც, ბინძურ შეთქმულებას წააგავს (სხვანაირი შეთქმულება არც არასდროს მოუწყვიათ სააკაშვილსა და მის ნაცებს) ხარატიშვილის საქციელი, რომელმაც პოსტი ასეთ საპასუხისმგებლო ჟამს დასტოვა და საფრთხის წინაშე დააყენა საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების ლეგიტიმურობა. გაჩნდა იმის სერიოზული ეჭვი, რომ ზურაბ ხარატიშვილმა ამგვარი გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილთან ერთად დაგეგმა, რადგან თავად სიყალბეში გაწაფულმა **"ნაციონალებმა"** კარგად იციან, რომ მათი ლიდერი სამარცხვინოდ წააგებს საპრეზიდენტო არჩევნებს და ამიტომ, წინასწარ ემზადებიან იმის სალრიალოდ, რომ არჩევნები გაყალბდაო. **"განტევების ვაცად"** კი ნამდვილად არ ემეტებათ ის ზურაბ ხარატიშვილი, რომელმაც ყველაფერი უბედურება ჩაიდინა საიმისოდ, რომ ავადსახსენებელი **"ნაციონალები"** უხვად ყოფილიყვნენ წარმოდგენილი პარლამენტში. თუმცა, მეორე ვერსიით, ხარატიშვილს მოსწყინდა ნაცების ჩრდილში დგომა და ახლა დამოუკიდებლად უნდა ფაფხური. წარმატების იმედი კი იმიტომ აქვს, რომ არჩენების გაყალბებაში დიდადაა დახელოვნებული და შეუძლია ეს **"გამოცდილება"** თავის სასარგებლოდ გამოიყენოს...

ცესკოს ყოფილმა თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა ამას წინათ გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე ცესკოს თავმჯდომარეობიდან გადადგომის მიზეზად ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნა დაასახელა და, ამასთან, განმარტა, რომ ითანაშრომლებს ყველა პოლიტიკურ ძალასთან, ვინც პოლარიზებული არ არის.

**„ბაჩუკი ქარდავასთან და პაატა დავითაიასთან მჭიდრო თანამშრომლობას არ გამოვრიცხავ. ვინც არ არის პოლარიზებული, ვინც არ არის გარკვეული მარგინალური შეხედულებების მქონე, ყველასთან ალბათ იქნება გარკვეული თანამშრომლობა",**– ჩვეული აპლომბით აღნიშნა ზურაბ ხარატიშვილმა.

მეორე მკვდარი თავად ბაჩუკი ქარდავა გახლავთ, რომელიც იმდენად დაუფარავად ემხრობოდა ნაციონალებისა და მათი თავქარქაშა ბელადის სააკაშვილის დამღუპველ პოლიტიკას, რომ ჩვენ შევთავაზეთ მისი პარტიისათვის (ედპ) დაერქმია სახელად **"ერთიანი დაციონალური პოძრაობა"**. თუ ვინ არის და რას წარმოადგენს ბაჩუკი ქარდავა, რომელსაც ნაცებმა **"ძვლად"** მიუგდეს აბსოლუტურად უფერული პიროვნების გურამ ჩახვაძის გადეპუტატება, ახლა უფრო თვალნათლივ გამოჩნდა, რადგან უფრო **"დიდი ძვლის"** მოლოდინში იყო, მაგრამ ჩაუვარდა კოვზი ნაცარში და, პოლიტიკური სიტუაციის არასასიამოვნოდ შეცვლით გამწარებული, ნირს მაინც არ იცვლის და ყოველნაირი უღირსი ხერხებით ცდილობს ამ ნაცრის გროვიდან **"ღირსეულად"** ამობობღებას!

ეს **"ღირსება"** კი მან მაშინ დაჰკარგა, როცა საიდუმლო კავშირში შევიდა ავადსახსენებელ ნაცებთან!

მართლაც საინტერესოა, ამ რამდენიმე წელიწადში, როგორ მოახერხეს **"ნაციონალებმა"** და მათმა შეურაცხადმა თავკაცმა ქართული პოლიტიკური სპექტრის ისე საფუძვლიანად მოწამვლა, რომ კაცი კაცს აღარ ჰგავს, ქალი კი – ქალს! ვენახში უნდა შეუშვა ეგენი და ფილოქსერას, კოლორადოს ხოჭოს და სარეველა ბალახებს სანატრელს გაგვიხდიან, მაგრამ, უეჭველია, ვენახებსაც ისე საფუძვლიანად დაწამლავენ, რომ იქაური ყურძნით დაწურული ღვინო საშიში გახდება ჩვენი ჯანმრთელობისათვის!

რუსეთში კი უვარგის პროდუქციას უკვე ველარ გავიტანთ! და საერთოდ, ღმერთმა ნუ ჰქნას, ეს რომ ონიშჩენკომ გაიგოს, თორემ ვეღარაფერი გვიშველი და ემბარგოები და ვეტოები მერე ნახეთ თქვენ!

ამრიგად, **"მარგინალური შეხედულების მქონე"** ადამიანებსა და პოლიტიკურ ძალასთან თავის ამრიდებელი ხარატიშვილი პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე მიებჯინა ცხვირით სწორედაც რომ **"პოლიტიკოსებად"** წოდებულ მარგინალებს ბაჩუკი ქარდავას და პაატა დავითაიას.

ეს ის პაატა დავითაია გახლავთ, რომელმაც **"დიდის გულმოდგინებითა და კეთილსინდისიერებით"** გამოიძია 2008 წლის აგვისტოს პროვოკაციული ომის დაწყების მიზეზები, რისთვისაც მას მიხეილ სააკაშვილის **"დაკითხვაც"** კი დასჭირდა. მთელი ეს კომიკური სცენა ტელევიზიით იყო გაშუქებული და პირველი შემთხვევა იყო ჩემს ცხოვრებაში, როცა **"გამომძიებელი"** უფრო შემეცოდა ვიდრე **"დასაკითხი ბრალდებული პირი"**. უნდა გენახათ, როგორი მლიქვნელობით იტკბობდა პირს ჩვენს მიერ თავის დროზე **"ბონია მეწისქვილედ"** მონათლული პაატა დავითაია, რომელმაც ხანგრძლივი და **"ობიექტური"** გამოძიების შემდეგ, რა თქმა უნდა, ავტორიტეტულად დაადგინა, რომ ყველაფერი ეს რუსების ბრალი იყო, და რომ არა მიხეილ სააკაშვილის განუმეორებელი სტრატეგიული შესაძლებლობები, საომარი ტაქტიკის შესაშური ცოდნა და გმირობის პირადი მაგალითი, ჩვენ ამ ომს აუცილებლად წავაგებდითო. მართლაც, მიშამ რომ გორში მიწა ახნა ცხვრით, დაცვას რომ არ წამოეყენებინა ფეხზე და იმავე ტემპით განეგრძო მიწის თხრა, გვირაბს გაიყვანდა კრემლამდე და მერე გენახათ რუსების საცოდაობა! (მაგრამ ისედაც ხომ იმდენად სასტიკად დავამარცხეთ რუსები, რომ რუსთაველზე სამდღიანი ჩარფუზანა გვქონდა გამართული, კაჩინკისა და სარკოზის უშუალო თანამონაწილეობით)!

ხოლო სააკაშვილისა და ნაცების მიერ საქართველოში დატრიალებული ყველა უბედურების **"გამპრავებელმა"** ტელეარხმა **"რუსთავი-2-მა"** ისეთია პროპაგანდა გააჩაღა, რომ დაბნეული რუსები ერთმანეთს ეკითხებოდნენ: ერთი, გაგვაგებინეთ, მართლა მოვიგეთ აგვისტოს ომი თუ ისე სამარცხვინოდ დავმარცხდით, როგორც ამას **"რუსთავი-2-"** გადმოსცემსო!

## მართლაც რომ, ვაი სირცხვილო?!

პაატა დავითაია ნირს ახლაც არ იტეხს და უტიფრად დგას ძველ პოზიციებზე, როცა ამ სამარცხვინო ომის მიზეზების ხელმეორე, ბევრად უფრო ობიექტური გამოძიება სულ სხვა რამეზე მეტყველებს...

ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ სააკაშვილი და მისი გოშია ქარდავა-დავითაიები ჭეშმარიტებასთან, სხვა ნაცების მსგავსად, მეტად მწყრალად არიან და მათთვის მთავარი ისაა, რომ პოლიტიკური პრივილეგიები როგორმე შეინარჩუნონ!

ნამდვილად საამაყოდ გვაქვს საქმე ქართველებს, რუსული ბილინის გმირთა მსგავსი ეს **"Три богатырья"** რომ მიიღებენ მონაწილეობას ახლანდელ თუ მომავალ არჩევნებში!

აბა, მითხარით, რეალობაში რითი არ ჰგავს ეს პოლიტიკური ორომტრიალი **"მკვდარი მკვდარს აეკიდა..."**-ს? არა და, თუ ამდენი მკვდარი დროულად არ მოვიშორეთ, ცალკე სუნი შეგვაწუხებს, ცალკე კი ეპიდემია!

ისე, ერთი სტრატეგიული შეცდომა კი დაუშვა ზურაბ ხარატიშვილმა – იგი დროზე ადრე არ უნდა გადამდგარიყო ცესკოს თავმჯდომარის პოსტიდან და ისე უნდა ეყარა კენჭი საქართველოს პრეზიდენტად, რადგან მაშინ ყველა ბერკეტი მის ხელში იქნებოდა და იოლად მოახერხებდა არჩევნების შედეგების გაყალბებას.. სიყალბესა და სხვა უბედურობებში კი ხარატიშვილს ნამდვილად არ ჰყავს ბადალი და მას მხოლოდ სიყალბის მანიპულაციებში დიდად დაოსტატებული ხათუნა გოგორიშვილი თუ აჯობებს!

ზურაბ ხარატიშვილის განმარტებით, მისი გადადგომა არავისთვის უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, რადგან პოლიტიკაში წასვლის შესახებ გადაწყვეტილება მან ქვეყნის პირველ პირებს თვე-ნახევრით ადრე გააცნო.

ხარატიშვილის გადადგომის შემდეგ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მან **აშშ**-ში კონსულტაციების გავლის შემდეგ მიიღო.

ცესკოს თავმჯდომარის გადადგომასა და ზემონახსენებ ცნობას, თავის მხრივ, გამოეხმაურა **აშშ**-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, რომელმაც დაადასტურა, რომ **„ცესკოს თავმჯდომარე მიმდინარე წლის დასაწყისში მართლაც იმყოფებოდა შეერთებულ შტატებში, თუმცა ეს იყო ჩვეულებრივი ვიზიტი, სადაც საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული პროცესები განიხილებოდა".**

ამერიკიდან ქვეყნისა და ერისათვის სასარგებლო რა ურჩევიათ ან უჩუქნიათ ჩვენთვის, რომ ახლა გაიმეტონ რაიმე სასიკეთო?

ყოველთვის ასეა – როცა დოღში ჯიშიანი ბედაურები არ მონაწილეობენ, არენა ყოველთვის უჯიშო ჯორებსა და სახედრებს რჩებათ ხოლმე (გულწრფელად დიდ ბოდიშს ვუხდი ამ სრულიად უწყინარ ცხოველებს, ამგვარი არაკორექტული შედარების გამო)!

ჩვენი გაზეთის მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ ცესკოს თავმჯდომარის პოსტი ზურაბ ხარატიშვილმა 2013 წლის 12 აგვისტოს საკუთარი სურვილით დატოვა, რის შემდეგაც განაცხადა, რომ დიდ პოლიტიკაში მიდის. მას მხარდაჭერა გამოუცხადეს ეროვნულ-დემოკრატებმა და პაატა დავითაიამ, რომელიც ცოტა ხნის წინ ასევე **აშშ**-დან დაბრუნდა ახალი **"ინსტრუქციებით"** აღჭურვილი.

ჩვენში, რატომღაც, ტრადიციად დამკვიდრდა ის, რომ უსაქმურ და ხელმოცარულ კაცს ნაცარქექიად მოიხსენიებენ ხოლმე. არა და, დევებთან გულადად ბრძოლას რომ თავი გავანებოთ, ნაცარქექიას საქექად ის ნაცარი მაინც ჰქონდა, რომლის მისაღებად საჭიროა შეშის მოტანა, დაპობა და ცეცხლის გაჩაღება.

რაღაც, არა მგონია, რომ ზემოდხსენებულ **"პოლიტიკურ ტრიუმვირატს"** ამდენის უნარი გააჩნდეს!

**"ნეტარ არიან მორწმუნენიო"** – გვმოძღვრავს ბიბლია, მაგრამ ეს ღვთიური სენტენცია ნამდვილად არ ეხება ისეთ ურწმუნო და ღვთისპირისაგან გადავარდნილ არსებებს, როგორებიც არიან ზურაბ ხარატიშვილი, ბაჩუკი ქარდავა, პაატა დავითაია და ძმანი და დანი მათი!

**რ. შალამბერიძე**

# გია ვოლსკი – *სამშვიდობო პროცესი სააკაშვილმა დაანგრია*

სამშვიდობო პროცესი დაანგრია სააკაშვილმა და ეს ტერიტორიები ოკუპირებული არ იქნებოდა, რომ არა მისი უმძიმესი და დრამატული შეცდომები, – ამის შესახებ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე გია ვოლსკიმ განაცხადა.

ვოლსკი საქართველოსთან დაკავშირებით მედვედევის განცხადებებს გამოეხმაურა. მისი თქმით, დილიდან უამრავი განცხადება და ინტერპრეტაცია ისმის, მათ შორის **"ნაციონალური მოძრაობის"** მხრიდან, რომლის წევრებიც ზუსტად იმას ამბობენ, რაც მოსალოდნელი იყო. მისივე თქმით, საინტერესოა, მედვედევიც ისეთ დროს აკეთებს განცხადებებს და შეფასებებს, რომ რაღაც მაშველი რგოლივით გადმოუგდებს ოპონენტებს სხვადასხვა განცხადებებს.

როგორც ვოლსკიმ აღნიშნა, რუსეთს ეს პოზიცია ეჭირა 2006 წელს, უსაფრთხოების კონცეფციაშიც, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ მისი პოზიციები სამხრეთ კავკასიაში არის მისი სტრატეგიული ინტერესის ადგილი და იგი ამ ადგილებს არ დათმობს.

**"საქმე იმაშია, რომ "ნაციონალური მოძრაობა" და სააკაშვილი ცდილობს გააუბრალოოს ეს საკითხი – ომი დაიწყო რუსეთმა თუ საქართველომ, ეს საერთოდ საკითხი არ არის. ყველაზე კარგი განმარტება ამაზე, ალბათ, ომის შემდგომ პერიოდში ჰქონდა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას, რომელმაც თქვა, რომ ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები მოჰყვა ცხინვალის დაბომბვას. სწორი განმარტებები გააკეთა რაისმა თავის მემუარებშიც, რომელიც იყო ამერიკის და დასავლეთ ევროპის ყოველდღიური გაფრთხილების მიუხედავად, გადადგმული სწორედ სააკაშვილის მიერ",** – აღნიშნა გია ვოლსკიმ.

მისივე თქმით, სამშვიდობო პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა დასავლეთის მხარდაჭერით, რუსეთის, ნებსით თუ უნებლიეთ, კონსტრუქციული მონაწილეობით, რადგან მთელ მსოფლიოსთან დაპირისპირება არ სურდა და მას ჰქონდა მხოლოდ ერთი შესაძლებლობა – სამშვიდობო პროცესი დაენგრია და განეხორციელებინა ის, რაც უწერია კონცეფციაში. მისი თქმით, სამშვიდობო პროცესი დაანგრია სწორედ სააკაშვილმა.

**"მედვედევმა თქვა ასე, პუტინმა თუ სხვამ, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელობა აქვს რეალობას, რომ ეს ტერიტორიები ოკუპირებული არ იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო დრამატული უმძიმესი შეცდომები, რომელიც სააკაშვილმა დაუშვა",**– აღნიშნა ვოლსკიმ.


## ჯალაღონია-ჯალაღანიების გვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **კათალიკოს პატრიარქი ილია II** დალოცავს **ჯალაღონია-ჯალაღანიების** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **"ლიბერთი ბანკში"** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანგ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღანია).**

# კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



*დასაწყისი "ილორი" №171-234*

ფრიად საინტერესოა გ. ჭელიძის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ **„კოლხეთის, როგორც ცნების „დავიწროება დაიწყო"** ძვ. წ. ბოლო საუკუნეებიდან, რაც განპირობებული იყო სახელმწიფოს რღვევით, მტრების შემოსევებით, ტერიტორიების გამოცალკევებით, მართვის სათავეების შესუსტებით და სხვა. ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ, შემდგომ პერიოდშიც მრავალი საუკუნის განმავლობაში კოლხეთი იყო მსოფლიოს ერთ-ერთი განვითარებული და ძლიერი სამეფო (გიზო ჭელიძე, ქართველები კაცობრიობის კარიბჭესთან, გვ. 26-29.).

პროფ. გიზო ჭელიძემ თავის წიგნს **„ქართველები კაცობრიობის კარიბჭესთან"** დაურთო შესანიშნავი ლექსი, რომელსაც უწოდა **„ვფურცლავ სამყაროს პრეისტორიას"**, საიდანაც მოგვყავს ზოგიერთი ადგილი:

**უკვე ხვალ, კვირას, დღეისწორია,**
**ვფურცლავ სამყაროს პრეისტორიას,**
**უძველეს მითში, რაც რომ სწერია,**
**თავად ჰომეროსს დაუწერია:**
**რომ, თურმე, ზევსი უზენაესი**
**თავისი მოდგმით, ჯიშით და ფესვით,**
**(მემატიანე ამის ამთვლელი)**
**იყო პელაზგი ანუ ქართველი.**
**ელადის მიწა ბევრჯერ ნაოხრი,**
**ელინებამდე ყოფილა კოლხის.**
**ჰოდა, კვლავ ცოცხლობს ლეგენდა ბერძნის,**
**ოქროსტყაოსან კოლხური ვერძის,**
**ვერ ჩაჰკლავს ამბავს, ვერა, ვერაგზით,**
**კოლხის მოდგმაა თურმე პელაზგი...**
**ძმები არიან კოლხი და ხეთი,**
**ერთი გვქონია ფიქრთსაკრებულო,**
**ერთი გვყოლია კერპი და ღმერთი!**
**კრეტაც, მინოსიც კოლხთა საძმოა,**
**ვყოფილვართ ვინა, ვყოფილვართ რანი,**
**კავკასიონზე ჯაჭვს აჟღარუნებს**
**პრომეთეოსი თუ ამირანი?**

* * *

საჭიროდ მიგვაჩნია გავაკეთოთ ძველი საქართველოს (კოლხეთის) ისტორიის შესახებ ზოგიერთი ქართველი მკვლევარის მიერ უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული შრომების მოკლე მიმოხილვა, მცირეოდენი კომენტარით. ეს მასალები აღნიშნულ ავტორებს მოპოვებული აქვთ უცხოელი მკვლევარების შრომებიდან და ინტერნეტით მიღებულ წყაროებზე დაყრდნობით, რომლებიც საზოგადოებისათვის ნაკლებად ან თითქმის უცნობია. ამიტომ ქვემოთ აღვნიშნავთ ამ ავტორთა მხოლოდ ერთი ნაწილის შეხედულებებს.

ატლანტიდის დაღუპვას, მსოფლიო წარღვნას, რომელიც აისახა ბიბლიაში (ძველ აღთქმაში), **„გილგამეშში"**, უძველესი ცივილიზებული ხალხების მითებსა და ლეგენდებში, პლატონი უკავშირებს კოსმოსურ კატასტროფას და ამ მოვლენას, გარკვეული თვალსაზრისით, აიეტის ძმის – ფაეთონის მითით ხსნის.

ისმება კითხვა: არსებობს თუ არა **„მითოლოგიური, გენეტიკური კავშირი"** უძველეს საქართველოს (კოლხეთის) სამეფოსა და კოსმოსურ კატასტროფაში დაღუპულ ატლანტიდის **„სამეფოს"** შორის?

შეიძლება ითქვას, დადგენილადაა მიჩნეული რომ კოლხეთის მეფის აიეტის მამის ჰელიოსის და კოსმოსურ კატასტროფაში დაღუპულ (სახელმწიფოს, დიდი კუნძულის, შესაძლოა მთელი კონტინენტის) – ატლანტიდის მამები: ჰიპერიონი და იაპეტი ძმები იყვნენ.

როგორც ითქვა, ელინური მითებით ჰელიოსი არის აიეტის მამა, ტიტანი იაპეტი (და არა ნოეს იაფეტი) არის ატლანტის მამა, ხოლო ჰელიოსი იაპეტის ძმის შვილია. ატლანტის მამა იაპეტი და ჰელიოსის მამა ჰიპერიონი ძმები არიან, ე. ი. უახლოესი ნათესავები.

მოხდა უდიდესი კატასტროფა, მრავალ ჰიპოთეზასა და ვერსიას შორის, ყველაზე უტყუარი ჩანს შეხედულება, რომ დედამიწას (?) დაეჯახა უცნობი ციური სხეული, რომელმაც ჩაძირა ატლანტიდა – იმ დროინდელი მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ცივილიზაციის მქონე ტერიტორია (კუნძული, სახელმწიფო თუ მთელი კონტინენტი), რომელმაც გამოიწვია მსოფლიო წარღვნა **(„წყარიღვნა", „წყარისღვრა")**. ზღვებმა და ოკეანეებმა გადმოლახეს ნაპირები და წალეკეს ხალხები, სახელმწიფოები და კონტინენტი. ატლანტიდა ჩაიძირა ატლანტიკის ოკეანეში. – **„ატლანტიდას", „ატლანტის ოკეანეს"** ჰქვია კოლხეთის მეფის აიეტის ახლო ნათესავის ატლანტის სახელი. ნოეს კიდობანი მთელი 40 დღე დაცურავდა.

ვლ. ალფენიძე მიუთითებს, რომ ატლანტიდის შესახებ მსოფლიო ლიტერატურაში აღმოჩნდა წარღვნამდელი ხალხი **„კოლხუა"**, რომელსაც მსოფლიო მკვლევარები კატასტროფამდე ატლანტიდის მოსახლე ხალხად მიიჩნევენ და მას დიდ კულტურულ როლს მიაწერენ წარღვნის შემდგომ პერიოდის ატლანტიკის ოკეანის გაღმა ცივილიზაციების განვითარებაში.

**„კოლხუა" – „კოლხ-უა" და „კოლხი"** ერთი და იგივე ხალხია. **„კოლხ" და „უა"** – უძველესი ქართული სიტყვებია. **„უა" შდრ: „გოთ-უა", „ჩქოტ-უა", „ხუბ-უა", „ჯოჯ-უა", მატუა „ცერამ-უა". „ქორთ-უა", „კოდ-უა" და ა. შ. „უა"** ჩვეულებრივი ქართველური (კოლხური) ბოლოსართია. **„კოლ-უა-ს"** ეტიმოლოგია და სემანტიკა მხოლოდ ქართველურის მეშვეობით შეიძლება აიხსნას – **„ატლანტიდის ოკეანის გაღმაა კოლხუა, ვინც მაიას ტომს შეუქმნა თუ ატლანტიდან მოუტანა დამწერლობა, ანბანი"** (ვლ. ალფენიძე, ქართველი მწერლის **„ატლანტიდური ჩანაწერები" წარღვნამდელ საქართველოზე"**, ჟურნ. **„აია"**, 2002, №11, გვ. 98-99.).

ასეთი მაგალითიც, გიზო მამალაძე წერს: იოანე ზოსიმეს **„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისა"**-ს მიხედვით ქართველი წმინდა მამები ქართულ ენას ლაზარეს უწოდებენ, ლაზარეს რომელიც **„ოთხისა დღისა მკვდარი აღადგინა"** ქრისტემ... **„ზოგიერთი მკვლევარი კი სახელ ლაზარეს ასე ხსნის.: ლაზარე, ლაზ(თ)არე, ანუ ლაზთა ქვეყანა, ანუ ლაზთა ქვეყანა ინათებს"**.

გიზო მამალაძე განაგრძობს: **„ძველად, სანამ სიტყვა საქართველო გაჩნდებოდა, კოლხეთი ნიშნავდა სრულიად საქართველოს და არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს. მით უმეტეს, როგორც თანამედროვე ქართველმა მეცნიერებამ გაარკვია (ტარიელ ფუტკარაძე), რომ სიტყვა კოლხეთი, ნაწარმოებია სამხრეთ ქართული პროვინციის დასახლებიდან – კოლა"** (გიზო მამალაძე, ენა ქართული, გაზ. **„ჯორჯიან თაიმსი"**, 2008, 3-10 ივლისი, №027, გვ. 10.)

## ქართული ენა ლაზარეა. არ უნდა მოკლან ლაზარეს ენა.

ის უდიდესი სივრცე, რომელიც ეპყრა ჰელიოსის ძის აიეტების დინასტიურ ოჯახს დაახლოებით შემდეგია: ჰელიოსის ძე აიეტი კოლხეთის მეფეა, მისი და მინოსი, პასიფეა – კრეტის, მინოსის დედოფალია, აიეტის მეორე და კირკე – რომის იმპერიის, ლათინთა ეპონიმის, ლათინთა პირველი მეფის ლათინუსის და რომის იმპერიის უზენაესი ღმერთის – იუპიტერის დედაა. აიეტის ასული, ჰელიოსის შვილიშვილი მედა – ათენის დედოფალია, მამის შემდეგ მედეას მიერ ტახტზე აყვანილი შვილის მედეოსის საბრძანებელს ეწოდა მიდია (მედია). ეს ქვეყანა ერთ დროს კოლხებს ჰქონდათ დაკავებული (როდოსელი). მედეოსის შვილიშვილი ილოსი იყო ქალაქ ტროას (ილოსის) დამაარსებელ-მშენებელი, კირკეს შთამომავალი იტალოსი – იტალიელი ხალხის მამათავარია, კირკეს შთამომავალი ლავინია – რომის **იმპერიის იულიანთა** – იულიუსის (ასკანიას) დედაა. ასეთი მითოსური მასშტაბები შემთხვევითი არ შეიძლება იყოს.

ატლანტიკის ოკეანის გაღმა ნაპირას ჩააღწია წარღვნას გამოქცეულმა ქართველურმა ტომმა **„კოლხუამ"**. აია-აიაია-მაია პრეისტორიული, წარღვნამდელი ქართველური სიტყვა დღესაც ცოცხლობს კოლხურ მეტყველებაში.

XIX საუკუნის ირლანდიული წარმოშობის ამერიკელი (ფილადელფიელი) მეცნიერი და მწერალი იგნატიოს დონელი წიგნში **„ლათინური ანბანის წარმოშობა"** მიუთითებს, რომ ცენტრალურ ამერიკაში მაიას ტომებში ცივილიზაციამ ატლანტიდან შეაღწია: **„მაია არის წარღვნამდელი ატლანტიდან მოსული ტომის კოლხუას კულტურული მემკვიდრე"**, – აღნიშნავს ვ. ალფენიძე.

იგნატიოს დონელის მიხედვით **„კოლხუას ერა დამთავრდა ქრისტეს დაბადებამდე ათასი წლით ადრე"**. გამოდის, რომ ატლანტიდასა და კოლუმბამდელ ამერიკას შორის არსებობდა საზღვაო მიმოსვლა.

**იგნატიოს დონელის ცნობებს თუ დავეყრდნობით და გავიზიარებთ, გამოდის, რომ კოლხუას ტომმა კოლუმბამდე მრავალი საუკუნით ადრე აღმოაჩინა ამერიკა** (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იელის უნივერსიტეტის (აშშ) ქიმიკოსმა ჟაკლინ ოლინმა განაცხადა, რომ ორმა სკანდინაველმა მოგზაურმა, კოლუმბამდე 493 წლით ადრე (999 წელს) აღმოაჩინეს ამერიკა. ამ თვალსაზრისს ბევრი მოწინააღმდეგე ყავს, მეცნიერები არ ეთანხმებიან), ფაქტიურად. **იქ დიდი კულტურული მისია შეასრულა – მაიას ტომს თავისი ალფავიტი შეუდგინა, კოლხუათა – ატლანტიდური ცივილიზაცია დაამკვიდრა ცენტრალურ ამერიკაში** (ვლ. ალფენიძე, ქართველი მწერლის.., გვ. 97-100; ვლ. ალფენიძეს აღნიშნული წერილი გამოქვეყნებული ჰქონდა გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკაშიც"**, 1999, 6-7 ივლისი, №148-149.).

იგნატიოს ((იგნატიუს) დონელი ეყრდნობა და მისთვის თითქმის პირველწყაროს წარმოადგენს XVI საუკუნის ქრისტიანი ესპანელი მისიონერის იბერიელი დიეგო დე ლანდას (1524-1579 წწ.) ხელნაწერი წიგნი **„მაიას ტომის ისტორია"**, რომელიც ინახება ესპანეთის სამეფოს ისტორიული აკადემიის წიგნსაცავში... დიეგო დე ლანდა პირველი ქრისტიანი ეპისკოპოსი იყო იუკატანის ნახევარკუნძულზე, ცენტრალურ ამერიკაში, რომელიც მოგვითხრობს **„კოლხუას"** ტომსა და ანბანზე, აღწერა მაიას ტომის ისტორია, მან გადაარჩინა კოლხუას ანბანი – მაიას ტომების გაშიფრული ანბანი – ისტორიული ქარტეხილებს გადაურჩა წარღვნამდელი **„მაიას ანბანის"**. წინასახე **„კოლხუას ანბანი"**; დიეგო დე ლანდას ხელნაწერები პირველად შეისწავლა და გააანალიზა ფრანგმა კათოლიკე მისიონერმა ბ. დე ბურბომ. მან ღრმად შეისწავლა ცნობები **„კოლხუას"** ქართველურ ტომებსა და ანბანზე და **„კოლხუას ანბანზე" – „მაიას ანბანზე"** დაყრდნობით ძველი ამერიკული წარწერებიც გაშიფრა და ამ აზრით ცნობილი შამპოლიონიც (1790-1832) გაიხსენა, რომელმაც ეგვიპტური იეროგლიფები გაშიფრა.

მეცნიერები ეყრდნობიან ამ წყაროებს, მათ შორის, იგნატიუს დილენისათვის ისინი საბაზო წყაროებია.

ცნობილია, რომ პლატონი ნაშრომებში **„ტიმეოსი"** და **"კრიტია"** ეხება ატლანტიდის საკითხებს, რითაც დასაბამი მისცა ატლანტიდისმცოდნეობას, როგორც ითქვა, ეხება არა ატლანტიდის კატასტროფის საკითხს, გადმოსცემს მითს კოლხეთის მეფის ძმის ფაეთონის შესახებ.

ფაეთონმა – მზის ღმერთის ჰელიოსის ძემ – სცადა მამის ციური ეტლის მართვა, მაგრამ ვერ შეძლო, მამის საღვთო გზას ასცდა და ცეცხლით გადაწვა დედამიწა და თვითონაც დაიწვა. პლატონი მიუთითებს, რომ ეს მითია, მაგრამ მასში სინამდვილეც არის: კოსმოსური კატასტროფები სპობენ ცივილიზაციას დედამიწაზე და მერე ისევ თავიდან იწყება ყველაფერი.

პლატონი იწყებს ატლანტიდაზე საუბარს და პირველივე დიალოგს უკავშირებს კოლხეთს – ჰელიოსს, ფაეთონს, აიეტს (ფაეტონის ძმა). ასევე, ჰეროდოტეს **„ისტორიაში"** დასაწყისშივე მოხსენებულია კოლხეთი. ეს შემთხვევითი არ არის.

ცნობილი, რომ 2000 წელს არქეოლოგებმა დმანისში უძველესი ადამიანის ნეშტს მიაკვლიეს, ე. ი. **„პირველი ევროპელები" საქართველოს ტერიტორიაზე აღმოაჩინეს, რაც იმას ამტკიცებს, რომ კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი საქართველოში დაირწა"** (იხ. იური ყეინაშვილის ინტერვიუ: **„სალვადორ დალის წინასწარმეტყველება საქართველოს შესახებ"**, გაზ. **„ცისკარი"**, 2005, 11-24 ივლისი.) – წერს მკვლევარი იური ყეინაშვილი და აგრძელებს: მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი საქართველოში დაირწა და საქართველო პასუხისმგებელია კაცობრიობის მომავალზეც. მესამე ათასწლეული ჰუმანურობის, ურთიერთსიყვარულის, სულიერ ღირებულებათა აღორძინების ეპოქად არის შერაცხილი, ამიტომაც სწორედ საქართველოდან უნდა დაიწყოს ამ მისიის განხორციელება.

ისიც გვინდა ვთქვათ, რომ **„ქობულეთის ფიჭვნარში არქეოლოგიურ გათხრებში ქართველი, ინგლისელი და ამერიკელი სპეციალისტები მუშაობდნენ ქართველ სტუდენტებთან ერთად, სხვადასხვა ეპოქის სამარხების შესწავლა ერთდროულად 5 სხვადასხვა უბანზე მიმდინარეობდა, შესწავლილი იქნა 284 სამარხი. შედეგად აღმოჩენილია კერამიკის ჭურჭელი და სამკაულები, რომელთაგან ყველაზე ძველი ძვ. წ. V საუკუნეს განეკუთვნება და კოლხური ნაკეთობის ოქროს საყურეებია"**.

ვლ. ალფენიძე აღნიშნავს: **„მაიას ანბანში"** არის ისეთი ასო-ნიშნები, რომლებიც თანამედროვე ქართულ ანბანში არ არის, მაგრამ მათი სახელები ქართველურია: **„მ"– „მე", „თი"** – ესენი – თანამედროვე ქართველური ლექსიკის სიტყვებია.

ოდესღაც **„კოლხუას ანბანი"** რომ არსებობდა, ამის შესახებ წერდნენ იგნატიუს დონელი, დიეგო დე ლანდა, ბ. დე ბურბო და სხვა ავტორები. ასევე, ვლ. ალფენიძეს რეალურად მიაჩნია ისიც, რომ კოლხუას ტომმა ამერიკა კოლუმბამდე ათასწლეულების წინ აღმოაჩინა და იქ თავისი ანბანი და კულტურა დანერგა.

ვლ. ალფენიძის აზრით, კვლევის შედეგად, რომელსაც ის აწარმოებდა, შესაძლებელია არა მარტო **„კოლხუას"** ანბანის რესტავრაცია, არამედ კოლხუას ტომის წარღვნამდელი ლექსიკის ფრაგმენტების – ცალკეული სიტყვების წაკითხვა. ერთ-ერთი სიტყვა არის **„კოლხ-უა"** და მისი იდენტიფიცირება ქართველურ **„კოლხთან"**. **„კოლხუა" არის სიტყვა, რომელიც აღებს მსოფლიო საიდუმლოების კარებს და წარღვნამდელ ქართველურ სამყაროზე მოგვითხრობს. ეს სიტყვა კოლხეთშიც გვხვდება და მაიას ენაშიც ერთი და იგივე მნიშვნელობით"** (ვლ. ალფენიძე, ქართველი მწერლის..., გვ. 101.).

მაიას ენაში არის კოლხური სიტყვა **„აკანი"**, რაც არე-მარეს, ადგილს, მთას, ქალაქს ნიშნავს. კოლხურში: **„აკან-აკანი", „თეაკანი", „თიაკანიც"**, ასევეა მაიას ენაშიც **„თეოთხუა-აკანი", „კულხუა-აკანი"**, რაც **„კოლხუას მხარეს" (ან „კოლხუას მთას")** ნიშნავს.

**კლიმენტი შელია,**
**პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ურჯულოების საიდუმლო

**„მასონური ამერიკის, მასონური დასავლეთ ევროპის მიზანია გაანადგურონ ერის ცნება, დამოუკიდებელი სახელმწიფოები და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი, სათავეში მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა დაამყაროს ეგრეთ წოდებული ახალი მსოფლიო წესრიგი... რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას“ – ბრძანა ზვიად გამსახურდიამ.**

დღეს უკვე საიდუმლო აღარაა, რომ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ მართლმადიდებელ ხელისუფლებას ეგრეთ წოდებული მოწინავე მსოფლიო, ახალი მსოფლიო წესრიგის დამამყარებელი სახელმწიფოები ებრძოდნენ მასონების პირდაპირი ზემოქმედებითა და ხელმძღვანელობით. კაცობრიობის მოწინავე, მატერიალურად განვითარებული ნაწილი სწორედ ერებისა და დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების მოსპობას ესწრაფვის, რათა კვლავ გააერთიანოს მსოფლიო და მხოლოდ ის აკეთოს ღვთის ნების საწინააღმდეგოდ, რაც თავად სურს, თავისი ქვეყნიური კეთილდღეობისთვის. თუ რა უმძიმესი შედეგები მოჰყვა მთელს ამ ანტიქრისტიანულ ბრძოლასა და რევოლუციებს ჩვენთვის დღეს სავსებით ნათელია, ღმერთისგან ადამიანთა დიდი განდგომა უკვე მთელს მსოფლიოშია საცნაური. კაცობრიობის უდიდესი ნაწილი არ არის მართლმადიდებელი ქრისტიანი, ყველგან მოისპო მართლმადიდებელი ცხებული სამეფოები, გვაროვნული და ჭეშმარიტი სულიერი არისტოკრატია – ხალხის პატრონი და წინამძღოლი. მთელი, ეგრეთ წოდებული მოწინავე კაცობრიობის კულტურა ადამიანის ღმერთისაგან განშორებას ემსახურება. მწერლობა, ხელოვნება, კინო, ტელევიზია, მასობრივი ინფორმაციის ბეჭდვითი თუ ელექტრონული საშუალებები მხოლოდ ადამიანის გარყვნას, მისი სულიერი ღირებულებების რღვევას, ცხოველური ინტსტიქტების გააქტიურებასა და გაპირუტყვებას ემსახურებიან. პოლიტიკურადაც და ფინანსურადაც მსოფლიო უკვე თითქმის გაერთიანებულია და ერთ ძალას – მასონურ ამერიკას და მასონურ ევროპას ემორჩილება. დამოუკიდებელი სახელმწიფოები უკვე დაკაბალებულნი არიან, ყველგან ხელოვნურადაა შექმნილი სხვადასხვა პრობლემები, კონფლიქტური კერები, სეპარატისტული განწყობილებანი, ურთიერთმტრობა, სიძულვილი, არნახული ეკონომიკური გაჭირვება და უიმედობა, ანუ მთელი მსოფლიო უდიდეს ფინანსურ-ეკონიმიკური და პოლიტიკური კრიზისის ზღვარზეა.

სსრკ დაშალა იმ ძალამ, რომელმაც შექმნა იგი – მსოფლიო მასონობამ, მსოფლიო მთავრობამ. მანვე გამოუცხადა სასტიკი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობას და ზვიად გამსახურდიას ეროვნულ მართლმადიდებელ მთავრობას, როცა დარწმუნდა, რომ მისი მოსყიდვა-გადაბირება შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ სსრკ-ს დაშლამდე გამოაცხადა 1991 წლის 9 აპრილს ანუ სხვა რესპუბლიკებივით არ დაელოდა როდის უბოძებდა მას მსოფლიო მასონური მთავრობა ფიქტიურ დამოუკიდებლობას და ამით სასტიკი რისხვა დაიტეხა თავს. შედეგი – სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში, რომელიც იმართებოდა ოკეანის გაღმიდან **აშშ**-ს სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის პირადი მონაწილეობითა და ჯორჯ ბუშის **„ლოცვა-კურთხევით“**!

დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ მსოფლიო მასონური მთავრობის მზაკვრული მოქმედებების შესახებ **ზვიად გამსახურდია** ერთერთი ინტერვიუში ამბობს: **„თავდაპირველად ისინი ცდილობენ მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისუფლება და თუ წინააღმდეგობას წააწყდებიან, ამხობენ მას. საქართველოში ზუსტად ასე მოხდა. საქართველოს დამოუკიდებლობას ეგრეთ წოდებული მსოფლიო მთავრობა ებრძოდა მუხანათური ცილისწამებით, დეზინფორმაციით, ათასი ბოროტი აგენტისა და დივერსანტის დაფინანსებით, სიძულვილის გაღვივებით, გააფთრებული რუსეთის იმპერიის ნარჩენების წაქეზებით, ფარულად და აშკარად, სიტყვით თუ საქმით“.** ამრიგად, თუკი 1801 წელს საქართველოში შემოვიდა და გაბატონდა ერთმორწმუნე რუსეთის ნიღაბს ამოფარებული მასონური იმპერია, 1921 წელს უკვე შემოვიდა ნიღაბჩამოხსნილი, მასონთა მიერ დაარსებული ათეისტური იმპერია. 1992 წლის იანვრიდან, ეროვნული მთავრობის გაძევების შემდეგ, მსოფლიო მასონურმა მთავრობამ საქართველოში თანდათან გააბატონა თავისი მონა-მორჩილი დამქაშები, თავის შეგნებული თუ შეუგნებელი მსახურები. მას უკან საქართველოს მართავს არა მთავრობა, არამედ ანტიმთავრობა სამართლიანობის გარეშე. ამრიგად მე-20 საუკუნის მიწურულს საქართველომ მცირე ხნით მოიპოვა თავისი ნანატრი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მცირე ხნით იგემა ეროვნული თვითმყოფადობისა და მართლმადიდებელი სულისკვეთების აღორძინება, რათა შემდეგ სასტიკი სახით დაეკარგა იგი, მაგრამ სულიერად გაემარჯვა. დიახ, ჩვენ ფიზიკურად დავმარცხდით, მაგრამ სულიერი ძლევა მოვიპოვეთ!

ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-მართლმადიდებელი მთავრობა, რომელმაც უნდა განაპირობოს ჩვენი დარჩენილი ცხოვრება უმძიმეს აპოსტასიურ დროში, ხელმძღვანელობდა ქართველებს ერთი წლის განმავლობაში, ამიტომ ჯერ არს უფრო დაწვრილებით მოვიხილოთ ზვიად გამსახურდიას აღმსარებლობითი მოღვაწეობა, აპოსტასირებული მსოფლიო მხილებაში.

ქართველნო, ჩვენ გვსურს ვაშენოთ სამართლიანობის, თავისუფლების და დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული ქვეყანა. ჩვენს ერთობასა და ურთიერთმხარდაჭერას ვერ შეარყევს ვერანაირ მოღალატეთა შეიარაღებული პუტჩი თუ **„მაღალი პოლიტიკის“** ინტრიგები. მასონური ამერიკა და ევროპა დღენიადაგ იბრძვის მსოფლიო ბატონობისათვის, სრულიად აკონტროლებს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასა და მის მიერ დანიშნულ არჩევნებსაც. ამდენად, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები იქნება არამართო უკანონო და უსამართლო, არამედ ფარსი, რადგანაც დღევანდელი მარიონეტული ხელისუფლების პირობებშიც გაიმარჯვებს ის პიროვნება, რომელიც მოემსახურება არა საქართველოს და ქართველ ხალხს, არამედ მასონების ინტერესებს.

მსოფლიოში გაიმარჯვებს სიკეთე და სამართლიანობა, ბოროტების უფლებამოსილებანი ამქვეყნად განუსაზღვრელი არ არის; იგი დაშვებულია ღვთის მიერ სასჯელად ცოდვათა ჩვენთათვის სარწმუნოების ჩვენის გამოსაცდელად. მკლავი უფლისა, მახვილი მთავარანგელოზ მიქაელისა და შუბი წმინდა გიორგისა განგმირავს გველს, რომელიც მთელს პლანეტას შემოხვევია!...

**ჩვენთან არს ღმერთი!**

***საქართველოს დღემდე ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საზღვარგარეთ იძულებით გადაადგილებული 3031 მებრძოლის სახელით:***

**ბეგა ყაზბეგი, ბერდია არაბული, მამუკა მჭედლური, ლელა ჭინჭარაული, ნაილი ხომერიკი, ლევან ზაალიშვილი და მათი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ბატონ ზვიად გამსახურდიას შვილობილი სანდრო ივერიელი,**

***სირია, დამასკო***

# აგვისტოს ომმა ნატო იმპოტენტად წარმოაჩინა...

**“რუსეთ-საქართველოს ომიდან ხუთი წლის შემდეგ”,** – ამ სათაურით აქვეყნებს ევროპული გამოცემა **EurActiv-i** ამერიკული სადაზვერვო-ანალიტიკური კომპანია **Stratfor**-ის სტატიას.

2008 წლის 7 აგვისტოს, სააკაშვილის ნაცების მიერ პროვოკაციული ომის წამოწყების შემდეგ, რუსულმა ტანკებმა რუსეთის ჩრდილოეთ ოსეთიდან როკის გვირაბი გადალახა და საქართველოს ტერიტორიაზე, სამხრეთ ოსეთში შეიჭრა. სრულმასშტაბიანი ომის დროს, რომელიც ხუთი დღე გაგრძელდა, რამდენიმე დღეში რუსეთმა საქართველოს შეიარაღებული ძალები თითქმის მთლიანად გაანადგურა, მწყობრიდან გამოიყვანა მისი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომარაგების ხაზები და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. ასევე, მოსკოვმა თავისი შეიარაღებული ძალები განათავსა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და რამდენიმე დღეში ეს ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. რუსეთის არმიას საქართველოს ტერიტორიაზე უფრო ღრმად შეჭრა აღარ გაურისკავს, მაგრამ საქართველოს დედაქალაქიდან თითქმის 45 კილომეტრში დაბანაკდა.

ქართული კონფლიქტის ფესვები შეიძლება არა სამხრეთ ოსეთში, არამედ გაცილებით შორს, ევროპაში ვეძებოთ. ევროკავშირის და **ნატო**-ს ექსპანსია აღმოსავლეთისა და ცენტრალური ევროპისკენ 1990-იანი წლების ბოლოს დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობდა 2000-იან წლებამდე, რამაც ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიფერიაზე დასავლური გავლენა განამტკიცა და მოსკოვის გავლენა შეარყია. დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ 2008 წლის დასაწყისში, საომარ პროცესებს ბიძგი მისცა. სულ რამდენიმე თვეში, **ნატო**-ს სამიტზე, ბუქარესტში, სამხედრო ბლოკი დაჰპირდა საქართველოს და მეორე ყოფილ საბჭოთა სახელმწიფო უკრაინას, რომ ისინი აუცილებლად გახდებოდნენ ალიანსის წევრები.

ყოველივე ეს იმ დროს ხდება, როდესაც დასავლეთში ბევრს რუსეთი ისეთივე სუსტი და ქაოსში ჩაფლული სახელმწიფო ჰგონია, როგორიც 1990-იან წლებში იყო და ბორის ელცინი დიდი წვალებით მართავდა.

მაგრამ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ბორის ელცინი არ იყო. 2008 წლისთვის პუტინმა ბიუროკრატიის და ოლიგარქების დიდი ნაწილი საკუთარი კონტროლის ქვეშ მოაქცია, ამავდროულად, რუსეთის ეკონომიკას ხელს უწყობდა ნავთობის მაღალი ფასი მრავალი წლის განმავლობაში. პუტინის თვალსაზრისით, დასავლეთი სისტემატურად დგამდა ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც ძირს უთხრიდა რუსეთის ეროვნულ ინტერესებს, ამიტომ პასუხის დროც დადგა.

ამ პასუხისთვის საქართველო რუსეთისთვის საუკეთესო სამიზნე იყო. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დროს საქართველო დასავლეთზე მტკიცედ ორიენტირებული გახდა, და მართალია, ის მიისწრაფოდა ევროკავშირსა და **ნატო**-ში გასაწევრებლად, მაგრამ მას კვლავაც არ ჰქონდა მოპოვებული ალიანსში წევრობის უფლება და არ ექვემდებარებოდა ავტომატურად **ნატო**-ს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების მე-5 მუხლს. დამატებით, საქართველო, მისი სიმცირისა და სტრატეგიული ადგილმდებარეობის გამო (რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონს უშუალოდ ესაზღვრება და ევროპის კონტინენტისგან შორსაა), საუკეთესო პლატფორმა იყო რუსეთისთვის სამხედრო ძალის გამოსაყენებლად. საქართველოსთან ომი რუსეთისთვის სამი მიზნის რეალიზების საშუალება გახლდათ: საქართველოს სამხედრო შესაძლებლობების შელახვა; იმის დემონსტრირება, რომ მისი შეიარაღებული ძალები ჯერ კიდევ ძალიან ეფექტიანია; და, უმნიშვნელოვანესი – ეჩვენებინა დასავლეთის სისუსტე, რომელმაც ვერ შეასრულა ვალდებულებები მისი პარტნიორების მიმართ რუსეთის პერიფერიებზე.

2008 წლის აგვისტოში რუსეთმა სამივე ამ მიზანს მიაღწია.

ომის შედეგები მნიშვნელოვნად გასცდა საქართველოს ფარგლებს. სწორედ **ნატო** და არა რუსეთი, გამოჩნდა ბევრისთვის იმპოტენტად და მერყევად, რუსეთი კი ძლიერ და ეფექტიან სამხედრო სახელმწიფოდ. მიუხედავად მისი რეალური შესაძლებლობებისა, ეს იყო პოპულარული აღქმა, განსაკუთრებით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში; ამ ომმა შეცვალა მათი დამოკიდებულება რუსეთთან ურთიერთობებისადმი.

ომის შემდგომ წლებში სწორედ ეს განცდა იქცა წამყვან ფაქტორად ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ქმედებებში. უკრაინამ ოფიციალურად თქვა უარი **ნატო**-სთან ურთიერთობაზე და კანონით აკრძალა ნებისმიერი სამხედრო ალიანსის წევრობა. ქვეყნებმა, რომლებიც უკვე თანამშრომლობდნენ რუსეთთან (ბელარუსი, სომხეთი და ყირგიზეთი), მხოლოდ გაზარდეს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თანამშრომლობა მოსკოვთან. საქართველოც კი გადასხვაფერდა – პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ, რომელმაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში სააკაშვილის გუნდი დაამარცხა, ქვეყნის რუსეთთან დაკავშირებული პოზიცია შეიცვალა. ივანიშვილი ცდილობს რუსებთან უფრო ახლო ეკონომიკური კავშირების დამყარებას და მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად მხარს უჭერს ქვეყნის დასავლეთში ინტეგრაციისკენ სწრაფვას, საქართველოს ნაციონალური მიდგომა რუსეთთან დაკავშირებით უფრო პრაგმატული გახდა.

ხუთდღიანი ომის შედეგები ხუთი წლის შემდეგაც ძალიან თვალსაჩინოა. რუსეთი ვერ დაიბრუნებს ამერიკის შეერთებული შტატების ტოლი სუპერსახელმწიფოს სტატუსს, როგორც ეს საბჭოთა ეპოქაში იყო. მაგრამ მისი ყველაზე მკაცრი ოპონენტებიც კი ვერ უარყოფენ იმას, რომ ის თუმცა ღირსებაშელახული, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი რეგიონული სახელმწიფოა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ევროკავშირი ღრმა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს განიცდის და დასავლეთზე სწორება აღარ არის ისეთი მიმზიდველი, როგორიც ათი წლის წინ იყო. ამ თვალსაზრისით, რუსეთ-საქართველოს ომი უფრო მეტია, ვიდრე უბრალო მოვლენა, რომელზეც დაფიქრებაა საჭირო; ის ერთ-ერთი გზამკვლევია რეგიონის ქვეყნებისთვის, რომლებიც მომავალში რუსეთთან ურთიერთობის გზებს განიხილავენ.

**ევროკავშირის გამოცემა, ბელგია**

# გოდება სანგრებთან

**ამონარიდი უბის წიგნაკიდან, ნანახი და განცდილი ჩანართებით**

– ჩვენებურია, ბაბა, ჩვენებური... თბილისიდანაა ჩამოსული!.. – სხვაგან არსად გაუმხელია ბაგრატ ბიძის ჩემი ვინაობა,– სტუმარი კი არა, მასპინძელია ჩვენსავით, ჯვარიდანაა,ბაბა,ჩემი სისხლი და ხორცია... ერთი ძუძუ გვაქვს ნაწოვი მე და ამის აღმზრდელ ბიძას...

**„მაღალმა“** მარჯვენა გამომიწოდა.

– მე,რეჯები ვარ,ანქვაბი... ასე არგამად დიდი ხანია ენგურსგაღმელი კაცი არ მინახავს აქეთ... კეთილი იყოს თქვენი ფეხი აფხაზეთში...

**„დაბალმა“** უსალმოდ დატოვა სასაფლაოს კიდე, მერე განაზვო მიაძახა რეჯებს და იქვე,შორიახლოს მდგარი,საკმაოდ შენჯღრეული **„ვილისი“** თავქვე დააგორა.

მერე,ბაგრატ ბიძი,რეჯები და მე დიდხანს დავეძებდით ჩემი მასწავლებლის საფლავს კელასურის ერთი-ათად გაფართოებულ სასაფლაოზე, მაგრამ ეკალბარდებშემოხვეული ძველი საფლავების ქვების სიმრავლეში ვერსად ვიპოვეთ იგი.

ამასობაში მზის დისკო ნახევრად ჩაიძირა ზღვის მუქ-ლურჯ სივრცეში და მხოლოდ ოქროსფერ სხივთა ბილიკი იმედივით აერთებდა ნაპირთან.

– ბაგრატ ბიძი, სტუმარი ღვთისააო, ნათქვამია... მართალია,შეწუხდებით ცოტას, მაგრამ... ღამე გაითევა ჩვენს სახლში! – აფხაზური პეწითა და რიდით,მიგვიპატიჟა რეჯებმა ოჯახში.

...ოდის სასტუმრო ოთახში გაწყობილ სუფრასთან დილამდე ვისხედით ბაგრატ ბიძი,რეჯები და მე. კედლიდან ის ახალდაქორწინებულები დაგვყურებდნენ,კელასურის საფლავის ქვაზე მოსაგონარ ფოტოდ რომ ქცეულიყვნენ. ფეხზე წამომდგრებმა უსიტყვოდ დავლიეთ მათი სახელის სადღეგრძელო. მეტი არაფერი უთქვამს ვინმეს მათზე, არც მე მიკითხავს მათზე რამე. ჩვენს ირგვლივ ისედაც თავისუფლად დაიარებოდა დიდი მწუხარება.

– არზაკონისა რა ისმის,ბაგრატ ბიძი?.. – ერთადერთ ვაჟიშვილზე შეაპარა კითხვა გამთენიის ჟამს რეჯებმა ბაგრატ ბიძის.

– არაფერი!.. – თქვა ბაგრატ ბიძიმ და **„ოჯალეშით“** სავსე ჭიქისთვის კარგახანს არ მოუცილებია გაოგნებული მზერა.

– მათ სახელს გაუმარჯოს, ბაგრატ ბიძი!.. – კვლავ შემოგვაპარა რეჯებმა შესანდობარი და ფეხზე წამოვდექით, რადგან ასე იციან სამეგრელოში და ასე იციან აფხაზეთში.

...და დამდგარიყო ჟამი,როდესაც კაეშანი უნდა გადმოეღვარა ბაგრატ ბიძის:

...**„გრადმა“** დილაუთენია დაანგრია ბაგრატ ბიძის ოდა და ცეცხლმა შთანთქა ცოტა ხანში. არზაკონის უმშვენიერესი მეუღლე და ბაგრატ ბიძი გარუჯულები ეყარნენ ეზოში. ცაბუსა და დესპინე ბიცოლას ნეშტიც კი ვერ იპოვეს ვერსად... არზაკონი ომის პირველი დღიდანვე იყო წასული ოჯახიდან და დღემდე არაფერი ისმოდა მისგანაც...

– რაღა ეშმაკმა გადამარჩინა მეც... – ამოიკვნესა ბაგრატ ბიძიმ და ნახევრად ჩახსნილი ახალუხის საკინძეებს მიღმა მხოლოდ ახლა შევამჩნიე გაგანია ალის ნაოხრალი კანი. ამიტომაც აუცრემლდა თვალები ბაგრატ ბიძის, იქ, ოხაჩქუეს კალთებზე, ალბათ, დესპინე ბიცოლას ან ცაბუს შემწვარი იქნება ისრიმში ამოვლებული ვარია-მეთქი, რომ ვუთხარი... და ახლაც ჩუმად უცრემლოდ ატირდა რეჯებ ანქვაბის ოჯახში სამი მამაკაცი...

– ...რა მოხდა? ვინ ისროლა, ბაგრატ ბიძი?.. საიდან ისროლეს?.. – მომეცა ჟამი და ძლივს ამოვთქვი ამდენ ხანს დაგუბებული კითხვა.

– ომი ისროდა, ბაბა! ომი!..

სიმწარეგამოვლილი კაცის ნათქვამი იყო ეს სიტყვები და სხვანაირად არც შეეძლო ეთქვა მას, – არც ერთი მხარე ემეტებოდა სააუგოდ, რადგან საკუთარი სულისა და ხორცის ნაწილად მიაჩნდა ერთიცა და მეორეც,ერთნაირად საწუხარი ჰქონდა ერთიცა და მეორეც! და მე მივუხვდი ბაგრატ ბიძის: – დროა თავ-დახრილები წარვსდგეთ ერთმანეთის წინაშე და ერთმანეთს მოვუოხოთ წყლულები!

* * *

...გვარიანად მძიმე იყო ჩანთა, რეჯებმა მანქანის საბარგულიდან, რომ ამოიღო და **„მშვიდობისმყოფელთა“** ოფისისაკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა აუჩქარებელი ნაბიჯებით. სიფრთხილეც ემჩნეოდა ამ ნაბიჯებს და თავდაჯერებაც. ქაცვნარსმოფარებულ მანქანაში ორნი დავრჩით, – საჭესთან **„დაბალი“** იჯდა,უკანა სავარძელში კი მე. იგი კვლავინდებურად, ხმას არ იღებდა. იქ, ოფისთან, იარაღებიანები მიმოდიოდნენ კანტი-კუნტად...

...დილით კი, ჯერ კიდევ გათენებული არ იყო,რეჯების ეზოს ჭიშკართან მანქანის **„ჭყვიტინი“** რომ გაისმა.

– რა,გოჭივით ჭყვიტინებს,ეს უბედური... – ჩაიღიმილა რეჯებმა და ბოდიში მოგვიხადა, – ჯობია ადრიანად გავიდეთ... ნაშუადღევს **„სმენაში“** **„ჩვენი ხალხი“** იქნება ოცარცეზე...

ოდის პირველ სართულზე **„კოჭობი“** ენთო უკვე. რეჯებმა, ერთი წუთიო, თქვა და **„კოჭობიან“** სარკმელთან მივიდა.

– დე, მივდივართ, უკვე!..

– უფალმა გატაროთ მშვიდობით!.. სტუმრებს საუზმე მაინც მიერთმიათ... უხემსოდ როგორ შეიძლება გზაზე დადგომა!.. – ფანჯრის იქიდან მიუგო რეჯებს ქალის ხმამ.

– რეჯების დედაა,უბედური... არ გეწყინოს, ბაბა!.. იმ დღიდან უცხო სტუმართან არასოდეს გამოჩენილა გაუბედურებული დედა... – თითქოს ეზოს შუაგულში მდგარ კაკლის საუკუნოვან ხეს ებაასებაო, თქვა ბაგრატ ბიძიმ.

– გზაში წავიხემსებთ,დე,რამეს... მიმაქვს საგზლად, მცირე რამ... – დაამშვიდა რეჯებმა დედა და მხარზე ჩანთაგადაკიდებული ჩვენსკენ გამოემართა.

...ტრასიდან მარცხნივ გადავუხვიეთ და ერთ დროს ასფალტმოფენილ სოფლის შარას ავუყევით გორა-გორა. აღმოსავლეთიდან ამომავალი მზის შორეული ათინათი აბაცებდა მიდამოს. ზაფხულის პაპანაქება თანდათან ეფინებოდა საქართველოს ძირძველ მიწას.

ბაგრატ ბიძის ეზო-კართან მარტოხელა **„სეტერი“** მოაწყდა ჭიშკარს.

გადაირია ერთგული ცხოველი პატრონის დანახვაზე და თარჩია გამართა კოინდარით ამწვანებულ მინდორზე.

– ჰო,კი... მოვედი,მოვედი... არ გადაირიო ახლა!.. – მიეხმიანა ბაგრატ ბიძი და აბღორტებულ ძაღლს მკერდში იხუტებდა, – ჰე, მაცალე, ახლა... ავხსნა ეს **„წირღი“** კარებს... შემოვუშვათ სტუმრები... ჰე, ნუ გადაირიე!.. – მიელაციცა ბაგრატ ბიძი **„სეტერს“** და ახლა მე ჩამივარდა **„სეტერი“** ფეხებში.

ეზოში ეულად იდგა **„გრადსგადარჩენილი“** ჯარგვალი და ოდის ნანაღვერდალს წარბებშეყრილი გაჰყურებდა. ეზოს ბოლოში ბზის თეთრი ჯვარი ტყის მუქ ლურჯ ფონზე ბიბლიურ სალოცავად აღმართულიყო...

უჩუმრად აშრიალებდა დილის ნელი სიო სიმინდის ლურჯსავე **„ზღვას“**.

სოფელი ხელისგულივით ჩანდა აქედან. აქა-იქ, გატიალებულ ეზო-კარს ნაალევი ბუხრები დარაჯობდნენ. შემორჩენილი ოდების დარაბები აეჭედა ვიღაცის მზრუნველ ხელს, ნალიების ოჭკორიებად დატოვებული ღრიჭოებიდან სიმინდის ტაროები ჩანდა. თხმელისა და ხურმის ტოტები დაებარდა **„ადესას“**.

– სიმშვიდე იყო, ბაბა, ამ ბოლო ხანს... შარშანაც და შარშანწინაც კი გადმოდიოდნენ მეზობლები ენგურს გაღმიდან, მარა... აწი ვერ გადმობედავენ, ალბათ... ანდა რას გაბედავენ? წელს კვლავ ატეხეს თოფების სროლა და... ავიღე მოსავალი და ნალიაში დავაბინავე... **„ადესა“** ჩიტმა და შაშვმა მიაკენკა ტოტებს... თუ ჩამოვლენ დახვდებათ,არ დაეკარგებათ,ეს მაინც... – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა ბაგრატ ბიძი და ამასობაში ჭიშკარი ფართოდ გააღო. მანქანა ეზოს გარეთ დავტოვეთ მაინც. ბაგრატ ბიძის ჯარგვალში არც მივუწვევივართ, თვითონ შევიდა მხოლოდ. ცოტა ხანში **„ადესით“** სავსე დოქი გამოიტანა და მერე დიდხანს ვიდექით მუხლმოყრილები,თეთრი ჯვრით დადარდიანებული საფლავის კიდესთან, სადაც არზაკონის ჩემთვის უცნობი მეუღლის ნეშთი და დესპინე ბიცოლას და ცაბუს სული სიმბოლურად განისვენებდნენ ახლა... საფლავთან,რომელსაც თალხით შეემოსა ჩვენი სულებიც...

უსაშველოდ მომრავლებულიყო საერთო საწუხარი ენგურის გაღმა-გამოღმა!

უსაშველოდ მრავალი იყო წმინდა საფლავები ჩვენს მამულში ოდითგან, ოღონდ მაშინ ძიძა – მორდუობისა და ძმობა-სიკეთის ორნამენტი აჩუქურთმებდა მათ!..

ჩემი ძვირფასი დაია, ლეილა ქირთბაია მომიყვა ერთხელ:

აფხაზეთის ერთი დიდი თავადის,ინალიფას ოჯახს შვილი არ ჰყოლია, თურმე დიდხანს. ეს იყო მათი საწუხარი უსაშველო. მერე ღმერთს შთაუგონებია, – ეშვილათ ღირსეული შთამომავალი. არ უფიქრიათ ინალიფებს დიდხანს. მალე თოფების სროლით, ზარითა და ზეიმით ჩამოუბრძანებიათ ენგურს გაღმიდან ანგელოზი და იმედი ოჯახისა. ერთი კვირა იყო გაშლილი ინალიფების ოჯახში,სუფრა დიდებული. უკრავდა ჩონგური, ლარჭემი, იყო დიდება და ბედნიერება, იყო **„კუჩხი ბედინერი“** და **„ვოისა რაიდა“** და მიდიოდა ცხოვრება ლამაზად. მერე,როგორც ხშირად ხდება ხოლმე საკუთარი ვაჟი შეეძინათ ინალიფების ოჯახს. კვლავ გაშლილა ლხინი გუდაუთას და ლიხნს... მერე,ინალიფას, გვარი და დიდება დაუნათლავს თავისი მორდუსათვის და ასე გაჩენილა გვარი – **„ქართ-ბაია“ – „ქირთ-ბაია“ – „შვილი ქართველი“ – „ქართველის შვილი“**!!! მერე აღორძინებულან ქირთბაიები მთელს საქართველოში. ლიხნის ერთ-ერთ სასაფლაოს კი შემორჩენია ეპიტაფია:

**„საფლავსა ამასა შინა ვარ მდებარე, ნუთუ იყოთ ვინმე ჩემი მცნობარე, მზემან ჩემმან დღე ვერ ნახა მთბენარე, ცოლშვილსა ოხრად დამამთბობარე ტაგუ ბალუხუხის ძე ვიყავი მხმობარე, გვარად ქირთბაია, შარაშიძის მხლებელი, შობიდან ორმოცი წლის და აწ მიწად მდებარე. გევედრებით ღმერთს მავედროთ სამოთხის მკვიდრობამდე...“**

...აქ, ბაგრატ ბიძის ეზოში წარწერა არ სჭირდებოდა საფლავს, – თეთრი ბზის ჯვარი თვითონ ამბობდა სათქმელს. ბაგრატ ბიძი იყო ეპიტაფია უმაგალითო!.. სადღაც შორს,საუკუნეთა გადაღმა კი,ზღვის ტალღების საუფლოში **„შიშნანს“** უგალობდა მუჰაჯირი,უბედური დედა კალთაში ჩაწვენილ მკვდარ შვილს...

დიდხანს ვიდექით პირისპირ ბაგრატ ბიძი და მე, და ჩუმად, უსიტყვოდ ვემშვიდობებოდით ერთმანეთს.

– ისევ გინახულებთ, ბაგრატ ბიძი... იქნებ თქვენც გადმოსულიყავით ჯვარში!..

– ასეც გავაკეთებ,ბაბა! მარა... ველოდები! მინდა არზაკონს ღია კარები მაინც დავახვედრო!.. შენ ჩემი არზაკონი გახსოვს?..

– შეცვლილი იქნება,ალბათ... ბალღობის მერე არ მინახავს!..

– ჰო, კი!.. მარა, რომ შეგხვდეს, იცნობ, აუცილებლად...

მენიშნა რაღაც! ბაგრატ ბიძიმ რეჯებისკენ გაიხედა. იგი მანქანასთან იდგა უკვე.

– ერთი დამრჩენია იმედად... იქნებ თქვენსკენ იყოს ჩემი არზაკონი, სადმე... გამოიკითხე, შვილო!.. იქნებ... ღმერთო დიდებულო!.. – თითქმის ჩურჩულით თქვა ბაგრატ ბიძიმ და ილორის წმინდა გიორგის შეავედრა ჩვენი გზა-სავალი.

– აბა,თქვენ იცით,რეჯებ ბაბა! შენ მიგყვება ჩემი გული და თვალი ახლა!..

– ნუ იდარდებ,მშვიდობა იქნება,ბაგრატ ბიძი!.. – თქვა რეჯებმა და მერე კვლავ სოფლის დახეთქილ ასფალტს მიუყვებოდა ჩვენი **„ვილისი“**. ცენტრალურ ტრასას ვარიდებდით თავს. ქვემოთ ილორი ჩანდა, ოჩამჩირე ჩანდა, გალი ჩანდა, საბერიოს **„ზღვას“** ვუვლიდით გარს და საღამო ჟამს, როგორც იქნა მოვაღწიეთ აქამდე...

...ნახევარი საათის შემდეგ რეჯები და **„მშვიდობისმყოფელი ოფიცერი“** გამოჩნდნენ ოფისის ეზოდან და რეჯებმა მანიშნა, წამოდიო.

– ნახვამდის, ძმაო! – გამოვემშვიდობე **„დაბალს“**.

მანქანიდან გადმოვიდა **„დაბალიც“**. მარჯვენა გამომიწოდა და თვალებში ჩამაქცერდა.

– ბევრი ძმაკაცი მყავდა თქვენსკენ, მეც... ძალიან მინდა მათი ნახვა და ძველებური თარჩია რუხის ციხესთან,მარა...

– წავიდეთ!... შეგხვდებიან კაცურად!...

– ჯერ არა!... მოვა მაგისი დროც და ერთმანეთთან შესახვედრად აუცილებლად გადავივლით ოცარცეს ხიდზე... ნახვამდის!... ვიცნობდეთ ერთმანეთს, მე იმედა მქვია!...

– იმედიანი სახელი გქონია ჩემო იმედა!... თარჩიაზე შევხვდებით რუხის ციხესთან!... – ბაგრატ ბიძის უკვე შევერიგებინეთ ჩვენ!

რეჯები შუაგზაზე შემომეგება და გადამეხვია. ასე იციან ძმებმა დამშვიდობებისას.

– იმ ოფიცერთან რომ მიხვალ, მიესალმე... სხვათა დასანახად,შინაურულად გადაეხვიე და გადაკოცნე, ვითომ დიდი მეგობრები იყოთ... ნახვამდის! გვაპატიეთ, საკადრისი პატივი, რომ ვერ გეცით... აბა, ჰე!

...ოფიცერს ოფლიან სახეზე მწკლარტე სუნი ასდიოდა.

...ოცარცეს ხიდზე გადმოსულმა კიდევ ერთხელ მოვიხედე უკან. იქით, საბერიოს გზაზე, რეჯები და იმედა იდგნენ ჯერ ისევ. დიდხანს ვუყურებდით ერთმანეთს. ასე შორიდანაც მესმოდა მე მათი და, მჯერა, მათაც ესმოდათ ჩემი...

**– „ეჰ,ვალერიანე ცოცხალი რომ ყოფილიყო სხვანაირად წავიდოდა საქმე დღეს!...“** – ჩამესმოდა ბაგრატ ბიძის სიტყვებიც, ოხაჩქუეს მთაზე მდგარმა, რომ მითხრა მაშინ...

იმედიანი და გაოცებული თვალებით შემომცქეროდნენ გზაზე შემდგარი მოხუცები, ქალები და ბავშვები...

სევდიანად მოაბაკუნებდა ყავარჯნებს ბერიკაცი თეთრ ხიდზე.

– ხომ არ გვაგვიანდება, ბაბუ? იქნებაო ავტობუსი, რას ამბობენ იქით?

– იქნებაო, ბაბუ, კი, იქნებაო, ამბობენ!...

– აგაშენოთ ღმერთმა!...

...ანაზდად, კვლავ ამეკვიატა დიდი მწერლის სიტყვები: – **„ჩუმად, უსიტყვოდ, ვიდოდნენ უცხო მხარეში ამგზავრებული ქართველები!“** – ოღონდ, ახლა ისინი თავიანთი მიწიდან თავიანთი მიწისკენ მიდიოდნენ!..

**ზაურ ფიფია**

---

**სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” და გაზეთ “ილორი”-ს რედაქცია მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართული ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, უაღრესად მოკრძალებული და უღალატო პიროვნება, პოეტი**

**ზურაბ მიხეილის ძე ქობალია**

**და უთანაგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.**

# სამეგრელოს ღირსეული შვილები

## ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

ამ დროს ვიტგენშტეინს მოუვიდა ცნობა, რომ მეფის მთავრობამ იაპონიასთან სამშვიდობო მოლაპარაკებისთვის მინისტრი, გრაფი ვიტე გაგზავნა. მალევე ვიტგენშტეინმა უკან დაბრუნების ბრძანებაც მიიღო. ჩვენ გამოვემგზავრეთ და ჩამოვედით ხერსუში, სადაც გავიგეთ ცუსიმასთან ადმირალ როჟდესტვენსკის დამარცხებისა და ბალტიის სამხედრო ესკადრის განადგურების ამბავი. ხერსუდან პირდაპირ მატარებლით გავემგზავრეთ და ჩავედით ხარბინში, სადაც ყველა მეგობარ-ნაცნობი დამხვდა. იქ ხმა გავარდა, როჟდესტვენსკი ჩამოსვლას აპირებსო. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ, იგი საგანგებო ვაგონით ჩამოვიდა და სხვებთან ერთად მეც ვნახე მხლებლებით გარშემორტყმული.

ხარბინში ჩემი ყოფნის დროს ჩამოვიდა ხმები, რომ რუსეთის მთელ იმპერიაში — პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ბაქოში, თბილისსა და ყველა დიდ ცენტრში დაიწყო რევოლუციონერთა, მუშათა კლასის გამოსვლები ცარიზმის წინააღმდეგ. შეშინებულმა მეფემ სასწრაფოდ მანიფესტი გამოსცა. ეს ამბები მალევე მოდიოდა ხარბინში. შეიქნა დიდი მოძრაობა, მითქმა-მოთქმა, ფაცაფუცი. იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები. ერთ-ერთ უზარმაზარ მიტინგზე, რომელსაც მეც ვესწრებოდი, მგზნებარე სიტყვით გამოვიდა ცნობილი რევოლუციონერი რაკოვსკი. მან დიდი აღფრთოვანება გამოსთქვა რევოლუციის გამო და საგანგებოდ აღნიშნა, რომ კავკასიის ხალხებს და, კერძოდ, საქართველოს რევოლუციონერებს ძალზე მნიშვნელოვანი როლი მიუძღვით რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში, ამ დიდ სახალხო საქმეში. რაკოვსკის სიტყვებს მაინცდამაინც არ მოჰყოლია ოვაციები. მერე ტრიბუნაზე ერთი პოლკოვნიკი ავიდა, ხალხს ყოვლისშემძლე ძალა უწოდა. განაცხადა, რომ ჩვენ, სამხედროები და ჯარისკაცები თქვენი იარაღი ვართ და წარგვმართეთ, რათა ხალხის თავისუფლებისთვის ვიბრძოლოთო. მიტინგის დასასრულს მე მივედი რაკოვსკისთან და დიდი მადლობა გადავუხადე, ქართველი ხალხის რევოლუციონერი შვილები ასეთი პატივით რომ მოიხსენია. პასუხად მან მითხრა: რევოლუცია რუსეთში უსათუოდ გაიმარჯვებს და ქართველი რევოლუციონერები ამ დიდ, საპატიო საქმეში მოწინავე ადგილს დაიმკვიდრებენო. მე კვლავ მადლობა მოვახსენე საქართველოს მიმართ ასეთი გულთბილი დამოკიდებულებისათვის და გამოვემშვიდობე.

უმაღლესი ჩინის ოფიცრობა მეტად უკმაყოფილო იყო რევოლუციით, მანიფესტით, საერთო არეულობით და ამ გულისწყრომას არც მალავდა. მიტინგები კვლავ ხშირად იმართებოდა, მაგრამ სამხედროები აღარ გამოდიოდნენ, ეტყობოდა მკაცრად იყვნენ გაფრთილებული თავიანთ უფროსთა მიერ.

აქვე მინდა ავღნიშნო, ხარბინში ყოფნის დროს, სანამ ფრონტზე გავემგზავრებოდი, ხშირად ვსეირნობდი მეგობრებთან ერთად. შეუმჩნეველი არ დამრჩენია, რომ თავადი ვიტგენშტეინი და პრინცი მიურატი საღამოობით ქალაქგარეთ დადიოდნენ. ერთხელ ვიტგენშტეინს ვთხოვე, მეც წავეყვანე. იმათაც ჩამისვეს ეტლში და გამაქანეს. მიმიყვანეს ერთ ადამიანთან, რომელსაც ვიცნობდი, როგორც ცნობილ მდიდარ პიროვნებას. ეს გახლდათ სერგეი ვლადიმერის ძე პოლეტიკა. ამ კაცს ვიტგენშტეინი და მიურატი პეტერბურგიდან იცნობდნენ. იგი ვიტგენშტეინმა თავისი თხოვნით ჩარიცხა პარტიზანულ რაზმში სამნეო ნაწილის უფროსად. შევედით მის ოჯახში. სერგეი ვლადიმერის ძე აღტაცებული შემოგვეგება. შემდეგ გამოვიდა მისი მეუღლე, ქალბატონი პოლეტიკა, უჩვეულოდ ლამაზი ახალგაზრდა ქალი: მის მომხიბვლელ, დამაბრმავებლად თეთრ თავ-კისერს ამშვენებდა გიშერივით შავი თმა, შავი თვალ-წარბი და ლოყაზე ლამაზი ხალი. ამ ქალის მშვენიერებამ თავბრუ დამახვია. დიდი მორიდებით მივესალმე და ხელზე ნაზად ვაკოცე. მან სწრაფად გააწყო საუცხოო სუფრა. მე, როგორც უცხოს, გამორჩეული ყურადღებით მექცეოდნენ მასპინძლები, განსაკუთრებით ცოლი. მან ქმარი ვიტგენშტეინთან და მიურატთან დასვა, მე კი თვითონ მომისვა გვერდით და თავისი ხელით მაწოდებდა ახალ-ახალ კერძებს. გამომშვიდობებისას ცოლმაც და ქმარმაც გულითადად მთხოვეს, ყოველგვარი მორცხვობის გარეშე მივსულიყავი მათ ოჯახში, ყოველთვის, რა დრო და საათიც უნდა ყოფილიყო. როცა გამოვედით, ვიტგენშტეინმა და მიურატმა მხარზე ხელი გადამდეს და მითხრეს – ტყუილად არ წამოგვიყვანიხართ აქ, ბედმა გაგიღიმა და აწი შენ იციო. მე ვკითხე ორივეს, რატომ მეუბნებოდნენ ამას. მათ მითხრეს — ჩვენ პეტერბურგიდან ვიცნობთ ამ ოჯახს, ბევრი ვეცადეთ მაგ ქალის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოვახერხეთ. ეხლა ქალმა გვითხრა, რომ შენ ძლიერ მოეწონე და ისიც თქვა, რომ მას მხოლოდ შენი შეყვარება შეუძლია, როგორც გაურყვნელი, გაუფუჭებელი ვაჟკაცისა, რადგანაც, მისი აზრით, შენ შეგიძლია გაუწიო იმ ქალს ნამდვილი მეგობრობაო. ჩვენ კი ასე გვითხრა, თქვენ გადაგვარებულები ხართ და ქალს ისე უყურებთ, როგორც სახმარ ნივთსო.

მეორე დღეს ჩავიცვი მშვენიერი ლურჯი ჩოხა, საუკეთესო აზიურები, დავიხურე მშვენიერი ფაფახი, დავიქირავე **„ლიხაჩი"** მშვენიერი ლურჯათი და გავეშურე პოლეტიკას ოჯახში. მათ დიდის ამბით მიმიღეს. ქმარმა ორივე ხელი ჩამომართვა. ქალს განსაკუთრებული სიამოვნება მოჰგვარა ჩემმა მისვლამ. მე და სერგეი ბანქოთი გავერთეთ. ქალმა მშვენიერი სუფრა გაშალა. დამსვეს და გემრიელად ვისადილეთ. ქალი თვალს არ მაშორებდა და მეც მოჯადოებული ვიყავი. ნასადილევს ქმარი ადგა, გამოეწყო და მეუღლეს უთხრა – ამაღამ იტალიური ოპერაა, მე წავალ, ბილეთებს შევიძენ და შენ შენი სტუმრით იქ მობრძანდიო. ცოლმა უთხრა – მანამდე ჩვენს ძვირფას სტუმართან ერთად ეტლით გავისეირნებო. ცოლმაც და ქმარმაც მთხოვეს, რომ ჩემთვის შინაურულად, მეგობრულად მოემართათ, ეწოდებინათ გვანჯი და არა გიორგი ალექსეევიჩი. მე, რაღა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი. ქმარი თავის გზაზე წავიდა. ცოლმა უბრძანა მოსამსახურე დაშას – გაეფრთხილებინა მეეტლე, რათა მალე შეეკაზმა ეტლი. მართლაც, სულ რამდენიმე წუთში მეეტლე მშვენიერი ცხენებითა და კოხტა, ორადგილიანი ეტლით სადარბაზოს კარებთან გველოდებოდა. ქალბატონმა გვერდით მომისვა და გავექანეთ **„ხარბპრისტანისაკენ"** (ნავსადგურისკენ). მთავარ (**„კიტაისკაია"**) ქუჩაზე როცა ჩავიარე, ვხედავ, ვიტგენშტეინი და პრინც მიურატი დგანან. დამინახეს თუ არა, გაიცინეს, გაკვირვებულებმა დამიწყეს ცქერა და ხელი დამიქნიეს. ქალბატონმა პოლეტიკამ გადმომილაპარაკა:

– Видите, какие они? Ревнуют Вас ко мне!..

მე სიამოვნებისგან ტანში ჟრუანტელმა დამიარა და ვუთხარი:

– Неужели я буду таким счастливым человеком?

მან აღარ დააყოვნა და ნაზად მიპასუხა:

– Представьте себе, что да! Вы мне очень нравитесь и я могу полюбить Вас, если Вы будете уважать и ценить меня.

გახარებულმა უხმოდ რამდენჯერმე ვაკოცე ხელზე. სახლში გვიან დავბრუნდით. მე სასტუმრო ოთახში დავჯექი. მან მოსამსახურეს უბრძანა, რომ სათეატრო ტანსაცმელი მიერთმია. ვზივარ და ვოცნებობ ამ ულამაზეს ქალზე. უეცრად გაიღო კარი და ელვის სისწრაფით მომეხვია ეს ქალი და თავდავიწყებით დამიწყო კოცნა. თავი სიზმარში მეგონა. ჩვენ დიდხანს ვიყავით ჩახვეულები და ამ დროს უზომო ბედნიერებას ვგრძნობდი.

საღამოს, ოპერაში რომ მივედით, უკვე მესამე ზარი იყო მიცემული. მიგვასწავლეს ადგილი ლოჟაში, სადაც ქალბატონის მეუღლე იჯდა. მას ცოლისთვის არც უსაყვედურებია, ღიმილით უთხრა, რატომ დაიგვიანე, ჩემო კარგოო. იმ დღიდან მოყოლებული მე და ქალბატონი პოლეტიკა ძალიან დავახლოვდით, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. იგი მთხოვდა, სხვა ქალები არ გამეცნო და არ დავსნეულებულიყავი. გულახდილად უნდა ვთქვა, ძლიერ შემიყვარდა ეს ქალი და თვითონაც ვერ მიშორებდა, სულ გვერდით უნდოდა ვყოლოდი. მერე და მერე ქმარმა ეჭვიანობა დაიწყო, მაგრამ ცოლს ვერაფერს უბედავდა. ფრონტიდან დაბრუნებულს, პოლეტიკას ქალი დიდი სიყვარულით შემეგება და ჩვენი მეგობრობა გაგრძელდა.

მახსოვს ბალში ვიჯექი და ამ დროს ჩემთან მოვიდა ლაშხი, რომელიც ხარბინის ერთ-ერთ სასტუმროში ოფიციანტად მუშაობდა. მეტად კოხტა ყმაწვილი იყო; ეცვა თეთრი ჩოხა-ახალუხი, მშვენიერი, მომდგარი აზიურები, შესაფერისი ქამარ-ხანჯალი და ფაფახიც შვენოდა. ამ დროსვე გამოჩნდა თავადი ვიტგენშტეინი. მასაც ქართულ ყაიდაზე შეკერილი ძვირფასი ჩოხა-ახალუხი და საუცხოო აზიურები ეცვა, ასევე მომხიბლავად გამოიყურებოდა. ვიტგენშტეინს გავაცანი ლაშხი, რომელიც ძალიან მოეწონა. შეხუმრებით გვითხრა — ჩემს ახალ ჩოხას დასველება უნდა და წავიდეთო. მან თან წაიყვანა პრინცი მიურატი, სახელგანთქმული ოფიცერი ვალოდია ერისთავი, გრაფი პოტოცკი თავისი დამით და შევედით სასტუმროში. გაიშალა სუფრა. დაიწყო სადღეგრძელოები – ჩემს მოპირდაპირედ ზის გრაფ პოტოცკის დამა, რომელსაც მოსურვებოდა სუფრიდან გაეყვანა თავისი კავალერი და განიზრახა მისთვის ფეხის დაჭერა, მაგრამ ვერ მოზომა და ფეხი მე დამაჭირა ფეხზე. ამ უხერხული გაუგებრობის გამო ჩუმად გადავულაპარაკე პრინც მიურატს. მან დამარიგა — ასე უთხარი მაგ ქალბატონს, მაზოლებს ნუ მტკენთ-თქო. ეს **„დარიგება"** მეხამუშა, შორს დავიჭირე და ვუპასუხე, რომ ამას უსიამოვნება მოჰყვებოდა. მან მითხრა, სანამ სუფრასთან ვზივართ, ეს თუ არ გაგიკეთებია, ვაჟკაცური გაბედულება არ გქონიაო. მე შემრცხვა და ქალს ცოტა ირონიულად ვუთხარი – მაზოლებზე ფეხს ნუ მაჭერთ-მეთქი. ქალი გაფითრდა და ნირწამხდარმა ბოდიში მოიხადა. გრაფი პოტოცკი მაშინვე წამოვარდა ფერდაკარგული და მომახალა – შეურაცხყოფისათვის დუელში გიწვევთო. მე მყისვე ვუპასუხე, მზად გახლავართ-მეთქი. თქვენი სეკუნდანტები ვინ იქნებიანო, არ მომეშვა. თავადი ვიტგენშტეინი და პრინცი მიურატი – ვუპასუხე. სანამ გავიდოდა მითხრა, ხვალ ჩემს სეკუნდანტებს გამოვგზავნი და გადაწყდება დუელის დრო და ადგილიო.

მეორე დღეს, ვიტგენშტეინთან, მიურატთან, კარა გეორგევიჩთან და სოკრატ იოსელიანთან ერთად ვარ არკადის ბაღში. მაგიდას ვუსხედვართ და ამ დროს მოგვადგნენ კოლია ამილახვარი და საშა ვაჩნაძე. ორივენი საუკეთესო ვაჟკაცები და ოფიცრები იყვნენ; გრაფ პოტოცკის გამოეგზავნა თავის სეკუნდანტებად და მოსალაპარაკებლად. საშა ვაჩნაძე ქუთაისის ციხეში მყავდა გაცნობილი. მაშინ იქ დაცვის უფროსად იყო და დიდი პატივი მცა. ხარბინში რომ დამინახა, გახარებული გადამეხვია. სერბიის პრინცმა კარა გეორგევიჩმა საქმის ვითარება როცა გაიგო, უშვერი სიტყვებით დაუწყო ლანძღვა გრაფ პოტოცკის და დუელის ჩაშლა მოითხოვა.

ამ ლაპარაკში რომ ვართ, შემოვიდა თვით გრაფი პოტოცკი. ყველას მიესალმა და მეც ხელი ჩამომართვა, შემომხედა და მითხრა:

– Вы убеждены в том, что я Вас боюсь, или нет?

მე დინჯად ვუპასუხე:

– Я не имею право думать, что Вы меня боитесь!

ჩემს პასუხს მისი მტკიცედ ნათქვამი მოჰყვა:

– Если не убеждены, то сейчас-же будем драться!

ახლა მეც ჩემის მხრივ, ვკითხე:

– А Вы думаете, что я Вас боюсь?

– Никак нет, князь! — მიპასუხა მან.

მეც მაშინვე მივაგებე:

– Тогда я не хочу, что из-за какой-то шансонетки мы здесь кровь проливали...

ამაზე ყველას გაეცინა, თვითონ პოტოცკისაც. შევრიგდით, ძმურად გადავკოცნეთ ერთმანეთი. გაეხარდათ, მშვიდობიანად რომ დამთავრდა ყველაფერი. ვიმხიარულეთ, კარგი დრო გავატარეთ...

მე მაშინ უკვე გადაწყვეტილი მქონდა იქედან წამოვსულიყავი და ყველა მეგობარს გავაგებინე ჩემი განზრახვა. ჩემთან დაშორება განსაკუთრებულად უმძიმდა ალექსანდრა ანტონოვნას, პოლეტიკას ქალს. ამის გამო აშკარად იტანჯებოდა. სიმართლე უნდა ვთქვა, მეც ძალიან მიჭირდა მისი დატოვება. ერთ-ერთი ბოლო შეხვედრისას მითხრა: ძვირფასო გვანჯი, მე და ჩემს ქმარს ირკუტსკში სახლი და სიმდიდრე გვაქვს. ამასთანავე, ბანკში ჩემს სახელზე სამოცი ათასი მანეთია შეტანილი. მინდა ეს ფული შენთან სიყვარულს მოვახმარო. შენ ჯერ მარტო გაემგზავრე. დამიცადე ირკუტსკში. მე ჩემს ქმარს ვეტყვი, რომ სახლის დასათვალიერებლად მივდივარ (ირკუტსკში მათ ვილაცასთან მონადირე ძაღლი ჰყავდათ მიბარებული), ჩამოვალ ირკუტსკში და როცა ჩემთან იქნები ნურაფრისა შეგეშინდება, ჩემი ქმარი ვერაფერს გაგვიბედავსო. მე დავეთანხმე და გადავწყვიტე მისთვის ირკუტსკში დამეცადა. იქედან რომელიმე შავიზღვისპირა ქალაქში ჩავიდოდით საცხოვრებლად და მშობლებსაც ვნახავდი. ხარბინში ყველა ახლობელსა და კეთილისმყოფელს გამოვემშვიდობე. პლატონ დადიანმა წამოსვლის წინ ათასი მანეთი მაჩუქა. იგი დიდად კმაყოფილი იყო ჩემი საქმიანობითა და ყოფაქცევით. მეგობრებმა გულთბილად გამაცილეს სადგურზე და ჩავედი ირკუტსკში, სადაც დიდი სიხარულით შემხვდნენ იქ მყოფი ქართველები: პლატონი, მელიტონი, ნესტორი და სხვები. ფული საკმაოდ მქონდა და ყველას ჩემებურად ვეცი პატივი. სულით და გულით მინდოდა ყველასათვის გადამეხადა ჩემდამი გაწეული ამაგი და დახმარება. რამდენიმე დღის შემდეგ შევიტყვე, რომ ირკუტსკში ჩამოსული იყო ლადო ჯოხაძე. მე იგი ვინახულე ვიაჩესლავ და ინოკენტი ლაკუციევსკების ოჯახში. ლადო აღფრთოვანებული გადამეხვია, მღელვარებისაგან დიდხანს სიტყვას ვერ ვძრავდით. მერე, რამდენადაც შემეძლო, მოვუყევი ჩემი თავგადასავალი. თვითონაც ბევრი ხიფათი გადახდენოდა; მითხრა, რომ ციხიდან გაქცევის შემდეგ ისევ დაეპატიმრებინათ ორენბურგში და ალგაჩა აკატუის მკაცრ კატორღაში გაეგზავნათ. იქ მანიფესტს მოესწრო და გაეთავისუფლებინათ. ირკუტსკშივე ვნახე, აგრეთვე, პოლინა ფოკინა და სხვა განთავისუფლებული რევოლუციონერები. ირკუტსკში ოცდაოთხი დღე ვიცადე და ყოველდღე ველოდი პოლეტიკას ქალის ჩამოსვლას, მაგრამ არა და არ ჩანდა. ამხანაგებმა მითხრეს, ტყუილად ელოდები, იმან ალბათ სხვა ვინმე იშოვა და აღარ ჩამოვაო. დავუჯერე ამ ნათქვამს და დავტოვე იქაურობა.

მერე შემთხვევით, ერთი გაზეთი ვნახე, წავიკითხე და გავიგე ალექსანდრა პოლეტიკას ჩამოუსვლელობის ნამდვილი მიზეზი – თურმე რევოლუციონერ მუშებს ზაბაიკალიეს რკინიგზის ლიანდაგები აეყარათ, რათა მეფეს იაპონიის ფრონტზე მყოფი ჯარები შუაგულ რუსეთში არ გადმოეყვანა აჯანყებისა და რევოლუციის ჩასახშობად. ირკუტსკში მოგვიანებით ჩამოსულიყო პოლეტიკას ქალი და კავკასიაში მყოფს გამომიგზავნა წერილი, სადაც დიდ სინანულსა და გულისტკივილს გამოთქვამდა, რომ ამ შემთხვევის გამო დროზე ვერ ჩამოვიდა ირკუტსკში. მას დაწვრილებით გაეგო ჩემი ისტორია, გადასახლებაში რომ ვიმყოფებოდი და მსაყვედურობდა, რატომ არ გამიმხილე შენი მდგომარეობაო. მე პეტერბურგში ჩაგიყვანდი და შენს საქმეს ნიკოლაი ნიკოლაევიჩთან (იმპერატორის ბიძას გულისხმობდა) გავაკეთებდიო. ამასთანავე მწერდა – შენ არ გადანაშაულებ, როგორც ქართველ ვაჟკაცს, რადგან სამშობლოს სიყვარულმა დაგძლია და ქალს სამშობლო ამჯობინე, წახვედიო. უკმაყოფილო და ნაწყენი მხოლოდ იმის გამო ვარ, რომ შენი საიდუმლოება არ გამიმხილე, ამის მიზეზი კი ის არის, რომ მთელი არსებით არ გიყვარდი და გულით არ იყავი ჩემთან ახლოსო. თავის ამ გამოსათხოვარ წერილში ეს მშვენიერი, კეთილი და ულამაზესი ქალი ყოველივე კარგს, ბედნიერ ცხოვრებას მისურვებდა.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*



# ჭურღულიების საგვარეულოს შესახებ

ჭურღულია არცთუ მრავალრიცხოვანი გვარია. 1995 წელს მთელს საქართველოში სულ 821 ჭურღულია აღირიცხა. აქედან ზუგდიდსა და მის სოფლებში – 664, წალენჯიხაში – 28 და ა.შ. გვარის ძირი სამკვიდრო სოფელია ლეჭურღულე, რომელმაც გვიან საჭურღულიოს სახელი მიიღო. ეს სოფელი ლედგებიეს ფარგლებშია მოქცეული და ალერტს ემიჯნება. სწორედ აქ ცხოვრობს ჭურღულიების 67 კომლი. გარდა ამისა ჭურღულიები მკვიდრობენ ჭიჭე საჭურღულიოში, რომელიც მდინარე ყულწყარსა და ნიჯიხღალს შორის მდებარეობს ახალსოფლის თემის სოფელ უჩაშონაში, ამ თემში 32 კომლი ჭურღულიაა. გარდა ამისა ჭურღულიები ცხოვრობენ დღეს ინგირად წოდებულ სოფელ ჯოღედიანი ||ჯოღეშიანში (8 კომლი) სოფლებში კახათი (8 კომლი) ყულიშკარი (4 კომლი) რეყე/რიყე (3 კომლი)... (პ. ცხადაია. **„გვარები და გვართა დასახელებანი სამეგრელოში"**, თბ. –2000. გვ.165).

გვარად ჭურღულიას ეტიმოლოგიის შესახებ რამოდენიმე მოსაზრება არსებობს. ჟურნალისტი ენვერ ჩიქავას სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლოა ამ გვარსახელში **„ბგერების გადაადგილებათა"** (მეცნიერული ენით მეტათეზისთან) გვქონდეს საქმე და გვარ **„ჭურღულია"-**ს ფუძეს გალობის, ჭიკჭიკის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვა **„ღურჭული"** წარმოადგენს. **თუ ეს ასეა,** – წერს ის,– **ჭურღულიათა წინაპარი მომღერალ-მგალობელი ჩანს"** (ე. ჩიქავა, ახალკახათი, თბ. 2000, გვ. 48).

მკვლევარი ნიკოლოზ ჯომიდავა, რომლის ეტიმოლოგიური ვარჯიშობები ხშირად ღიმილის მომგვრელია, გვარსახელს ჭურღულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე დაყრდნობით ყურწაჭრილი ცხვრის სიტყვა **„ჭურღულა"-**ს უკავშირებს, მაგრამ უფრო გალობა-ჭიკჭიკის აღმნიშვნელ **ღურჭულ** მეგრული სიტყვა ეგულება მის ფუძეში (ნ. ჯომიდავა. **„3000 მეგრული გვარსახელი",** თბ.2000, გვ. 439).

გალობის აღმნიშვნელ მეგრულ სიტყვა **"ღურჭულ"-**ს მიიჩნევს ამ გვარსახელის შემადგენლად ცნობილი ონომასტიკოსი პაატა ცხადაია (იხ. მისი დასახ. წიგნი, გვ. 165). როგორც ჩანს ეს ასეც უნდა იყო. ამას უთითებს გვარსახელი ჭურღულაშვილი (ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ. 1986, გვ.240). ეტყობა ჭურღულაშვილები არიან გაქართლებული ჭურღულიები, ან მეგრული წარმოშობის თიკუნი დანარჩენ საქართველოში გავრცელდა ანტროპონიმად მეგრულშივე შეცვლილი (მეტათეზირებული) სახით, მაგრამ უფრო პირველი შესაძლებლობა უნდა იყოს სიმართლესთან ახლოს. ამას მაფიქრებინებს შემდეგი გარემოება: ჭურღულაშვილი მოხსენებულია 1703-1722 წლებს შორის შედგენილ განჩინებაში თარხან მდივანბეგისა და დავით-გარეჯის უდაბნოს შორის დავის საქმეზე, სადაც სხვათა შორის ნათქვამია, რომ **„ჭურღულაშვილი იმერეთიდანაა მოსული"** (ქართული სამართლის ძეგლები ტ. I გვ. 292–293).

არსებობს გვარ-სახელ ჭურღულიას წარმომავლობის კიდევ ერთი შესაძლებლობა, ის შეიძლება იყოს ტოპონიმის შემცვლელი გვარსახელი. ეს კი უნდა იყოს სავარაუდო ტოპონიმი **„ჭურღუ"**, რომლის მკვიდრი მეგრულად იქნება ჭურღული (შდრ. რუხი – რუხული. რეჩხი – რეჩხული). ჭურღულია იმგვარივე აღნაგობისაა როგორიცაა მაგალითად გვარი მურღულია, სადაც აქ დაკარგული ტოპონიმი მურღუ უნდა გვქონდეს.

ჭურღულიების საგვარეულოს შესახებ უძველეს დოკუმენტად უნდა მივიჩნიოთ ლევან-V დადიანის წარწერა წმ. გიორგის ხატზე, რომლითაც მას დეკანოზი ნიკოლა ჭურღულია შეუწირავს, როგორც ჩანს, უგურყელის ეკლესიისთვის. ამის შესახებ ცნობა დაცულია ზუგდიდის მუზეუმში დაცულ ხატზე 1818 წელს გაკეთებულ წარწერაში, რომელშიც ნათქვამია: **„ბრძანებითა გრიგორის ძე ლევანს მიმიბარებია თქვენ, ჭურღულიებისათვინ. თუ ეს ხატი დაიკარგა, ჩემდა ღალატით მო(გ)იკითხა(ვ)თ. ამის მოცილე არა კაცი გყავთ. ქ. წმინდა(ო) გიორგი, ხატი ესე შენ(ი) და მღვდელ დეკანოზი ამის ჭურღულია ნიკოლა შეეწირა პირველს ლეონ დადიანმა (სიც) ქრისტეს საფლავისათვის და მის აქეთ დაძველებული იყო და კვლავადვე გავაკეთებინე ბრძანებითა ჯვარის მამისა ანკიკისითა, ჩვენ ჭურღულიებმან გულაია, გერა, ჭუჭუმ წელსა უფლისასა ჩყი(")"** (M. Brossit. Rapporis. IX. გვ. 38; თედო ჟორდანია, ქრონიკები III. გვ. 496; ლილი ბერაია, **"სამეგრელოში დაცული X-XIX საუკუნეების ჯვარ-ხატების წარწერები"**, თბ. 2000 გვ. 3.).

ლევან II დადიანმა მართლაც შესწირა ქრისტეს საფლავს და იერუსალიმის ქართველთა ტაძარს კორცხელის ეკლესია და კორცხელსა და მის მეზობელ სოფელში მცხოვრები 100 კომლი. ეს მოხდა 1640 წელს და ცხადია დეკანოზ ნიკოლა ჭურღულიას შეწირვაც ამ დროსაა. 1662–1667 წლებს შორის, იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრისადმი შეწირულობის წიგნში, ილარიონ წალენჯიხელი წერს: **„მე წალენჯიხელმან ილარიონ, იერუსალიმს რომ წაველ მას ჟამსა იქიობას, ალაბს ერთი კაცი ხინოწმინდელისა დავიხსენი და გამოუშვი. ამასობაში ვამეხ დადიანი რომ მოკლეს და ლეონ დადიანი რომ გაბატონდა, მაშინ ერთი კოცხელერი კაცი ლაშქარში დაკარგული იყო და თათრითგან ხინოწმინდელს დაეხსნა ჭურღულია წოწაკოჩი ქობულეთს ოთხმოცდაათ მარჩილად და სამაგიეროდ ჩემთვის გამოეგზავნა და მე ...ცხოველმყოფელს ჯვრის მონასტერს შევწირე"** (აბ. ტუღუში, დოკუმენტები ქართული ეკლესიის ისტორიისათვის, თბ. 2006. გვ. 39–40).

1675–1683 წლებს შორის იერუსალიმის ჯვრის მონასტრისადმი შეწირულობის წიგნში ჯვარის მამა ნიკოლოზი წერს: **„ვიყიდე მე პატრონმან ჯვარის მამის ნიკოლოზ ალავერდის კარსა ჭურღულია სამნი ძმანი ხოხუა და მირდი და ურცხალი. ამათ მართებთ ბეგარა, ერთი კარგი საკლავი, ორ–ორი კაცის ხე გაკვრითა, დიდ გუდა ღვინო ორი, სხვა კაცის ტვირთი ორი ღვინო, ერთი კაცის ტვირთი ღომი, მისი პური, ქათამი, ყველი, კვერცხი და მარილი, კიდევ სასტუმრო საჭმელი"...** (აბ. ტუღუში, დასახ. ნაშრომი, იქვე).

იმ პირებს შორის, რომელთაც დავით დადიანის ზეობისას, 1847 წელს გამართულ სასამართლოზე ორზოლიების დასახელებულია კახათელი ჭურღულია (სიც) ბაყაია (ზუგდიდის მუზეუმი, საკანც. არქივი, №1, ფურც. 5) ეს ბაყაია კახათელი ჭურღულიების უშუალო წინაპარი ჩანს.

ჭურღულიების უდიდესი ნაწილი საეკლესიო გლეხი იყო. თუმცა იყვნენ თავად მხეიძეთა ყმებიც. მაგრამ ჭურღულიების ერთი ნაწილი გააზნაურების გზაზე იდგა. ამას მაფიქრებინებს ის გარემოება, რომ მათ საკუთარი ყმებიც ყავდათ. 1854 წელს ყულიშკარის მკვიდრმა ჭუჭუ ჭურღულიამ რომელიც სწორედ ის ჭუჭუ უნდა იყოს, რომელმაც 1818 წელს გულაია და გერა ჭურღულიებთან (როგორც ჩანს მის ძმებთან ან ბიძაშვილებთან) ერთად წმ. გიორგის ხატი მოაჭედვინა. თავისი მოჯალაბე მიქელია ქვარსალია 200 ვერცხლის მანეთად მიყიდა დედოფალ ეკატერინეს (ზუგდიდი მუზეუმი, დოკ. №7301).

აი, მოკლედ ის, რაც შეგვიძლია ვთქვათ ჭურღულიების საგვარეულოს ისტორიის შესახებ იმ მწირი მასალებზე დაყრდნობით, რომლებიც დღეისთვის მოვიძიე.

ამოწერილია საქართველოს სახელმწიფო არქივიდან და ზუგდიდის ეთნოგრაფიული მუზეუმის ისტორიული წიგნებიდან.

**აბესალომ ტუღუში,**
**მუზეუმის დირექტორი**

## ჭურღულიობა

ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიაში არის 21 მოქმედი ეკლესია, მშენებარეა – 13. აქედან ერთერთია სოფ. ოდიშში საჭურღულიოს **„უგურყელი"-ს** (წმ. გიორგის) სალოცავი. ლედგებიეს მთავარანგელოზთა ნაეკლესიარი, რომელიც მე–16 საუკუნეში ააშენეს და გასაბჭოებამდე მოქმედი იყო. აქ ამ მადლიან მიწაზე სამი ეკლესია იყო მოქმედი: **„ყული"** – როგავების სალოცავი, **„ალერტი"** – ანთელავების სალოცავი, **„უგურყელი"** – ჭურღულიების სალოცავი, **„ჭურღულიეფიშ ოხვამე"**.

ჭურღულიების გვარის ორი უხუცესი ბატონები კოტე და ვლადიმერი იგონებენ მათთვის წინაპრებისაგან გადმოცემულ შემდეგ ლეგენდას: ყოფილან 4 ძმა ჯათუნი(ა), ძღვირინი(ა), ცაკუ და ჯარგუ ყარაჩის საზღვარზე მოუკლიაღ ყარაჩი, იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ სვანეთი, ჩამოვიდნენ აფხაზეთში და თავშესაფარი თხოვეს თავად შერვაშიძეს. მთასა და ზღვას შუა განლაგებულ მიწა-წყალზე შესაფერისი ადგილი ვერ შეურჩია თავადმა **„მთის ხალხს"** და სამეგრელოში ლევან-II (1611–1657 წწ.) დადიანთან გაგზავნა ძმები. წერილი, სადაც შერვაშიძე თხოვდა თავშესაფარი მიეცა ძმებისთვის. წაიკითხა ლევანმა და თავისი მოურავი გვარად დგებუა იხმო უთხრა **„მთის ხალხია"** ეს ხალხი, დაათვალიერებინე ჩემი სამთავრო, განსაკუთრებით მთიანი ადგილები და სადაც აირჩევენ მიწა-წყალს იქ მიეციო. ძმები 25 ქცევა მიწას ითხოვდნენ. ორმა ძმამ აირჩია ახალსოფელი – უჩაშონა, ორმა ოდიში – ლედგებიე. (**„უჩაშონა"** მეგრულად – შავი სვანია, ეს ორი ძმა შავგვრემანები ყოფილან. საჭურღულიო ეს ახალსოფელი იყო. ოდიში, ყველამ ვიცით, სამეგრელოს გულია, ხოლო ლედგებიე ის ადგილია სადაც ეს ეკლესია დგას. მაშინ აქ დგებიები ცხოვრობდნენ).

1611-1657 წწ. ძმები დასახლდნენ და მათ ლევან-II დადიანმა მისცა გვარი **„ჭურღულია"**. ამ დიდი წყალობის გამო, რომელიც უფლის ხელდასმით მოხდა, ძმებმა პირობა დადეს მთავრის წინაშე, რომ მღვთისმსახურებას შეუდგებოდნენ და შეუდგნენ კიდეც. სწორედ ამის გამო ჭურღულიები განთავისუფლებული იყო ყოველგვარი გადასახადისაგან, ისინი გლეხები იყვნენ, მაგრამ არავის მოჯამაგირედ არ უდგებოდნენ, იმ დროისთვის დიდი პრივილეგიით სარგებლობდნენ, რადგან ყველაზე მთავარს ღვთისმსახურებას ეწეოდენ, დადიანებმა კარგად იცოდნენ ამ მსახურების მადლი და ფასი.

გასაბჭოებამდე საქართველოში 1450 ეკლესია არსებობდა. აქ, სამეგრელოს ამ მადლიან მიწაზე სამი ეკლესია ფუნქციონირებდა: **„ყული", „ალერტი" და „უგურყელი"**. ამ ეკლესიებში არსებული სიწმინდეები და 5-5 ზარი ილორიდან ჩამოუბრძანებიათ. **„უგურყელი"**-ს წმ. გიორგის მოოქროვილი ხატი დღეს დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ხოლო ზარები (დედა ზარი ეს იყო დიდი ზარი, საშუალო ზომის სამი ზარი და პატარა ზარი) რომელიც სამივე ტაძარში იყო ერთდროულად იუწყებოდა წირვალოცვის დაწყებას, 1922 წლის 23 თებერვალს საბჭოთა რუსეთში გამოშვებული ბრძანების **„საქართველოს ეკლესიიდან განძეულის ამოღების შესახებ"** საფუძველზე ჩამოუხსნიათ. 1923 წლის გაზაფხულზე უკვე კომუნისტებმა 1212 ეკლესია დახურეს. გურიაში და სამეგრელოში არც ერთი ტაძარი აღარ მოქმედებდა. ზუგდიდის მაზრაში 75 ტაძარი დაიხურა, მათ შორის ერთერთი ჩვენი ტაძარი იყო. ჩვენ ვიცით კომუნისტები მორწმუნეებს დაუნდობლად უსწორდებოდნენ, მათ თვალწინ ესროდნენ ეკლესიის გუმბათზე აღმართულ ჯვრებს, ხვრეტდნენ ხატებს, პარსავდნენ მღვდლებს, მირონით ჩექმებს იწმენდნენ. ამ პროცესში ოდიშის საბჭოს თავმჯდომარე აქტიურად მონაწილეობდა. **„უგურყელის წმ. გიორგის"** მოოქროვილი ხატი, რომელიც დღეისთვის სახ. მუზეუმშია დაცული გამოიტანა ჩვენი ეკლესიიდან, დადო აქ ამ ეკლესიის ეზოში, ზედ გადააჯდა და თუთუნი მოწია და ყვიროდა – ამას თუ რამე ძალა აქვს ჩემს შთამომავლობას შეეხოსო. გადმოცემით ვიცით: მისი შთამომავლობა ამ ცოდვის გამო ამოწყვეტილა. ამ ფაქტს მემე ჭურღულია შეესწრო და დიდი წინაღმდეგობა გაუწია, რის გამოც იგი დაიჭირეს. არ ვიცით რა ბედი ეწია მას, მაგრამ როგორც ცნობილია მსგავსი ფაქტების გამო კომუნისტებმა ათასობით მორწმუნე დახვრიტეს. ჩვენ გვინდა დიდი მოწიწებით თავი დავხაროთ, ჩვენი სახელოვანი წინაპრის მემე ჭურღულიას სულის წინაშე. რომელიც ალბათ რომელიმე ჩვენთაგანის ბაბუა ან დიდი ბაბუა იყო. ჩვენ მისი შთამომავალნი ყველა ერთად მადლიერი ვართ ყველა იმ ჭურღულიასი ვინაც ჩვენამდე მოიტანა ეს ეკლესია – ...დიდი განძი საქართველოში. 2500 მეტი ჭურღულიაა რომლებიც ძირითადად თბილისში და სამეგრელოს რეგიონებში ცხოვრობენ, კერძოდ ზუგდიდში, წალენჯიხაში, ოდიშში, საჭურღულიოში, ახალსოფელში, ახალკახათში, ინგირში, ყულიშკარში, რიყეში ცხოვრობენ. კარგი იქნება თუ მომავალში მოვახერხებთ იმას, რომ მივაკვლიოთ ხელოვნების მუზეუმში არსებულ ისტორიული წმ. გიორგის მოოქროვილ ხატს, დავაწერინოთ მისი ასლი და პატრიარქს დავალოცინოთ ჭურღულიების გვარი.

**კოტე ჭურღულია**

# ჯავახეთის მუსულმანები უკანონოდ შემოტანილი მინარეთის აღდგენას მოითხოვენ!

ჯავახეთის მუფთის, მამუკა ვაშაყმაძის ინფორმაციით, ახალციხის პოლიციასთან 27 აგვისტოს დაპატიმრებული ფრიდონ გობაძის ბაბუა ინფარქტით გარდაიცვალა. როგორც მუფთმა მამუკა ვაშაყმაძემ განაცხადა, გობაძის ბაბუამ შვილიშვილის დაპატიმრების შესახებ ინფორმაცია სოფელში გაიგო, რის გამოც ინერვიულა და ინფარქტით გარდაიცვალა.

**"ცუდი ამბავი მოხდა, წუხელ პოლიციის შენობასთან დაპირისპირების დროს ფრიდონ გობაძე დააპატიმრეს. აღელვებულმა ხალხმა ვეღარ მოზომა, ჭიშკარს მიადგა, რის გამოც ეს ბიჭი შეაგდეს საპატიმროში. ერთი საათის მერე გავიგეთ, რომ ნერვიულობის ნიადაგზე გობაძის ბაბუას ინფარქტი მოუვიდა და გარდაიცვალა. გასვენებაში მისული ხალხი აქეთ მოემართება. საპატრიარქო რეაგირებას არ ახდენს, ღარიბაშვილი და ივანიშვილი არაფერს არ ამბობენ. ხალხი ამ ყველაფერს გულცივად ხვდება, ასე მხოლოდ ჯალათები აკეთებენ და ამ ყოველივეს კარგი შედეგი არ მოყვება",** – აღნიშნა მამუკა ვაშაყმაძემ.

მისივე თქმით, ხულოსა და წალკის მოსახლეობა დაპატიმრებულების გათავისუფლების მოთხოვნით სამარშრუტო ტაქსებით ახალციხის პოლიციისკენ გაემართნენ. მამუკა ვაშაყმაძის თქმით, დააპატიმრეს 11 ადამიანი, 4 მათგანი 400-ლარიანი ჯარიმის დაკისრებით გაათავისუფლეს, ზოგიერთების წინააღმდეგ კი აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მუფთის თქმით, ადიგენის ჭელის მოსახლეობამ ღამე ახალციხის პოლიციასთან გაათენა და მანამდე დარჩებიან პოლიციის შენობასთან, სანამ დაპატიმრებულებს არ გაათავისუფლებენ:

**"ვითხოვთ დაპატიმრებულების გათავისუფლებას. აგრესიულად მოექცნენ მათ. გუშინ ვესაუბრე ახალციხის სამმართველოს უფროსს, დაპატიმრების მერე ძალადობა არ დაფიქსირებულა. 11 კაცი კვლავ პატიმრობაში რჩება, 10 კი გამოუშვეს. ახლციხის პოლიციასთან ვიმყოფებით. ხულოდან და წალკიდან მოდის ხალხი მხარდასაჭერად. ძალიან მეშინია ცუდი შედეგები არ მოყვეს ამას. ყველა შეურაცყოფილად გრძნობს თავს, სულში ჩაგვაფურთხეს ფაქტიურად. სანამ არ გაათავისუფლებენ, თუნდაც ერთი კვირა გავიდეს, აქ ვრჩებით",** – აღნიშნა მამუკა ვაშაყმაძემ.

26 აგვისტოს ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში თურქეთიდან კანონდარღვევით შემოტანილი მეჩეთის მინარეთის დემონტაჟის დროს სამართალდამცავებსა და მოსახლეობას შორის დაპირისპირება მოხდა.

მაგრად კი **"გაიგრიალეს"** მუსულმანებმა საქართველოში სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, რომლის დედის – გიული ალასანიას საეჭვო კავშირების თაობაზე თურქებთან ჩვენ არაერთგზის აღგვინიშნავს. სწორედ სააკაშვილის ოჯახის **"დამსახურებაა",** რომ დედასაქართველოსაკენ მობრუნებული აჭარა ხელმეორედ გათურქდა.

როცა ქართველი მუსულმანები საქართველოში საკუთარი უფლებების დაცვაზე ხმამაღლა გაჰყვირიან, იქნებ ერთხელ მაინც გაიკითხონ, რა დღეში ჰყავთ აზერბაიჯანელ მუსულმანებს საინგილოს ქართველობა. არამც თუ ახალი ეკლესიის აგებაზე ფიქრის გონებაში გავლების უფლებას არავინ აძლევს მათ, არამედ იქ არსებული ეკლესიაც კი დაკეტილი აქვთ, გასაღები მოლას უდევს ჯიბეში და როცა მოეპრიანება, მაშინ აძლევს ქრისტიანებს იქ ლოცვის უფლებას. ქართველმა მუსულმანებმა კი მეჩეთებით გაავსეს საქართველო და ახლა იმის სურვილიც გაეღვიძათ, რომ მინარეთები დაგვაშენონ თავზე და მასზე ყვავებივით შემომსხდარი მუეძინების ჩხავილით გაგვაღვიძონ!

ვერ ეღირსებიან!

თუ ლოცვა სურთ, არავინ უშლით – შევიდნენ თავიანთ მეჩეთებში და რამდენიც სურთ, იმდენი ილოცონ. მაგრამ მინარეთების აშენების უფლება მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცეთ. ხოლო თუ ძალიან აწუხებთ მინარეთებისადმი ნოსტალგია, აქვეა თურქეთი და ირანი და შეუძლიათ იქ გადაინაცვლონ... ეს ევროპელებს შეუძლიათ სრული თავისუფლება მიანიჭონ მუსულმანებს, რაც საკმაოდ ძვირად უჯდებათ კიდეც. ჩვენ კი ის ქართველები ვართ, რომელთაც გვყავს მუსლიმთა ხელით მოკვდინებული 100.000 მორწმუნე, ქრისტიანობისათვის მუსულმანების წინააღმდეგ ომებში დაღუპული მილიონობით წინაპარი და ასე იოლად ვერ შევაქცევთ ზურგს მათ ხსოვნას და არ მოვახდენთ იმის ლეგალიზაციას, რასაც ესოდენი თავგანწირვით ებრძოდნენ ჩვენი მამა-პაპანი!

**რ.ჯ.**

# ხომ ლამაზია ჩვენი ქალაქი, მაგრამ ჩვენ უფრო ლამაზი გვინდა...

ვინ არ მოუხიბლავს ჩვენ ქალაქს თავისი მიმზიდველობით, დადიანების სასახლით, ბოტანიკური ბაღით, ისტორიული ადგილებით, ძეგლებით, სტუმართმოყვარე მოსახლეობით,ღვაწლმოსილი ადამიანებით, თავისი მდიდარი წარსულით და აწმყოთი...

მაგრამ ჩვენ გვსურს, რომ იგი კიდევ უფრო დახვეწილი და ლამაზი იყოს! ამას რომ მივაღწიოთ,თვალშისაცემი ხარვეზები უნდა აღმოვფხვრათ ერმა და ბერმა, ახალგაზრდობამ, რათა ზუგდიდი სიყვარულის, სიკეთისა და ნატვრის ქალაქად ვაქციოთ.

ამ ყოფაში პრობლემებს რა გამოლევს, მაგრამ ის,რაც აუცილებლად უნდა გაკეთდეს,მოსახლეობისა და ქალაქის **"მამების"** სურვილზეა დამოკიდებული. ამას კი ადამიანების სურვილი და ნება სჭირდება! ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია ქალაქის სასმელი წყლით მომარაგება,განსაკუთრებით მდინარე ჩხოუშიას მარჯვენა მხარეს მცხოვრებთა. და ეს მაშინ,როცა საქართველოს თითქმის ყველა დასახლებული პუნქტი სასმელი წყლით უზრუნველყოფილია. ჩვენს ქალაქში კი უყურადღებობის გამო მოსახლეობა ჭების ამარაა დარჩენილი, რაც აშკარა არქაიზმია.

ასევე მოუგვარებელია სანაგვე ბუნკერების უბნების მიხედვით ოპტიმალურად განაწილების საკითხი,რადგან არავის არ სურს თავის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს ამ ბუნკერის დადგმა. ნაგავს ჰყრიან იქ, სადაც მოესურვილებათ, რაც ანტისანიტარიის მძლავრ კერებს ქმნის. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ბაზრებში მოუგვარებელია ფრინველისა და საქონლის რეალიზაციის ადგილებში სისუფთავის შენარჩუნების საკითხი, საიდანაც აუტანელი სუნი ვრცელდება ქალაქში.

თითქოს ძნელია არაა ამ მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებათა შემუშავება, მაგრამ, სამწუხაროდ, ქალაქის მამები ამისათვის თავს არ იწუხებენ!

მთელ ქალაქში ერთადერთი მიწისქვეშა გადასასვლელია,რომელიც თითქმის საზოგადოებრივ ტუალეტადაა ქცეული და ხალხი ყველანაირად არიდებს თავს ამ გადასასვლელით სარგებლობას, რაც, ტრანსპორტის ინტესიური მოძრაობის გამო, დამატებით საფრთხეებს უქმნის მოქალაქეებს.

თბილისი-ზუგდიდის პუნქტებს შორის მოძრავ **"ჩქარ"** მატარებელს სიჩქარის არაფერი ეტყობა, ზუგდიდის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორია და ბაქანთან მოწყობილი გადასასვლელი ხიდის მდგომარეობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. აქ ისეთი ანტისანიტარია სუფევს, რომ ქალაქის ნაგავსაყრელზე გეგონება თავი.

ქალაქის ცენტრში ელექტრო და კავშირგაბმულობის ხაზები ისეა გადახვანჯული ერთმანეთში, რომ ეშმაკი ვერ გაუგებს თავსა და ბოლოს. ეს კი დამატებით საფრთხეებს ქმნის, ამორტიზებული და ძირგამომპალია ათეულ წლობის წინ დადგმული ელექტრო და რადიოგაყვანილობათა საყრდენი ბოძები, არ მუშაობს რადიოს ხაზი, რაც მოსახლეობას უფასოდ ამარაგებდა სასურველი ინფორმაციით. ზუგდიდის ჰაერგამწმენდ ფილტრად აღიარებული მდინარე ჩხოუშიას კალაპოტი კი ისეა დანაგვიანებული, რომ მასში მდინარესაც კი უჭირს მოძრაობა. ყოველივე ეს კი,სამწუხაროდ,არა მხოლოდ ქალაქის მესვეურთ უყურადღებობაზე, არამედ მოსახლეობის დაბალ კულტურაზეც მიანიშნებს,რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია სისუფთავის შენარჩუნება იქ,სადაც ათი ადამიანი ანტისანიტარიას ებრძვის, ათასი ადამიანი კი გარემოს აბინძურებს!

საკმაოდ დიდ ქალაქში სატკივარსა და მოსაგვარებელს რა გამოლევს,მაგრამ თუ ამის ნება და სურვილი გაჩნდება,პრობლემა თანდათან შეიძლება ნაწილობრივ მაინც აღმოიფხვრას,რაც მოსახლეობაში სისუფთავისადმი მიდრეკილებას გააძლიერებს. ამის გარეშე კი ზედმეტია სისუფთავეზე ფიქრიც კი...

ქალაქში არ არსებობს ერთიანი სარემონტო ბაზა, რომლის დახმარებით შესაძლებელი გახდებოდა ოჯახში მცირე საყოფაცხოვრებო (ელექტრო,წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, საყოფაცხოვრებო ტექნიკის) პრობლემების მოგვარება, რისთვისაც მოსახლეობას კერძო ხელოსნების ძებნა უწევს. ამ საკითხის მოგვარება მოსახლეობას დიდ პრობლემებს მოუხსნიდა,ქალაქის საკმაოდ მწირ ბიუჯეტს კი დამატებით შემოსავლებს გაუჩენდა.

აღსაკვეთია ტრანსპორტის უსისტემო მოძრაობა ქალაქის ქუჩებში,დასაწესებელია მოძრაობის ზღვრული სიჩქარე. ასევე თვალშისაცემია სავაჭრო ქსელში დასაქმებულ გამყიდველთა პროფესიული მომზადების დაბალი დონე და კულტურის დეფიციტი, ფასების დამახინჯება, თითების ენით დასველება, სავაჭრო დარბაზების საქონლით ბარიკადირება და სხვა.

უპირველესად, საჭიროა აღნიშნულ ნაკლოვანებებზე დისკუსიების მომზადება, რათა მომწიფდეს სათანადო საზოგადოებრივი აზრი,რომლის გარეშე აღნიშნული სიმახინჯეების აღმოფხვრა პრაქტიკულად შეუძლებელია. ახლა,როცა ქვეყანაში მიმდინარეობს დადებითი ძვრები,ჩნდება ახალ საწარმოთა ამოქმედებების იმედი, რასაც მოჰყვება მოსახლეობის შემოდინება და არა გადინება,განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის სანიტარულ მდგომარეობას,რათა ბარბაროსებად არ წარმოვჩინდეთ ჩვენი ქალაქისა და კუთხის უცხოელი სტუმრების თვალში.

ამიტომ, საჭიროა ვაჩუქოთ ერთმანეთს სითბო და სილამაზე, და არა ნაგავი და სიმახინჯე!

**იუზა კატუკია,**

**ომისა და სამხედრო ძალების ვეტერან,**

**ზუგდიდი**

# ბიჭია, აბა ვინ ოხერია!

***"სააკაშვილი თავისი ფსიქიკის მძევალია". "პრეზიდენტის რეზიდენციას უცხოელები "კალიგულას სასახლეს" უწოდებდნენ"***

**გაზეთ "ილორისაგან": თურმე, ერთი წყალმაშველი, ორმოცწლიანი სამსახურის შემდეგ პენსიაზე გავიდა. კოლეგებმა გადაწყვიტეს, რომ მისთვის გაცილება მოეწყოთ და თბილისის ზღვაზე შესანიშნავი სუფრა გაუშალეს. წყალმაშველებს წესად ჰქონიათ – პენსიაზე გასული კოლეგა თურმე ტანსაცმლიანად უნდა გადააგდონ წყალში, შემდეგ კი სპეციალურად მისთვის ნაყიდი კოსტუმი მიართვან საჩუქრად. ჰოდა, მოისროლეს წყალში ჩვენი წყალმაშველი და... ჰოი საოცრებავ! მას თურმე ცურვა არ სცოდნია და მეგობრები რომ არ დახმარებოდნენ, უეჭველად დაიხრჩობოდა...**

**წარმოიდგინეთ, როგორი საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა ადამიანი, მისი მორიგეობის დროს რომ დახრჩობის საშიშროება რომ შექმნოდა. ახლა, ისიც გაითვალისწინეთ, როგორი საფრთხის წინაშე იდგა საქართველოს 5-მილიონიანი მოსახლეობა, როცა მას 9 წლის განმავლობაში გაცხადებული გიჟი ედგა სათავეში. სწორედ მიხეილ სააკაშვილის კლინიკურ სიგიჟეს ეძღვნება ეს წერილი.**

2006 წელს გავრცელდა ევროპის შვიდი ავტორიტეტული ფსიქიატრიული კლინიკის დასკვნა სააკაშვილის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. დასკვნა, რომლის შემდგენლებადაც დასახელდნენ ტონსბერგის (ნორვეგია) ფსიქიატრიული ცენტრი, ოსლოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტი, ფინეთის ფსიქიატრიის დეპარტამენტი, კიოლნის ნერვული დაავადებების ცენტრი, ჟენევის ფსიქიატრიის დეპარტამენტი, ვენის ფსიქოანალიზისა და ფსიქოთერაპიის დეპარტამენტი და ამსტერდამის კლინიკური ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, სკანდალურია და მას დამაჯერებლობას მატებს აგვისტოს ომამდე ორი წლით ადრე გაკეთებული პროგნოზი, რომელიც გამართლდა: **"ძალაუფლებისაკენ ლტოლვამ სააკაშვილს შეიძლება დაუკარგოს სიფრთხილე და გადაწყვეტილებები სახიფათო აღმოჩნდეს. მისგან მოსალოდნელია პრობლემების პროვოცირება. მათ შორის, პოლიტიკური და საომარი კონფლიქტიც"**. ევროპელი ფსიქიატრების დასკვნაში არის დიაგნოზი: **"ძლიერი პარანოიდული აშლილობა, ისტერიულობა და ნარცისიზმის კომპლექსი"**.

ფსიქიატრებმა სააკაშვილის პიროვნების ფსიქოლოგიური კვლევა მისი ბავშვობით დაიწყეს და სწორედ იქ იპოვეს იმ გადახრების მიზეზი, რაც დიაგნოზში აისახა. **"რადგან სააკაშვილის მშობლები ერთად არ ცხოვრობდნენ, ბავშვი დედას მიეჯაჭვა და პატარაობისას მიღებული ემოციური ტრავმის გამო, რომელიც მამას უკავშირდებოდა, აგრესიულ პიროვნებად ჩამოყალიბდა. მას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა მამინაცვალთან, თანატოლებისგანაც გარიყული აღმოჩნდა. ჩაკეტილი ბიჭი იყო და უჭირდა კლასელებთან ურთიერთობა. თუმცა მაღალ კლასებში ის სკოლის თეატრალურ წრეშიც იყო და წარმოდგენებშიც მონაწილეობდა. თეატრით გატაცებულმა მოზარდებმა სამოყვარულო ფილმების (მათ შორის პორნოგრაფიული შინაარსის) გადაღება დაიწყეს, რასაც სკანდალი მოჰყვა და სააკაშვილს თბილისის დატოვება მოუხდა. ის კიევში წავიდა სასწავლებლად, მაგრამ მორიგი სკანდალის (ინტიმური შეხვედრებისთვის თანაკურსელები მის ბინაში იკრიბებოდნენ) შემდეგ კომკავშირიდან გარიცხეს და ხმაური რომ ჩამცხრალიყო, ჯარში წავიდა...**

**...სააკაშვილი არის შინაგანად დაძაბული, ნევროზული, ეჭვიანი და ემოციურად გაუწონასწორებელი. მისი ჟესტიკულაცია, სიარულის მანერა და აღნაგობა ნორმებიდან ამოვარდნილია. უჭირს მობილიზება, თავისი გამოსვლების სწორად ორგანიზება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არასასურველ კითხვებს უსვამენ. ამ დროს იბნევა, ვრცელ, არაფრისმთქმელ ფრაზებს იშველიებს, რომლებიც შორს არის პასუხისგან. ერთი თემიდან მეორეზე გადადის. ამით ცდილობს ოპონენტის მოგერიებას და დაბნევას. როგორც ისტერიულ ტიპს, ახასიათებს სპონტანურობა და აქვს შოუმენის ნიჭი.**

**რადგან ბავშვობაში ჩამოყალიბებული არასრულფასოვნების კომპლექსისგან გათავისუფლებას ზრდასრულ ასაკში ცდილობდა, ამან გამოიწვია ძალაუფლებისაკენ ლტოლვა. იმდენად არის შეპყრობილი ერთადერთი სურვილით, თავი დაიმკვიდროს, რომ ანგარიშს არ უწევს იმ საზოგადოების შეხედულებებს, რომელმაც ის ერთხელ უკვე არ მიიღო და გარიყა. როდესაც ხედავს, რომ სათანადოდ არ აფასებენ, აგრესიული ხდება. ვვარაუდობთ, რომ მომავალში ეს გამოიწვევს კონფლიქტს საზოგადოებასთან".**

**პეტრე მამრაძე, პარლამენტის ყოფილი წევრი**: – სააკაშვილი 1992 წლის ზაფხულში გავიცანი. კიევიდან ახალი ჩამოსული ვიცე-პრემიერ სანდრო კავსაძის აპარატში მოვიდა სამუშაოდ, რომლის თანაშემწეც მე გახლდით. მისგან პატივისცემისა და მეგობრული დამოკიდებულების გარდა, არაფერი მიგვრძნია. მეტიც, 2008 წლის მაისში პარლამენტის წევრი სააკაშვილის ნებით გავხდი.

2006 წლის გაზაფხულზე დასავლეთ ევროპის რამდენიმე წამყვანი ქვეყნის ელჩმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მკითხა სააკაშვილის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ. მაჩვენებდნენ რუსულად ამობეჭდილ ტექსტს, რომელიც იწყებოდა იმით, რომ წამყვანმა შვიდმა ფსიქიატრიულმა კლინიკამ ევროპაში ვიღაცის დაკვეთით იმუშავა სააკაშვილის ფსიქოლოგიურ პორტრეტზე. ზოგადად, როდესაც ახალი ლიდერი მოდის ქვეყნის სათავეში, სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები მუშაობენ ამ ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიურ პორტრეტზე, რაც, რა თქმა უნდა, გასაიდუმლოებულია. ცნობილი შემთხვევაა, რომ ერთმა გამოჩენილმა ფსიქიატრმა 40-იანი წლების დასაწყისში შეადგინა ჰიტლერის ფსიქოპორტრეტი და ყველაფერი იწინასწარმეტყველა მისი ავანტიურისტული ქმედებებისა და თვითმკვლელობის ჩათვლით. ეს კვლევა მაშინ საიდუმლო დოკუმენტის სახით დაიდო მოკავშირეების მაგიდაზე, მაგრამ დღეს ის საიდუმლოს აღარ წარმოადგენს.

**– 2008 წლის ომის შემდეგ გავრცელდა ჭორი, რომ სააკაშვილმა სცადა თავის მოკვლა და დაცვამ ხელიდან გამოჰგლიჯა პისტოლეტი.**

– ვიცნობ სააკაშვილს, შეიძლება ასეთი თეატრალური სცენა მართლაც გაეთამაშებინა ვიღაცების თანდასწრებით, ან რაღაც ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფს ეს მართლაც გაეკეთებინა. შეგახსენებთ გორში მის პანიკურ გაქცევას. არ ვიცი, რა მოელანდა, რა წარმოისახა მის ანთებულ ტვინში, რომ უცებ დაიძახა, უნდა წავიდეთო, ადგილს მოსწყდა და მერე მთელმა მსოფლიომ ნახა მუხლებზე მხოხავი სააკაშვილის შემზარავი ფოტოები, რომელიც შეძრწუნებული იყურება ცისკენ. რას ელოდა იქიდან? ასეთი შეურაცხადობის მომენტში სააკაშვილს შეეძლო პისტოლეტიც ამოეღო, მაგრამ ეს არ იქნებოდა მოფიქრებული და მერე აღსრულებული გადაწყვეტილება.

ამ დროს თურმე კუშნერი სხვებს მიუტრიალდა და ეკითხებოდა, ხომ არ იცით, მიშა რატომ გარბისო. შეწუხდა, როცა დაინახა გაქცეული მთავარსარდალი და ქვეყნის პრეზიდენტი...

სააკაშვილი თავისი ფსიქიკის მძევალია და რაც ევროპელი ექიმების დასკვნაში წერია, ჩემს დაკვირვებასაც ემთხვევა. მას გაუწონასწორებლობა და უკიდურესი ნერვიულობა სჩვევია ყოვლად უწყინარ სიტუაციაშიც. შეიძლება რაღაც ეწყინოს, ამას გულში ჩაიდებს და მერე შურისძიებას ცდილობს. როდესაც გია ბარამიძემ 1992 წელს მიშას ზურაბ ჟვანია გააცნო, ზურა გავაფრთხილე, მგონი, ყველა ფრთხილად უნდა ვიყოთ, არამდგრადი ფსიქიკის ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს-მეთქი, მაგრამ ზურა აღფრთოვანებული იყო მისი ამერიკული განათლებითა და ორატორობით.

არ დამავიწყდება, ევროპელი ფსიქიატრების დასკვნა უკვე გადადიოდა ხელიდან ხელში, რომ ერთმა ქართველმა ფსიქიატრმა მითხრა, არავითარი საბუთები არ მჭირდება, საკმარისი იყო, მენახა, საუბრისას მისი ხელის მოძრაობა და თვითმფრინავის ტრაპიდან როგორ ჩამოდის და დიაგნოზი დავსვი – სახეზეა მანიაკალურ-დეპრესიული სინდრომის გამოვლინებაო. უცხოელებისაგან მომისმენია, სააკაშვილს განდიდების მანია აქვს, ნარცისიზმი და მეგალომანია სჭირს, ამის უკან არასრულფასოვნების კომპლექსი იმალებაო. აქედან მოდის თვითდამკვიდრების დაუოკებელი სურვილი, რომ ყველაფერი ისე გაკეთდეს, როგორც მას სურს.

მაგალითად, პარლამენტის ქუთაისში გადატანა და მემორიალის აფეთქება სხვა არაფერია, თუ არა სიგიჟე.

როდესაც ჯო ბაიდენი საქართველოში ჩამოვიდა, გაოგნდა პრეზიდენტის სასახლის ნახვისას. მაშინაც და ამის მერეც სულ მესმოდა, როგორ უწოდებდნენ უცხოელები პრეზიდენტის რეზიდენციას კალიგულას სასახლეს. სააკაშვილს იგივე დაემართა, რაც მუსოლინის ან ჩაუშესკუს. კორტის ადგილზე ასწლოვანი ხეების გაჩეხა და იუსტიციის სასახლის აშენებაც სააკაშვილის სნეული ფანტაზიის ნაყოფია.

ჩემზე განსაკუთრებით მძიმედ მოქმედებდა სააკაშვილის ჭამა. ეს ნორმალური ადამიანის კვება კი არა, სხვადასხვა საჭმლის ერთმანეთის მიყოლებით უზომო შთანთქმაა, რაც უცხოელმა დიპლომატებმაც არაერთხელ აღნიშნეს.

ანგელა მერკელთან სააკაშვილის პირველი შეხვედრის მერე, გერმანელმა დიპლომატებმა მითხრეს, შეხვედრაზე სააკაშვილმა ერთმანეთის მიყოლებით ყველაფრის პირში ჩაყრა დაიწყო. საჭმელს **"კოკა-კოლას"** აყოლებდა და გაუთავებლად ლაპარაკობდა, მერკელმა რომ გააცილა, თვალები დახუჭა და ერთხანს ხელით ეჭირა შუბლი.

მერე კი გვითხრა, ახლავე გაშიფრეთ ჩვენი საუბარი, რასაც მეუბნებოდა მახსოვს, მაგრამ მე რა ვუთხარი, ვეღარ ვიხსენებო.

ჯორჯ ბუშთან შეხვედრაზე რომ მიდიოდა, დაინახა ჯიხური, სადაც ჰოთ-დოგი იყიდებოდა. ნერწყვი მოადგა, დაცვას აყიდვინა და ისეთი ტემპით დაიწყო მისი შთანთქმა, კეტჩუპი გადაისხა თეთრ პერანგზე. იქ ამბები იყო! პროტოკოლის სამსახური ლამის ენით წმენდდა ჩვენს პრეზიდენტს, რომ ბუშთან შესულიყო. ჩვენი ექიმებისაგან გამიგია, რომ ბულიმია სჭირს, რაც მძიმე დაავადებაა. გაეროში მომუშავე პერსონალისაგან ვიცი (ამას არასოდეს ჰყვება ირაკლი ალასანია), რომ აგვისტოს ომამდე სააკაშვილი სიტყვით გამოვიდა გაეროში, არ მოეწონა მის გამოსვლაზე ცოტა ხალხის დასწრება და დარბაზის რეაქცია.

რაკი მსმენელთა შორის მნიშვნელოვანი ქვეყნების პირველი პირები არ იყვნენ და დარბაზმა ცივად მიიღო, იმდენად გაღიზიანდა, რომ დარბაზიდან გამოვარდა და გასასვლელისკენ გაეშურა, მაშინ როდესაც რამდენიმე თვის მუშაობის შედეგად გაწერილი იყო მისი შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებთან. სააკაშვილი გიგანტური ნაბიჯებით შევარდა ესკალატორზე, უკან დელეგაცია მისდევდა, მაგრამ ალასანიამ მოახერხა და სირბილში გაასწრო. კარში ჩადგა, ხელები გაშალა და იყვირა, ვერსად წახვალ, შეხვედრებია დანიშნულიო. სააკაშვილი კი გაიძახოდა, თავი დამანებეთ, არაფერი აღარ მინდაო.

საბოლოოდ ალასანიამ მაინც მოახერხა მისი მობრუნება.

2008 წელს რუსეთმა სწორედ მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის გათვალისწინებით შეძლო მისი პროვოცირება.

2009 წელს ერთმა დიპლომატმა მიამბო: სააკაშვილი ინკოგნიტოდ იყო ჩასული ლონდონში და სასტუმრო **"რიცში"** საპრეზიდენტო აპარტამენტებში დაბინავდა. ნომერში მისი შესვლიდან 10 წუთში სასტუმროს ადმინისტრატორის ტელეფონი აწკრიალდა. სააკაშვილი ყვიროდა, ახლავე ჩემთან ამოდითო. რამდენიმე თანამშრომელი მივიდა პრეზიდენტის ნომრის კართან და კარი გაიღო თუ არა, მათკენ გამოსროლილი ბოთლი კედელს შეენარცხა. ამის შემდეგ დაინახეს ოთხად მოკეცილი სააკაშვილი, რომელიც ბართან იდგა, იღებდა სხვადასხვა რუსული იარლიყის მქონე ბოთლებს, ესროდა სასტუმროს თანამშრომლებს და ყვიროდა, ეს როგორ დამახვედრეთო. ეს ამბავი არ გახმაურებულა, რადგან **"რიცი"** საჯაროდ არაფერს იტყვის თავის კლიენტებზე, მაგრამ ლონდონის საზოგადოება იმ საღამოს ლაპარაკობდა, საქართველოს გიჟი პრეზიდენტი ჰყავს, რომელიც აქეთ-იქით ისვრის ბოთლებსო.

გავიხსენოთ გახმაურებული შემთხვევა, როდესაც შტატებში მიფრინავდა სააკაშვილი და გზად მილანში შეიარა, რომ იქ მაჯის საათები ეყიდა. არაფრად აგდებდა, რომ ეს ინფორმაცია შეიძლებოდა გავრცელებულიყო, რაც მოხდა კიდეც. მისთვის მთავარია დაუოკებელი სურვილი დაუყოვნებლივ დაიკმაყოფილოს, ამიტომაც დაასრულა ასე ტრაგიკულად თავისი მოღვაწეობა.

**მ.ზანდუკელი**

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# საქართველოს XXV ჩემპიონატის მონაწილე გუნდების წარდგენა



## მეტალურგი (რუსთავი)

ახალი ხელმძღვანელობა, ახალი სამწვრთნელო შტაბი, 8 ახალი ფეხბურთელი,– აი, ასე ხვდება XXV ჩემპიონატს **"მეტალურგი"**, გასული სეზონი თავისთვის შეუფერებელ, VII ადგილზე რომ დაამთავრა.

**"მეტალურგის"** ახალწვეულების წარდგენაზე ორიოდ დღის წინათ ვისაუბრეთ და ამ თემას აღარ განვავრცობთ; უბრალოდ, მართლაც საინტერესოა, მოხდება თუ არა პრეცენდენტი, როცა კლუბის ისტორიაში ერთი და იგივე მწვრთნელი სეზონს სრულად ჩაატარებს?!.

წინა სასეზონო წარდგენისას კლუბის ახალმა დირექტორმა ზაზა დოლიძემ ახალ მთავარ მწვრთნელს გელა სანაიას ნდობა საჯაროდ გამოუცხადა და ისიც დაამატა, რომ **"მეტალურგს"** ამ სეზონში ისეთი მიზნები ექნება, ასეთი ამბიციის კლუბს რომ ეკადრებაო. წესით, ასეც უნდა მოხდეს, – თუ გავითვალისწინებთ **"მეტალურგის"** მართლაც არცთუ ურიგო შემადგენლობას.

**პროგნოზი: წინა სეზონისაგან განსხვავებით, ზედა ექვსეულში მოხვედრა არ უნდა გაუჭირდეს.**

## მერანი (მარტვილი)

სამწუხაროდ, ამ საინტერესო გუნდს იმის ფუფუნება არა აქვს, მოსამზადებელი ეტაპი უცხოეთში გაიაროს. თუმცა, ამ გუნდის ახალგაზრდა და ამავე დროს, სტაჟიანი თავკაცი მალხაზ ჟვანია მაინც ახერხებს ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებას.

ახალ სეზონში **"მერანში"** რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის ხილვა იქნება საინტერესო: შოთა ბაბუნაშვილის, თეიმურაზ ფარულავას, გიორგი მელქაძესა და გიორგი ქუცურუას უმაღლეს ლიგაში არაერთი სეზონი ჩაუტარებიათ.

თუმცა, დანაკლისიც სოლიდურია: იჯარა დაუმთავრდა და **"ზესტაფონს"** დაუბრუნდა მარტვილელთა საუკეთესო ბომბარდირი საბა ლომია (წინა სეზონში მასზე მეტი გოლი მხოლოდ ჩისკომ და ჯაბა დვალმა გაიტანეს), ხოლო ქართული საკლუბო ფეხბურთის ყველაზე ტიტულიანმა მოთამაშემ გივი დიდავამ თავისი ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერა დაამთავრა.

მალხაზ ჟვანიასათვის სერიოზული პრობლემა იქნება საშინაო მატჩების... სხვა ქალაქში ჩატარებაც: ვიდრე მარტვილის სტადიონს წესრიგში არ მოიყვანენ, **"მერანი"** მეტოქეებს სამტრედიაში უმასპინძლებს.

**პროგნოზი: იბრძოლებს უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.**

## ვიტ ჯორჯია (თბილისი)

ბოლო ორი სეზონის განმავლობაში **"ვიტ ჯორჯიას"** პროგრამა მაქსიმუმიცა და მინიმუმიც უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იყო; არადა, არცთუ შორეულ წარსულში ამ გუნდის ზედა სამეულში ვერმოხვედრა... წარუმატებლობად მიიჩნეოდა! თუმცა, **"ვიტ ჯორჯიას"** როცა ჩემპიონობაზე ჰქონდა ხოლმე პრეტენზია, შემადგენლობაც შესაბამისი ჰყავდა.

აი, შემდეგ კი კლუბის ერთიანად გაახალგაზრდავების არცთუ იოლი პროცესი დაიწყო და ვინ იცის, იქნებ ძალიან მალე ვიხილოთ კიდეც ის ამბიციური **"ვიტ ჯორჯია"**, 1998 წლიდან მოყოლებული ჩვენს ჩემპიონატს რომ ალამაზებს.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა უმაღლეს ლიგაში ეს გუნდი და იქიდან მოყოლებული დღემდე კლუბის უცვლელი პრეზიდენტი და მეპატრონე გურამ რუხაძე გახლავთ.

გურამ რუხაძე, ილია კოკაია, თბილისის **"დინამოს"** პრეზიდენტი რომან ფიფია, ქუთაისის **"ტორპედოს"** პრეზიდენტი ლევან ფხაკაძე, – **"მერანის"** მეპატრონე ფრიდონ ინჯია – ეს ხალხი მართლაც განსაკუთრებულ დაფასებას იმსახურებენ, რამეთუ წლების განმავლობაში საკუთარი სახსრებით ინახავენ თავიანთ კლუბებს.

**პროგნოზი: იმის მიუხედავად, რომ "ვიტ ჯორჯიადან" ძირითადი შემადგენლობის 4 ფეხბურთელი წავიდა, მაინც გვგონია, რომ "ვეტერინარები" უმაღლეს ლიგაში ადგილს შეინარჩუნებენ.**

## სიონი (ბოლნისი)

უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი სტაჟიანი წევრი, ბოლნისის **"სიონი"** ბოლო დროს წარმატებული თამაშით ვერ დაიკვეხნის, ეგ კი არა, ზედიზედ ორი წელიწადია, **"სიონი"** მხოლოდ ბოლო ტურში ახერხებს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას.

არადა, ერთი შეხედვით, **"სიონს"** *ურიგო შემადგენლობა* არასდროს ჰყოლია და გამონაკლისი არც ახალი სეზონია: როგორც ყოველი სატრანსფერო პერიოდის დროს, ბოლნისელთა გუნდში ამ ზაფხულსაც უამრავი ცვლილება მოხდა და იმის მიუხედავად, რომ არცთუ ურიგო ფეხბურთელები წავიდნენ (სერგი ორბელაძე, გიორგი მანწკავა, ირაკლი კლიმიაშვილი, ირაკლი ლექვთაძე), შევსება რაოდენობითაც და **"ხარისხითაც"** უფრო სოლიდურია!

ჯერ მარტო ორი გამოცდილი ფეხბურთელის, ალექსანდრე გოგობერიშვილისა და ზურაბ ბათიაშვილის **"სიონში"** დაბრუნება რად ღირს, ან კიდევ არანაკლებ გამოცდილი ვალერი აბრამიძისა და დავით იმედაშვილის გამოჩენა საქართველოს ჩემპიონატში; მათზე ახალგაზრდები არიან, მაგრამ გარკვეული გამოცდილება გიორგი განუგრავას, გივი იოსელიანსა და ლაშა თოთაძესაც გააჩნიათ; დიდი ინტერესით ველოდებით ლეგიონერი ახალწვეულის კრისტიან ობინას თამაშსაც, – ყოველ შემთხვევაში, **"სიონის"** უბერებელმა პრესატაშემ ჯემალ ჭიპაშვილმა ეს ფორვარდი ძალიან გვიქო.

ვის-ვის და, ფეხბურთში **"ათასი რამის"** მნახველ ჯემალ ჭიპაშვილს გემოვნება არ დაეწუნება (გამონაკლისი მხოლოდ ქართული სუფრაა, რომელსაც ჩვენი ყოფილი კოლეგა, რატომღაც, სასტიკად არ სწყალობს).

ჰო, ისიც დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ახალ სეზონს **"სიონი"** ახალი მწვრთნელით ხვდება: გარკვეული პაუზის მერე ეროვნულ ჩემპიონატს გიორგი კიკნაძე უბრუნდება.

**პროგნოზი: "სიონი" უმაღლეს ლიგაში ყველაზე ასაკოვანი გუნდი იქნება, თუმცა ბოლნისელებს მაინც შეეძლებათ ზედა ექვსეულში მოხვედრისათვის იბრძოლონ.**

## გურია (ლანჩხუთი)

ვინმეს შესაძლოა დაუჯერებლად მოეჩვენოს, მაგრამ, გვერწმუნეთ, რომ ფაქტია: წინასასეზონო პერიოდში (განსაკუთრებით კი ბოლო ერთი თვის განმავლობაში) **"ლელოს"** ფურცლებზე ყველაზე მეტი საგაზეთო პუბლიკაცია სწორედ **"გურიას"** ეძღვნებოდა!

ჰო, ნამდვილად ასეა და ევროტურნირებს შემორჩენილი თბილისის **"დინამოსა"** და გორის **"დილას"** მიმართ არ იყო იმხელა ინტერესი, რამდენიც უმაღლეს ლიგაში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ აღზევებულ "გურიაზე"!

ოღონდ, სამწუხაროდ, უფრო ხშირად კი არა, უმეტესწილად, გუნდში თუ კლუბის გარშემო არსებულ აშკარად არაჯანსაღ სიტუაციაზე იყო ხოლმე მსჯელობა თუ სხვადასხვა მხარის კომენტარები, არადა, ამასობაში, გუნდს, ფაქტობრივად, ჩაუვარდა მოსამზადებელი პერიოდი და ჩემპიონატის სტარტამდე დარჩენილ ორ კვირაში ჩატარებული რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა საკმარისად როგორ უნდა შევაფასოთ, ძნელი სათქმელია.

**პროგნოზი: "გურიაში" სიტუაცია დროულად თუ არ გამოსწორდა, გუნდს პირველ ლიგაში დაქვეითება არ ასცდება.**

---

**გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624**

**თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.**

საგამომცემო ჯგუფი




---

# ნოდარ ხადური: „1 სექტემბრიდან პენსია გაუტოლდება და გადააჭარბებს საარსებო მინიმუმს"



საქართველოს ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, სექტემბრიდან პენსიები საარსებო მინიმუმს გაუტოლდება და 150 ლარი გახდება.

**„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გასაწევ ხარჯებს არანაირი საფრთხე არ ემუქრება და საბიუჯეტო პრობლემების შესახებ ყველა განცხადება ტყუილია. მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რომ წინასაარჩევნოდ აღებული ყველა ვალდებულება, ბიუჯეტის შესაბამისად, შესრულდეს და უკვე პირველი სექტემბრიდან პენსია გაუტოლდება და გადააჭარბებს საარსებო მინიმუმს. ამას დაემატება ასევე დაზღვევა, რომელიც მთელმა საქართველომ მიიღო",–** განაცხადა ხადურმა.

დაგვრჩა მხოლოდ ვივარაუდოთ – ნუთუ პატივცემულ ფინანსთა მინისტრს მართლა ჰგონია, რომ საქართველოში საარსებო მინიმუმი 150 ლარს უდრის, როცა ადამიანს მინიმალურ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად 220 ლარიც კი არ ყოფნის?!

მწარედ გვახსენდება ის დრო, ედუარდ შევარდნაძის ოჯახის წევრმა (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!) რომ განაცხადა: **"კარგი დიასახლისი 9 ლარადაც კი შეინახავს ოჯახსო!"**

შეიძლება ჩვენ მართლაც ვუსწრებთ მოვლენებს და არ გვინდა გავიხსენოთ ნაციონალთა თავხედური პარპაშის პერიოდი, როცა პენსიაზე ან შემწეობაზე 10-10 ლარს თუ წაგვიმატებდნენ, პირველადი მოხმარების საგნებზე კი ფასები, განსაკუთრებით არჩევნების შემდგომ პერიოდში, კატასტროფულად მაღლა იწევდა ხოლმე. იმედია, რომ ახლანდელი ხელისუფლება ასე დანაშაულებრივად არ მიუდგება ხალხის სატკივარს და გაზრდილი პენსიებითა და შემწეობებით მოსახლეობა მალე მოახერხებს ელემენტარული ყოფითი პრობლემების მოგვარებას!

საქ. ინფ

---

# იუმორი

**სვანს ცხენი დაეკარგა. ბევრი ეძება, ძალიან იდარდა და ბოლოს გული დაიმშვიდა – კიდევ კარგი, ზედ არ ვიჯექიო...**

* * *

– გუშინ ცოლი ვითხოვე! – ამბობს კახელი.
– გილოცავ! რა ჰქვია? – ეკითხება მეგობარი.
– რექსონა!
– ეგ რა სახელია?
– ამას წინათ ტელევიზორმა გამოაცხადა: რექსონა ყველას სჯობია, არასოდეს არ გიღალატებსო!

* * *

თვითმფრინავის სალონში ჯარისკაცი დგას და გადმოსახტომად ემზადება.
– პარაშუტის მოკიდება არ დაგავიწყდეს! – აფრთხილებს სერჟანტი.
– პარაშუტი აუცილებელია? – ეკითხება ჯარისკაცი.
– აბა რა, ვერ ხედავ როგორ ძლიერად წვიმს?

* * *

– რატომ ზიხარ მთვრალი საჭესთან? – ეკითხება პატრული ქუთაისელს.
– აბა, რომ წამოვწვე, ქე ჩამეძინება, უფროსო!

* * *

ავტობუსში საშინელი ჭედვაა.
– ცოტაც მოითმინეთ და მეოთხე გაჩერებაზე ჩავდივარ.
– ეგ კარგია, მაგრამ ჩემი ფეხიდან რომელ გაჩერებაზე ჩამოხვალ? – კნავის მეზობელი მგზავრი.

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge